პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

წელიწადი მერვე

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
და
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (უოფ. დიდო მთავრობ.) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან და მის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58
) ღამის მორიგის 18—89.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 34, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი
მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

განცხადებები:
საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განცხადებელი გარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ეღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

ხუთშაბათი, 26 ივლისი 1928 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 171 (2214)

დღიური

— მაქს ჰელცის შეხვედრა ჰანოვერში.
— უმუშევრობის ზრდა ინგლისში.
— შირაზში (სპარსეთი) გაიხსნა რუსეთ-სპარსეთის ბანკი.
— შიმშილობა ანატოლიაში.
—დამშეულია 200.000 კაცი.
— პოლონეთის მემაღაროეთა გაფიცვა ერთი დღით.
— საბჭოთა კავშირის მთავრობამ დაადგინა გამოუშვას ინდუსტრიალიზაციის მეორე მოგებიანი სესხი.
— 25 ივლისს ერევანში ჩავიდა მაქსიმ გორკი.

დ ღ ე ს, 26 ივლისს, საღამოს 6 საათზე, სახელმწიფო ოპერის შენობაში შესდგება საქ. კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის აქტივის გაფართოებული კრება. დღის წესრიგში სდგას: ამხ. **მამია ორახელაშვილის** მოხსენება საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას ივლისის პლენუმის შედეგების შესახებ.

საკავშირო კომპარტიის (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის, ამიერ-კავკასიის საოლქო საკონტროლო კომისიის, საქართველოს კომპარტიის (ბ) ცეკას, ცენტრალურ საკონტროლო კომისიის და თბილისის კომიტეტის წევრები და კანდიდატები კრებაზე შედიან თავიანთი მანდატებით, დანარჩენი ამხანაგები ბილეთებს ღებულობენ კომპარტიის სათანადო რაიკომებში.

თბილისის კომიტეტის პრეზიდიუმი.

ღარიბ გლეხთა შორის მუშაობა

ღარიბი გლეხობა პროლეტარიატის დიქტატურის მთავარი სოციალური დასაყრდენია სოფლად. ამიტომ ღარიბ გლეხობას შორის მუშაობას პარტია განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს. სოფლის ამ ფენის პოლიტიკური შეკავშირება და საზოგადოებრივი აქტივობის გაზრდა, მისი ეკონომიური მოღონიერება და კულტურული დონის ამაღლება—ასეთია ამ მუშაობის შინაარსი და მიზანი.

მიღწევები ამ მხრივ უეჭველად თვალსაჩინოა. ღარიბ გლეხთა კრებების და ჯგუფების ორგანიზაციით პარტიამ თავისი გავლენა განამტკიცა სოფლის მოსახლეობის ამ ნაწილზე. უკანასკნელი იქცა მნიშვნელოვან ძალად, რომელიც საშუალო გლეხობასთან ერთად ახდენს კულაკობის იზოლიაციას და თანდათან ეუფლება პოლიტ.-საზოგადოებრივ და სამეურნეო ცხოვრებას სოფლად. საბჭოების, კოოპერაციის და სხვა სასოფლო- ორგანიზაციების არჩევნებმა ნათლად დაგვანახვა ღარიბ გლეხობის ხვედრითი წონის გადიდება. ამასთან უმჯობესდება მისი კოოპერატიული შეკავშირების, მისთვის კრედიტების მიწოდების საქმე და სხ.

მაგრამ მაინც უნდა აღინიშნოს, რომ ამ მიღწევებთან ერთად ღარიბ გლეხთა შორის მუშაობის დარგში დღემდე მრავალ ნაკლს აქვს ადგილი და ამ მხრივ შესრულებული მუშაობით მხოლოდ საფუძველი აქვს ჩაყრილი იმ დიდი ამოცანების გადაჭრას, რომლებიც ჩვენს წინაშე დგანან.

ღარიბთა შორის მუშაობა არა ყველგანაა მოქცეული ადგილობრივ პარტორგანიზაციების ყურადღების ცენტრში. როგორც სჩანს, აქა-იქ კიდევ არა აქვთ სათანადოთ შეგნებული ამ მუშაობის მთელი მნიშვნელობა. ზოგან მოიკოჭლებს პარტიული ხელმძღვანელობა ამ დარგში. მას ხშირად არა აქვს სისტემატიური და გეგმაშეწონილი ხასიათი.

ბევრგან კიდევ ვამჩნევთ გაურკვევლობას ღარიბთა შორის მუშაობის ფორმების და მეთოდების საკითხებში. ღარიბთა ჯგუფები არ არის ჩამოყალიბებული ყველგან, სადაც ეს შესაძლებელი იყო. ბევრგან ასეთი ჯგუფები ფორმალურად არსებობენ და ვერ იჩენენ საჭირო აქტივობას. მათი საქმიანობა არა ყოველთვისაა დაკავშირებული ღარიბ გლეხობისათვის საჭირბოროტო კონკრეტიულ საკითხებთან. არის შემთხვევები, როცა ღარიბთა ჯგუფები ეწევიან საბჭოების და სხვა ორგანოების მაგივრობას. ღარიბ გლეხთა შორის მუშაობაში სუსტია მოჯამაგირეობის და ღარიბ გლეხ ქალთა მონაწილეობა. ალაგ- ალაგ სათანადო ყურადღება არ ექცევა კავშირის განმტკიცებას საშუალო გლეხობასთან.

ბევრ ნაკლს ვხედავთ აგრეთვე ღარიბ გლეხთათვის მატერიალურ დახმარების აღმოჩენის და მისი მეურნეობის აღორძინება- გარდაქმნის საქმეში. ღარიბი გლეხობა კარგად არ არის გაცნობილი იმ შეღავათებს, რომლებსაც მას სახელმწიფო ანიჭებს (გადასახადების, სახელმწიფო დაზღვევის, საექიმო დახმარების და სხვა დარგებში). მისი ორგანიზაციები არ ღებულობენ აქტიურ მონაწილეობას ამ შეღავათების გამოყენებაში.

ღარიბ გლეხობის კოოპერატიულ შეკავშირების ფონდები თუმცა იზრდება, მაგრამ მაინც არა საკმარისი რაოდენობით და ტემპით. შემდეგ,— ადგილი აქვს ამ ფონდების სულ სხვა მიზნებისათვის გამოყენებას. არის შემთხვევები, როცა კოოპერაციაში ღარიბი გლეხები შეყავთ მექანიკურად, სათანადო ორგანიზაციულ და იდეურ მუშაობის ჩატარების გარეშე.

კრედიტების გაცემის დარგშიაც ჩვენ ვერ ვატარებთ პარტიის ხაზის დამახინჯების. პრესაში დროგამოშვებით ქვეყნდება ფაქტები, რომ როგორც ფულად კრედიტების, ისე სასოფლო-სამეურნეო იარაღების მიღებას ახერხებენ კულაკური და შეძლებული ელემენტები, აგრეთვე ცრუ, კოლექტივები, ღარიბ გლეხების ხარჯზე, რა თქმა უნდა თვით კრედიტების მიწოდება ღარიბ გლეხობისათვის ხშირად დაგვიანებით ხდება და ყოველთვის არ არის შეფარდებული სამეურნეო სეზონებთან.

ჯერ კიდევ სუსტადაა გაშლილი მუშაობა ღარიბ გლეხობის მეურნეობების კოლექტივიზაციის დარგში, მაშინ როცა ეს ჩვენი ძირითადი ამოცანაა, რომლის გადაჭრას უნდა მოვანდომოთ მთელი ჩვენი ძალღონე.

სოფლად მუშაობის თათბირი. რომელიც დღეს იხსნება საქ. კომპარტიის ამიერ- კავკასიის საოლქო კომიტეტთან, შეჩერდება ყველა ამ საკითხებზე. ის ჯამს გაუკეთებს ღარიბთა შორის მუშაობის შედეგებს, აღნიშნავს ნაკლოვანებებს და დასახავს კონკრეტიულ ღონისძიებათ მათი ასაცილებლად და საერთოდ ღარიბ გლეხთა შორის მუშაობის გასაუმჯობესებლად.

მუშაობა დაწვრილებით გამომუშავებული გეგმის საფუძველზე, სისტემატიური პარტხელმძღვანელობა, მიღებულ გამოცდილების მიხედვით მიზანშეწონილ, ადგილობრივ პირობებთან შეფარდებულ ფორმების და მეთოდების გამომუშავება ღარიბთა შორის მუშაობაში, ღარიბთა საყოველთაო კოოპერატიული შეკავშირება და ამ მიზნით ფონდების გაძლიერება, კრედიტების დროზე და ხელსაყრელ პირობებში მიწოდება ღარიბ გლეხთა გაერთიანებებისათვის, ენერგიული ზომების მიღება სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციისათვის —ასეთია მთავარი ამოცანები. თავისთავად ცხადია, რომ ყველაფერი ეს უნდა განხორციელდეს თვით ღარიბ გლეხობის თვითმოქმედების გაძლიერების ნიადაგზე; ამ ამოცანების გადაჭრაში მან პარტიის ხელმძღვანელობით უნდა მიიღოს ცხოველი მონაწილეობა

საწარმოო თათბირების მუშაობის შესახებ

სოციალისტური აღმშენებლობის მსვლელობაში საწარმოო თათბირების როლი უდიდესია. საწარმოო თათბირები შეიძლება გამოდგნენ სათუთ და საუკეთესო იარაღად მთელი მუშათა კლასის და თვითეული მუშის საწარმოო ინიციატივისა და გამოცდილების გამოსაყენებლად. საწარმოო თათბირების საშუალებით ჩვენ ვიზიდავთ ათასობით ახალ ერთგულ პროლეტარ-სამეურნეო მუშაკს, ხოლო შეგვიძლია მივიზიდოთ ბევრად მეტი. ამნაირად ჩვენ ვქმნით დაწინაურებულთა კადრებს.

საწარმოო თათბირების მუშაობის კარგად დაყენებით ჩვენ შეგვიძლია თავი დავაღწიოთ მრავალ შეცდომას წარმოებების ტეხნიკურ - ეკონომიურ ხელმძღვანელობაში და საწარმოო და საამშენებლო გეგმებში. თათბირების გარკვეულ მუშაობას შეუძლია სერიოზულად შეუშალოს ხელი შახტის საქმეების და სმოლენსკის წყლულების განმეორებას წარმოებაში და მრავალ სხვა ბიუროკრატიულ და აშკარა დამნაშავე საქმიანობას, რომელიც ასე ძვირად უჯდება საბჭოთა კავშირის მშრომელთ. რა მდგომარეობაშია ამჟამად საწარმოო თათბირების საქმე? რა მდგომარეობაშია საწარმოო თათბირების „მასიურობის“ საქმე? მრავალ რაიონში ჩვენ უდავო მიღწევებს ვხედავთ. წინ ლენინგრადი მიდის. ქაღალდის მრეწველობის მუშათა, მბეჭდავთა, ხის დამმუშავებელთა, მელითონეთა და ფეიქართა შორისაც კი, სადაც უმრავლესობას მუშა ქალები შეადგენენ, საწარმოო თათბირებში მონაწილეთა რიცხვი 19 პროცენტამდე აღწევს. საწარმოო თათბირების მდგომარეობა ამდენად დამაკმაყოფილებელი ვერ არის უკრაინაში. იქ არის ქარხნები, სადაც საწარმოო თათბირებს ესწრება მუშების დაახლოვებით ერთი მეხუთედი ნაწილი, მაგრამ არის ისეთი ქარხნებიც, რომლებშიაც საწარმოო თათბირებს მუშების 3 პროცენტზე ნაკლები ესწრება. უკანასკნელ ციფრს სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს. მით უმეტეს, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ უკანასკნელ თვეებში საწარმოო თათბირებზე დამსწრეთა რიცხვი კლებულობს არა მარტო ჩამორჩენილ რაიონებში, საწარმოო თათბირების მუშაობაში. უეჭველია, მრავალი ასი ათასი მუშა ჩაბმული, მაგრამ ესეც კი არაა საკმაო იმ უაღრესად ფართო ამოცანების გადასაჭრელად, რომლებიც დგანან საწარმოო თათბირების წინაშე. მრავალია ისეთი შემთხვევა, როცა ფართო საწარმოო თათბირებს ნაცვლად ვიწრო კომისიები და სამეულები მუშაობენ ეს კი ხელს უშლის მათ მუშაობას, როგორც იმ ორგანოებისას, რომელთა მეშვეობით მუშები მასიურად არიან ჩაბმული სოციალისტურ მშენებლობაში.

საწარმოო თათბირებზე დამსწრე მუშების შემადგენლობა უახლოეს დროში მნიშვნელოვნად უნდა გაფართოვდეს. ამას დიდი ყურადღება უნდა მიაქციონ სამეურნეო, პროფესიონალურმა და პარტიულმა ორგანიზაციებმა. საწარმოო თათბირების მუშაობის გამოცოცხლებას პირველ რიგში საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტები უნდა შეუდგნენ.

რა მიზეზები ავიწროვებენ საწარმოო თათბირების მასიურ ხასიათს? აქ ერთ-ერთი მთავარი ადგილი უნდა მიეკუთვნოს იმას, რომ სამეურნეო ორგანოები სუსტად ასრულებენ საწარმოო თათბირების გადაწყვეტილებებს ლენინგრადშიაც კი მუშების მიერ წამოყენებული და მიღებული წინადადებების სამეურნეო მუშაკების მიერ შესრულების პროცენტი 60-ზე მაღლა არ მიდის. სხვა ადგილებში საქმე უფრო ცუდათაა. მაგალითად, სტალინის ქარხანაში (იუგოსტალი) შესრულება უდრის 30-40 პროცენტს.

სავსებით რიგზე ვერ არის მუშების დაჯილდოების საქმე. მიღებული და გატარებული წინადადება ზოგჯერ წარმოებას ათიათას მანეთობით ეკონომიას აძლევს, ხოლო მუშა, რომელიც ჯილდოდ რამდენიმე ათეულ მანეთს ღებულობს, დაუსრულებლად დადის, სანამ ამ ფულის მიღებას ეღირსებოდეს. მრავალ წარმოებაში დღემდე არ შექმნილა მუშათა დაჯილდოების ფონდი, ხოლო ზოგიერთ წარმოებაში არსებულ ფონდს მეტად შეკვეცილად იყენებენ. ხდება ხოლმე აგრეთვე რომ დაჯილდოების ფონდს დაწესებულება არაპირდაპირ დანიშნულებაზე ხარჯავს. ხშირად ხდება, რომ მუშებს არ ატყობინებენ. თუ რა ეკონომია მოჰყვა მათ მიერ წამოყენებულ წინადადებათა გატარებას. ისინი ღებულობენ ისეთ შთაბეჭდილებას, რომ საწარმოო თათბირი წარმოადგენს „სალაყბოს“, სადაც ბევრი დრო ფუჭად იკარგება. ამან, რა თქმა უნდა, არ შეიძლება არ გამოიწვიოს მუშების ინტერესების შესუსტება საწარმოო თათბირებისადმი და მათი მუშაობის ტემპის შენელება. ამავე დროს არც ისე ძნელია რომ შემდგომ თათბირებზე მუშებს ეცნობოს, თუ რა გატარდა ცხოვრებაში წინა თათბირის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებიდან და რატომ არ ტარდებიან დანარჩენი გადაწყვეტილებანი.

ამჟამად, საერთო წესით, წარმოებები რამდენსამე წყებად მუშაობენ. ასეთ წარმოებებში, თუნდაც ისინი ერთ წყებად მუშაობდნენ, მუშაობის უნარის მქონე, საქმიანი საერთო საწარმოო თათბირის მოწვევა უაღრესად ძნელია. ქარხნის საერთო საწარმოო თათბირზე ან კონფერენციაზე შეიძლება წამოყენებულ იქნას მხოლოდ ისეთი საკითხები, რომლებიც ეხებიან საერთოდ მთელ წარმოებას. მუშების ინიციატივა და მუშათა მასის გამოცდილება უფრო ხშირად საკუთარი ცეხის ან მხოლოდ სამუშაო ადგილის ფარგლებშია მოქცეული. ყოველივე ეს საჭიროდ ხდის საწარმოო თათბირების მუშაობის ისე მოწყობას, რომ უზრუნველყოფილ იქნას მუშების უმრავლესობის აქტიური მონაწილეობა და ეს მუშაობა შეგუებულ იქნას არსებულ პირობებთან და თვით მუშების მოთხოვნილებებთან. ამ დარგში ზოგი რამ კეთდება, მაგრამ ეს სრულებით არ არის საკმაო და ამასთანავე სწარმოებს საჭირო გამბედაობისა და ყურადღების გარეშე.

საჭიროა გაძლიერებულ იქნას მუდმივი, არაფორმალური ხელმძღვანელობა საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების მხრივ და მაშინ საწარმოო თათბირების მუშაობის ხარისხი აუცილებლად აიწევს.

როგორც უდიდესი ნაკლი საწარმოო თათბირების მუშაობაში უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ ძალიან ხშირად ტეხნიკური პერსონალი უმნიშვნელო, წმინდა ფორმალურ მონაწილეობას ღებულობს ამ მუშაობაში. უმრავლეს შემთხვევებში ისე ხდება, რომ ინჟენერი თითონ არ გამოდის, არ შემოაქვს წინადადებები, არ იჩენს ინიციატივას და აქტიურათ არ ეხმარება მუშას. საწარმოო თათბირებმა, უფრო სწორად რომ ვთქვათ, მათმა ორგანიზატორებმა, საინჟენერო ტეხნიკური სექციების საშუალებით უნდა გააძლიერონ ტეხნიკურ პერსონალში ინტერესი პროფკავშირთა მასიური საწარმოო მუშაობისადმი და უფრო ფართოდ ჩააბან აქტიურ მუშაობაში ინჟენერები და ტეხნიკოსები. პროფესიონალური კავშირების ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ მათ უნდა აღზარდონ ტეხნიკური პერსონალი აქტიურ ბრძოლაში მლიქვნელობის ელემენტების წინააღმდეგ მათ წრეში, და უნდა განავითარონ სოციალისტური მშენებლობისათვის სამსახურის გულწრფელი სურვილი.

საწარმოო თათბირების მუშაობაზე უაღრესად ცუდ გავლენას ახდენს მათი არარეგულიარულად მოწვევა. არიან წარმოებები, სადაც საწარმოო თათბირებს თვეში, თვენახევარში ერთხელ იწვევენ. მაგრამ ისეთი წარმოებებიც არსებობენ, სადაც საწარმოო თათბირებს წელიწადში ერთხელ-ორჯერ იწვევენ. ამასთანავე საწარმოო თათბირების დღის წესრიგს საკმაო ყურადღებით არ ამუშავებენ. ერთ სხდომას მრავალი საკითხით ტვირთავენ, მომხსენებლები გაჭიანურებულად და მშრალად ლაპარაკობენ. საკვირველი არ არის, თუ ასეთ პირობებში ნელდება საწარმოო თათბირების მასიურობის ზრდის ტემპი. საწარმოო კომისიებმა საფაბრიკო - საქარხნო კომიტეტების ცოცხალი მონაწილეობით უნდა მიიღონ ზომები საწარმოო თათბირების რეგულიარულად მოსაწვევად, დღის წესრიგის წინასწარ და ყურადღებით დასამუშავებლად და სხდომებზე ცოცხალი და გასაგები მოხსენებების წასაკითხავად.

ის საწარმოო თათბირები, რომელთა მუშაობა წესიერად არის დაყენებული, მილიონობით ეკონომიას აძლევენ სახალხო მეურნეობას. ლენინგრადში 1926-27 წელს მუშათა წინადადებების მხოლოდ ერთმა მეოცედმა ნაწილმა მოგვცა 2,5 მილიონ მანეთამდე ეკონომია. რომ არაფერი ვთქვათ საწარმოო თათბირების საზოგადოებრივ მნიშვნელობაზე, მარტო ამ მატერიალურ ეკონომიის გამო სამეურნეო მუშაკებმა მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ და აქტიურად შეუწყონ ხელი საწარმოო თათბირების მუშაობას.

ეჭვს გარეშეა, რომ საფაბრიკო - საქარხნო კომიტეტების მხრივ ხელმძღვანელობას მრავალი ნაკლი აქვს. ეს ხელმძღვანელობა ყოველთვის ვერ არის მუდმივი და სისტემატიური. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ მასიურ-ეკონომიური მუშაობა პროფკავშირების ქვედა საფეხურის ორგანოების ყოველდღიურ პრაქტიკულ საქმიანობაში გადაიქცეს მათი მუშაობის უმნიშვნელოვანეს ნაწილად. საწარმოო თათბირები წარმოადგენენ ერთ-ერთ მთავარ საშუალებას მასების ჩასაბმელად სოციალიზმის მშენებლობაში. ამ დარგში მუშაობა ვერ აკმაყოფილებს ცხოვრების და მასების მოთხოვნილებებს. ამის მიზეზს ისიც წარმოადგენს, რომ ჩვენი აღმშენებლობის ამ დარგს საკმაო ყურადღებას ვერ აქცევენ პარტიული ორგანიზაციები. ფაბრიკებსა და ქარხნებში ისინი ჯერ კიდევ სათანადოთ ვერ ამოწმებენ, თუ როგორ სრულდება პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების დირექტივები.

საჭიროა გადამჭრელი ბრძოლა შეცდომებისა და სუსტი ადგილების აღმოსაფხვრელად თათბირების მუშაობაში. ენერგიულად უნდა გავაფართოვოთ მათი მუშაობა და რაც უფრო ჩქარა იქნება აღმოფხვრილი დეფექტები, მით უფრო მალე, სრულად და ფართოდ შეჭრება მასებში საქმიანი, ჯანსაღი კრიტიკა და შემოქმედებითი მუშაობა.

„პრავდა“, 25 ივლისი.

იაპონია ცდილობს განამტკიცოს თავისი გავლენა მანჯურიაში

იაპონიამ წინადადება მისცა ჩან-სეუ-ლიანს არ დაემორჩილოს ნანკინის მთავრობას

დაწყებულია მოლაპარაკება საკონსულო კონვენციის დასადებად საბჭ. კავშ. და სპარსეთს შორის

მ დ გ ო მ ა რ ე ო ბ ა ჩ ი ნ ე თ შ ი

ჩან-სუე-ლიანი იაპონიის ბრჭყალებში

პეკინი, 25 ივლისი. იაპონიის გაზეთ „მანჯურია დეილი ნიუს“-ის ცნობით, ჩან-სუე-ლიანმა იაპონიის ჟურნალისტებთან საუბარში უთანასწორო ხელშეკრულებათა გაუქმების საკითხისადმი დამოკიდებულების შესახებ, თითქოს, განაცხადა:

„რადგან ხელშეკრულებების გადასინჯვაში დაინტერესებულია ორი მხარე, ამიტომ მარტო ერთი მხარე ვერ გააუქმებს ხელშეკრულებებს საჭიროა დათმობა ორივე მხრით“.

ეს განცხადება მიაჩნიათ მუკდენში იაპონიის გავლენის გაძლიერების შედეგად. ეს აზრი მტკიცდება ჩან-სუე-ლიანის სხვა განცხადებიდანაც, რომელშიაც ნათქვამია, რომ მას მამის ტრაღიკული სიკვდილი „ღვთის განგების აქტად“ მიაჩნია, და ამიტომ კატასტროფის შემდგომ გამოძიებას სრულიად ზედმეტად სთვლის.

მუკდენის პრესის ცნობით, იაპონიის გენერალურმა კონსულმა ხაიასიმ ინახულა ჩან-სუე-ლიანი და განუცხადა, რომ იმ შემთხვევაში, თუ ნანკინის მთავრობა იარაღით შეეცდება მანჯურიის საკითხის გადაჭრას, იაპონიის მთავრობა გადასდგამს შესაფერ ნაბიჯებს, რათა ხელი შეუშალოს სამხრეთის ჯარების წინსვლას.

მანჯურიის პრესა, ემყარება რა ოფიციალურ ინფორმაციას, ამტკიცებს, რომ ხუთფეროვანი დროშა სამ აღმოსავლეთ პროვინციაში არ იქნება შეცვლილი გომინდანის დროშით. იაპონიის გაზეთ „მანჩუ-ბაო“ ს სიტყვით, ხაიასიმ გააფრთხილა ჩან-სუე-ლიანი, რომ გომინდანის დროშის მიღება ცუდ გავლენას მოახდენს სამ აღმოსავლეთ პროვინციისა და იაპონიის ურთიერთ დამოკიდებულებაზეო. (ადს)

ჩან სეუ-ლიანის ელჩი ტოკიოში

ტოკიო, 24 ივლისი. ჩან-სეუ-ლიანის სპეციალურმა დელეგატმა გო-შან-მინმა, რომელიც ტოკიოში გაემგზავრა, „ასახი“-ს კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა, რომ საფუძველს მოკლებულია საერთო აზრი იმის შესახებ, თითქოს მუკდენის და ნანკინის შორის შეთანხმება რაიმე სერიოზულ არევ-დარევას გამოიწვევსო.

„კუკუმინი“ აცხადებს, რომ გო-შან-მინმა ტოკიოში უნდა გამოარკვიოს, თუ რამდენად მზად არის იაპონია დახმარება აღმოუჩინოს მანჯურიას სამხრეთელების წინააღმდეგ. რა ზომებს მიიღებს იაპონია იმ შემთხვევაში, თუ სამხრეთელები პოლიტიკურად ან სამხედრო ძალით შეიჭრებიან მანჯურიაში, და ფიქრობს თუ არა იაპონია დახმარება აღმოუჩინოს მუკდენის ჯგუფს მანჯურიის ფინანსების აღდგენაში. (ადს)

იაპონიის პოლიტიკის წინააღმდეგ ჩინეთში

ტოკიო, 24 ივლისი. ოპოზიციონური პარტიის მინსეიტოს მემარცხენე ფრთა მოითხოვს გამოსვლას იაპონიის პოლიტიკის წინააღმდეგ ჩინეთში. ხამაგუჩის პარტიის თავმჯდომარე და სხვა ლიდერები ამ ტაქტიკას უარყოფითად უყურებენ. (ადს)

იაპონიის პროტექტორატი მანჯურიაზე

პეკინი, 24 ივლისი. ამერიკულ ლიბერალურ ორგანოს „პეკინ ლიდერს“ მიაჩნია, რომ ჩან-სუე-ლიანისათვის მიცემული დავალება— არ დაემორჩილოს ნანკინის მთავრობას, წარმოადგენს „იაპონელი მილიტარისტების მეორე ნაბიჯს მანჯურიაზე იაპონიის პროტექტორატის დასამყარებლად“. გაზეთი აცხადებს, რომ ეს დავალება, რომელიც უშუალო ჩარევაა ჩინეთის შინაურ საქმეებში, წარმოადგენს იაპონიის მთავრობის დიდ შეცდომას, რაც აიძულებს ჩან-სეუ-ლიანს დაუყონებლივ შეუერთდეს სამხრეთელებს, რადგან , წინააღმდეგ შემთხვევაში ბრალს დასდებენ, რომ მან მანჯურია იაპონიას მიჰყიდა (ადს).

ანტი-იაპონური კონფერენცია შანხაიში

შანხაი, 24 ივლისი. ანტი-იაპონური კონფერენცია შანხაიში დიდი აღფრთოვანებით და ენტუზიაზმით მიმდინარეობს. ბოიკოტის გამო შანხაის საწყობებში დაგროვდა დიდძალი საქონელი, რომლის ღირებულება დაახლოვებით 10 მილ. იენს უდრის. (ადს)

ვაშინგტონი და ნანკინი

ვაშინგტონი, 24 ივლისი. ჩრ.-ამერ. შეერთებული შტატების საგარეო საქმეთა მინისტრმა გამოაქვეყნა ცნობა, რომ იგი სხვა სახელმწიფოებთან ერთად ან მათთან დამოუკიდებლად მზადაა გამართოს მოლაპარაკება ნანკინის მთავრობის წარმომადგენლებთან საბაჟო და სხვა ხელშეკრულებათა გადასასინჯად. (ადს)

ჩან-კაი-ში მზადაა დაუთმოს მუკდენს

პეკინი, 24 ივლისი. პოლიტიკური წრეების აზრით, ჩან-კაი-ში, როგორც სჩანს, მზადაა წავიდეს ერთგვარ დათმობაზე იმ მიზნით, რომ მიაღწიოს შეთანხმებას მუკდენთან. გაზეთების სიტყვით, ჩან-კაი-ში ამჟამად დაჟინებით არ მოითხოვს დროშის გამოცვლას და თანახმაა სამ აღმოსავლეთ პროვინციაში აღიმართოს გომინდანის დროშა ხუთფეროვან სახელმწიფო დროშასთან ერთად. (ადს)

იაპონია იმუქრება „ენერგიული ზომებით“

ტოკიო, 24 ივლისი. იაპონიის სააგენტო ტოხო იუწყება, რომ თუ ნანკინის მთავრობამ არ შესცვალა თავისი გადაწყვეტილება ხელშეკრულების გაუქმების შესახებ და შეეცადა გამოიყენოს დროებითი წესები ჩინეთში მცხოვრებ იაპონელების მიმართ, მაშინ იაპონიის მთავრობა „ენერგიულ ზომებს“ მიიღებს.

ინგლისურ „ნორტ ჩაინა დეილი ნიუს“-ის პეკინელი კორესპონდენტი იუწყება, რომ პეკინის დიპლომატიური წრეების აზრით, იაპონია მზადაა მიიღოს ყოველივე ზომა ხელშეკრულების შენარჩუნებისათვის. კორესპონდენტის სიტყვით, იაპონიას სავსებით მხარს უჭერს დიპლომატიური კორპუსი. (ადს)

იაპონია - ჩინეთის ხელშეკრულების გაუქმების გამო

შანხაი, 24 ივლისი. ნანკინის გარეშე საქმეთა მინისტრმა პრესის წარმომადგენლებთან საუბარში განაცხადა, რომ არ არის სწორი იაპონიის შეხედულება, თითქოს იაპონია-ჩინეთის ხელშეკრულების გაუქმება ნანკინის მთავრობის მიერ წარმოადგენდეს დიპლომატიური ნორმების დარღვევას.

ვან-ჩუენ-ტინმა განაცხადა, რომ ხელშეკრულების ვადა გავიდა 1926 წელს, რის შემდეგ ხელშეკრულება განგრძობილ იქნა ხუთჯერ.

„როცა ნაციონალისტებმა, — განაცხადა ვან-ჩუენ-ტინმა, — პეკინი დაიჭირეს და მათ ხელში გადავიდა ყველა დიპლომატიური დოკუმენტები, ნაციონალურმა მთავრობამ ამ დოკუმენტების შესწავლის შემდეგ გადაწყვიტა ეცნობებია იაპონიისათვის, რომ შეუძლებელია ხელშეკრულების ვადის შემდგომი განგრძობა და ამიტომ საჭიროა ახალი ხელშეკრულების დადება. (ადს).

იაპონიის ჯარის ევაკუაცია გადადებულია განუსაზღვრელ დრომდე

შანხაი, 24 ივლისი. პრესის ცნობით, იაპონიის მთავრობამ გადასწყვიტა გადასდოს განუსაზღვრელ დრომდე ჯარის ევაკუაცია შანდუნიდან. პეკინის და ტიანძინის რაიონში დაბანაკებულ ჯარს მიეცა განკარგულება დარჩეს თავის ადგილას. (ადს)

ჩან-კაი-შიმ გადასდო პეკინიდან გამგზავრება

შანხაი, 24 ივლისი. ჩან-კაი-შიმ ჩუან-სუე-ლიანს მიმართა რჩევით, „არ მიაქციოს ყურადღება იაპონელების გაფრთხილებას და დასდოს ხელშეკრულება ნაციონალურ მთავრობასთან“.

იუწყებიან, რომ მდგომარეობის შეცვლის გამო ჩან-კაი-შიმ გადასდო თავისი გამგზავრება პეკინიდან. (ადს)

ინგლისში უმუშევრობა იზრდება

ლონდონი, 24 ივლისი. მუშა ხელის განმანაწილებელმა კომისიამ, რომელიც დაარსდა უმუშევრობასთან საბრძოლველი ღონისძიებების გამოსამუშავებლად, გამოაქვეყნა თავისი ანგარიში. ანგარიში წინასწარმეტყველებს უმუშევრობის გადიდებას ინგლისის მრეწველობის მთავარ დარგებში.

კომისიის აზრით, ჰანახშირის მრეწველობაში უახლოეს წლებში მუდამ იქნება 200.000 მუშა ხელის სიჭარბე. მუშა ხელის სიჭარბეს ადგილი ექნება აგრეთვე გემების საამშენებლო, ფოლადის ჩამომსხმელ, რკინის საფეიქრო და მანქანების საამშენებლო მრეწველობაში.

ანგარიში ეხება უმუშევრობასთან საბრძოლველ ღონისძიებებს და ურჩევს მწარმოებლებს —ააგონ ახალი ფაბრიკები და ქარხნები ქვანახშირის რაიონებში.

„ძირითადი ამოცანა იმაში მდგომარეობს, - ნათქვამია ანგარიშში, — რომ მსხვილ სამრეწველო ცენტრებში დაგროვილი უმუშევრები გაფანტულ იქნან პერიფერიებში“.

ანგარიში მოითხოვს, რომ სანაოსნო კომპანიებმა შეამცირონ ბილეთების ფასი ინგლისიდან გადასახლებულთათვის. (ადს)

ამსტერდამის ინტერნაციონალის გამგეობაში

ბერლინი, 24 ივლისი. კელნში შესდგა ამსტერდამის ინტერნაციონალის გამგეობის სხდომა, რომელზედაც გადაწყდა ინტერნაციონალის აღმასკომის მომავალ სესიაზე სექტემბერში შეტანილ იქნას შემდეგი წინადადებანი: ჯორჯ ხიკსის მაგიერ გამგეობის წევრად ინგლისიდან არჩეულ იქნეს გენსაბჭოს მდივანი ვალტერ სიტრინი, რომელიც შემდეგ გამგეობამ უნდა ამოირჩიოს ამსტერდამის ინტერნაციონალის თავმჯდომარედ. ინტერნაციონალის შემდეგ კონგრესამდე ინტერნაციონალი ამსტერდამში დარჩება. ინტერნაციონალის გენერალური მდივნის კანდიდატად წამოყენებულია ზასენბახი.

გაირჩა აგრეთვე საერთაშორისო პროფმოძრაობის მთლიანობის საკითხიც. ამ საკითხის განხილვა მოხდა იმ წინადადების საფუძველზე, რომელიც ნორვეგიამ და ფინეთმა შეიტანეს გამგეობაში. ნორვეგია და ფინეთი მოითხოვენ, რომ მოწვეულ იქნას კონფერენცია პროფინტერნთან ერთად ყოველგვარი წინასწარი პირობის გარეშე. გამგეობამ დაადგინა, უარყოს ამ წინადადების შეტანა აღმასკომის სექტემბრის სესიაზე. (ადს)

საბჭოთა კავშირისა და სპარსეთის საკონსულო კონვენცია

თეირანი, 20 ივლისი. ამჟამად საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენლობასა და საგარეო საქმეთა სამინისტროს შორის სწარმოებს მოლაპარაკება საკონსულო კონვენციის დასადებად. (ადს).

მაქს ჰელცის შეხვედრა ჰანოვერში

ბერლინი, 24 ივლისი. მაქს ჰელცი ჩავიდა ჰანოვერში, სადაც მას მიესალმა 15.000 მუშა. მისალმება გადაიქცა დემონსტრაციად; ამ დემონსტრაციამ თავისი გრანდიოზულობით გადააჭარბა ყველა დემონსტრაციას, რომელიც ოდესმე კომპარტიის ხელმძღვანელობით გამართულა ჰანოვერში. მუშები გაემართენ იმ შენობისაკენ, სადაც მიტინგი იყო დანიშნული. მუშები მიდიოდენ „ვაშას“ ძახილით მაქს ჰელცისა და სხვა ახლად განთავისუფლებულ პოლიტიკურ პატიმრების გარშემო, თან მოითხოვდენ საპყრობილეში დარჩენილ ყველა პოლიტიკური პატიმრის განთავისუფლებას. რადგან დარბაზმა ვერ დაიტია მიტინგზე დასწრების ყველა მსურველი, საჭირო გახდა ორი პარალელური მიტინგის მოწყობა. მოეწყო აგრეთვე რამდენიმე კრებაც ცის ქვეშ.

ყველა კრებაზე მაქს ჰელცი სიტყვით გამოვიდა. იგი მუშათა კლასს მოუწოდებდა მოეხდა თავისი ვალი გერმანიის კომპარტიის წინაშე. ჰელცს ხშირად აწყვეტინებდენ სიტყვას მხურვალე ოვაციებით. ჰელცის უკანასკნელი სიტყვები—„გაუმარჯოს კომპარტიას,—საბჭოთა კავშირს და კომინტერნს“ —დაფარა მრავალრიცხოვანი აუდიტორიის მქუხარე ტაშმა.

—:—

ამნისტიით განთავისუფლებულთა შეხვედრა ესსენში

ბერლინი, 24 ივლისი. ამნისტიით განთავისუფლებულ 10 პოლიტიკურ პატიმარის შეხვედრამ ესსენში გრანდიოზული პროლეტარული ხასიათი მიიღო. ასეთი დემონსტრაცია დიდი ხანია არ უხილავს ესსენს. 10.000 მუშა მიესალმა განთავისუფლებულთ. გაიმართა რამდენიმე მიტინგი. ამნისტიით განთავისუფლებულებმა მოსკოვის მუშებს გაუგზავნეს წერილი, რომელშიც ერთგულებას უცხადებენ გერმანიის კომპარტიას და კომინტერნს ეს წერილი გამოაქვეყნეს მიტინგზე. წერილის წაკითხვას მხურვალე ოვაციებით შეხვდენ.

ოთხმა განთავისუფლებულმა ხუთ წელზე მეტი დაჰყო საპყრობილეში.

ჩემბერლენი თვალთმაქცობს

ლონდონი, 24 ივლისი. ჩემბერლენმა, როდესაც მას შეეკითხენ ეგვიპტეს პარლამენტის დათხოვნის გამო, განაცხადა, რომ არც ინგლისის უმაღლეს კომისარს ეგვიპტეში ლორდ ლოიდს და არც ინგლისის მთავრობას არ ურჩევნია ეგვიპტეს მთავრობისათვის პარლამენტის დათხოვნაო.

ჩემბერლენის სიტყვით, მას წარმოდგენილი აქვს, რა პოლიტიკური მოვლენებია მოსალოდნელი ეგვიპტეში, მაგრამ იგი უარს ამბობს თავის მოსაზრების გამომჟღავნებაზე.

ვინ მოკლა ობრეგონი

მექსიკო, 24 ივლისი. იუწყებიან, რომ წინააღმდეგ წინანდელი განცხადებისა; რომლითაც კრელიკალებს ბრალი ედებოდათ ობრეგონის მკვლელობის მოწყობაში, პოლიციის უფროსმა განაცხადა, რომ კლერიკალებმა ხელი შეუწყვეს მკვლელობის პირობების გამოძიებაში. პოლიციის ოფიციალურ ცნობაში აღნიშნულია, რომ ობრეგონის მკვლელი სავსებით გამოტყდა დანაშაულში. ჩვენებები გამოქვეყნებული არ არის. (ადს).

ვენიზელოსის „პროგრამა“

ვენა, 24 ივლისი. ვენიზელოსმა სალონიკში სიტყვა წარმოსთქვა და დამსწრეებს გააცნო საბერძნეთის ახალი მთავრობის პროგრამა. მან განაცხადა, რომ გაფიცვებისა და ლოკაუტების თავიდან ასაცილებლად მთავრობას განზრახული აქვს გამოსცეს კანონი სამრეწველო კონფლიქტების მოწესრიგების შესახებ ხელისუფლების ჩარევის გზით. (ადს).

ამხ. ვილიამ ფოსტერი

შეერთებული შტატების მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებში წამოყენებულია, როგორც ამერიკის კომპარტიის კანდიდატი პრეზიდენტის პოსტზე

რუსეთ-სპარსეთის ბანკის გახსნა შირაზში

თეირანი, 20 ივლისი. ამ დღეებში შირაზში მოხდა რუსეთ-სპარსეთის ბანკის განყოფილების საზეიმო გახსნა, რომელსაც 300 კაცზე მეტი დაესწრო. დამსწრეთა შორის იყვნენ როგორც სამხედრო, ისე სამოქალაქო ხელისუფლების წარმომადგენელნი, დეპუტატები და 150-მდე ცნობილი ვაჭარი. ზეიმი გაიხსნა საბჭოთა კავშირის გენერალური კონსულის ამხ. ბატმანოვის და ბანკის განყოფილების გამგის ამხ. განოლინის სიტყვებით. მათ აღნიშნეს საბჭოთა კავშირისა და სპარსეთს შორის მეგობრული ურთიერთობის ზრდა. სიტყვების დამთავრების შემდეგ წაკითხულ იქნა მისალოცი დეპეშები, მიღებული სპარსეთის ყოველი კუთხიდან.

ზეიმზე დამსწრე ვაჭრებმა თეირანში საბჭოთა სრულუფლებიანი წარმომადგენლობის და რუსეთ-სპარსეთის ბანკის გამგეობის სახელზე გაგზავნეს შემდეგი დეპეშა:

„დიდ მადლობას გიძღვნით რუსეთ-სპარსეთის ბანკის მე-12 განყოფილების დაარსებისა და გახსნისათვის სამხრეთში. იმედი გვაქვს, რომ საერთო ძალებით, რომელნიც მიმართულნი იქნებიან სავაჭრო და ეკონომიური კავშირის გასაძლიერებლად, რასაც შედეგად მოსდევს ხალხის დოვლათის გადიდება, მიღებული იქნება საჩქარო ზომები ამ მიზნის ცხოვრებაში გასატარებლად და სავსებით შესაძლებელი გახდება სპარსეთის ვაჭრობისა და ეკონომიკის წარმატების დიდი ხნის სურვილის განხორციელება“.

აღნიშნულ დეპეშის საპასუხოდ საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანმა წარმომადგენლობამ სპარსეთში გაგზავნა დეპეშა, რომლითაც მადლობა გამოუცხადა სპარსეთის ვაჭრებს აღნიშნული დეპეშისათვის და გამოსთქვა იმედი, რომ საბჭოთა კავშირის და სპარსეთის ვაჭრობა უფრო მეტად გაფართოვდება მომავალში. (ადს).

მ უ შ ა თ ა ბ რ ძ ო ლ ა

პოლონელ მემაღაროეთა გაფიცვა ერთი დღით

ვარშავა, 24 ივლისი. 25 ივლისს მთელს პოლონეთში მოხდება მემაღაროეთა საპროტესტო გაფიცვა ერთი დღით. გაფიცვის მიზეზია — მწარმოებელთა უარი სამუშაო ხელფასის გადიდებაზე. (ადს)

საბერძნეთის მეზღვაურთა გაფიცვა დამთავრდა

ვენა, 24 ივლისი. საბერძნეთის გაზეთი „ელეფთერონ ვიმა“ იუწყება, რომ საბერძნეთის მეზღვაურთა კავშირმა გადასწყვიტა შესწყვიტოს გაფიცვა, რადგან მთავრობამ იკისრა შუამდგომლობა გემის პატრონებთან მოლაპარაკებაში (ადს).

რეპრესიები გაფიცულთა წინააღმდეგ

ნიუ-იორკი, 24 ივლისი. საფეიქრო წარმოებათა პატრონების თხოვნით, ნიუ-ბედფორდში პოლიციამ დევნა დაუწყო გაფიცულებს, გაფანტა სადარაჯო რაზმები და დააპატიმრა ფეიქართა კავშირის მემარცხენე ფრთის ყველა ის მიმდევარი, რომელიც გაფიცვას ხელმძღვანელობდა (ადს).

შეთანხმება მიღწეულია

პარიზი, 23 ივლისი. ანტვერპენის გაფიცულ დოკერებსა და მეპატრონეებს შორის მიღწეულია შეთანხმება. დოკერების დღიური ხელფასი გადიდებულია 4 ფრანკით 1928 წლის ბოლომდე. შრომის პირობების რეორგანიზაციის საკითხი გადაჭრილ უნდა იქნეს 1928 წლის დამლევამდე. (ადს).

ამერიკის მემაღაროეთა ნაციონალური საორგანიზაციო კომიტეტის განცხადება

ნიუ-იორკი, 23 ივლისი. „მემაღაროეთა ნაციონალურმა საორგანიზაციო კომიტეტმა გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც ჰკიცხავს თავმჯდომარეს ლიუისს. ლიუისმა გამოიწვია მემაღაროეთა დამარცხება პენსილვანიასა და ოჰაიოში და მემაღაროეთა კავშირის დაშლა. კომიტეტი მოუწოდებს მემაღაროეთ—არ შეიტანონ საწევრო გადასახადები. განდევნონ პროფბიუროკრატები, მოაწყონ ახალი კავშირი და აირჩიონ დელეგატები ძმაღაროეთა ყრილობაზე, რომელიც 9 სექტემბერს შესდგება პიტსბურგში. (ადს).

კონფლიქტი ნორვეგიის საამშენებლო მრეწველობაში

სტოკჰოლმი, 23 ივლისი. ოსლოდან მიღებული ცნობით, კონფლიქტი ნორვეგიის საამშენებლო მრეწველობაში, რომელიც 3 კვირას გრძელდებოდა, კომპრომისით დამთავრდა. ორივე მხარემ მიიღო საარბიტრაჟო სასამართლოს წინადადება. მუშებმა ეს წინადადება მიიღეს ხმის უმნიშვნელო უმრავლესობით. საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილების თანახმად სამუშაო ხელფასი, დაუყოვნებლივ მცირდება 8 პროცენტით ხოლო 1929 წლის 15 მაისიდან — კიდევ 4 პროცენტით. შეთანხმება ხელფასის შესახებ იდება 1930 წლის 1 აპრილამდე. (ადს).

დოკერების გამარჯვება

პარიზი, 23 ივლისი. დოკერების გაფიცვა დიუნკერკენში მუშების გამარჯვებით დამთავრდა, რაც გამოიხატა სამუშაო ხელფასის გადიდებაში 42 ფრანკამდე. შესდგა შერეული კომისია ახალი კოლექტიური ხელშეკრულების გამოსამუშავებლად.

ბენეშის, ტიტულესკუს და შტრეზემანის შეხვედრა

პრაღა, 24 ივლისი. გერმანული გაზეთი „ბოჰემია“ იუწყება, რომ კარლსბადში შეხვდებიან ერთმანეთს ბენეში, ტიტულესკუ, და შტრეზემანი. გაზეთი ფიქრობს, რომ ბენეშმა მისი ბერლინში ყოფნის დროს, ვერ ნახა შტრეზემანი, უკანასკნელის ავათმყოფობის გამო და მაშინ ამბობდნენ, რომ მათი შეხვედრა მოხდება კარლსბადშიო. (ადს).

რუსეთის გემების გაყიდვა

ვენა, 24 ივლისი. ეკონომიურ ორგანოს „არგუს“-ის ცნობით, გალაცში დაიწყო საჯარო გაყიდვა 200 გემისა (საბუქსირო გემები, ბარჟები, პონტონები), რომლებიც რუსეთის არმიამ მდ. დუნაისა და პრუტზე დასტოვა უკან დახევის დროს 1917 წელს. გემებს, რომლებიც საერთოდ კარგ მდგომარეობაში აღმოჩნდენ, საზღაპროთ დაბალ ფასებში ყიდულობენ უცხოეთის სანაოსნო კომპანიების წარმომადგენლები.

ბრაილში შესდგა რუმინელ გემის პატრონთა თათბირი, რომელმაც გამოიტანა საპროტესტო რეზოლიუცია გემების გაყიდვის წინააღმდეგ და მოითხოვა, რომ გზათა სამინისტრომ დაამტკიცოს გარიგებანი მხოლოდ რუმინელ მოქალაქეებთან.

გაზეთს საეჭვოდ მიაჩნია გემების აუქციონით გაყიდვის კანონიერება და აღნიშნავს რომ ხსენებული გემები არასოდეს არავის არ გამოუცხადებია სამხედრო ნადავლად ან საკომპენსაციო ფონდად. (ადს).

ვ. ი. ლენინის გამოუქვეყნებელი სადირექტივო დეპეშები

სამარა, 25 ივლისი. გუბერნიის საარქივო ბიურომ აღმოაჩინა ლენინის რამდენიმე გამოუქვეყნებელი სადირექტივო დეპეშა. დეპეშები შეიცავენ სამხედრო, პოლიტიკური და სამეურნეო ხასიათის დავალებებს.

1919 წელს, საწვავი მასალის მწვავე კრიზისის დროს, ყაზახები ხელს უშლიდენ, რომ მოეგზავნათ 200.000 ტონა ემბენის ნავთი გურიევში. 1919 წლის 30 აგვისტოს თარიღით გაგზავნილ დეპეშაში ლენინი დაბეჯითებით სთხოვს თურქესტანის ფრონტის სარდალს ფრუნზეს, „გულდასმით და საგანგებოდ განიხილონ ის საკითხი, თუ როგორ ჩაიგდონ ხელში ნავთი“ და უბრძანებს, რომ მიღებულ იქნას ყველა საჭირო ზომა, რათა ყაზახებმა ნავთს ცეცხლი არ გაუჩინონ. დეპეშის დასასრულ ლენინი სთხოვს „სწრაფსა და სწორ“ პასუხს.

ლენინი ჩვეულებრივ მზრუნველობას იჩენს და ცოტა ხანს შემდეგ ამხ. ფრუნზეს, სუხდუკოვს და ზულიას ასეთი შინაარსის სასწრაფო დეპეშას უგზავნის: „ურალის ყაზახებთან ბრძოლა გაჭიანურდა; ვერ ვამჩნევ რომ საჭირო ზომებს იღებდეთ ამ ფრონტის სასწრაფო ლიკვიდაციისათვის. თუმცა თქვენგან მოვითხოვდი, მთელი თქვენი ყურადღება მიგექცათ ამ საქმისათვის. გაუწყებთ, რომ მოწინააღმდეგე ძალ-ღონეს იკრებს და გამოიყენებს ამ შესვენებას, რომელიც თქვენ მას მიეცით იმ მიზნით, რომ საქმე გაგეთავებინათ მხოლოდ მორიგებით. დაუყოვნებლივ გვაცნობეთ, რა ზომები მიიღეთ მოწინააღმდეგის დასამარცხებლად.

ლენინი“.

1919 წლის მაისში ორენბურგი მძიმე სამხედრო მდგომარეობაში ჩავარდა, რასაც ორენბურგელი მუშები და რკინისგზელები აცნობებენ ლენინს და სთხოვენ დახმარებას. ლენინი პირდაპირის მავთულით ელაპარაკება ფრუნზეს.

„იცით თუ არა ორენბურგის გაჭირვებული მდგომარეობა? დღეს მაცნობეს ორენბურგელების მუდარა, რომ გაუგზავნოთ მათ თუნდაც ერთი ათასი ქვეითი ჯარი და რამდენიმე ესკადრონი. გვაცნობეთ დაუყოვნებლივ, რას აპირებთ და რანაირია თქვენი გეგმები?“

შემდეგ ამას მოსდევს ლენინისათვის ფრიად დამახასიათებელი ფრაზა:

„რასაკვირველია, ჩემი დეპეშა არ უნდა მიიჩნიოთ სამხედრო ბრძანებათა დარღვევად“.

1920 წლის 22 აპრილს ლენინმა როგორც „შრომისა და თავდაცვის საბჭოს“ თავმჯდომარემ დეპეშა გაუგზავნა თურქესტანის ფრონტის სამხედრო-რევოლიუციონურ საბჭოს:

„წინადადებას გაძლევთ ალექსანდროვ გაიემბას ხაზის გაყვანის საჭიროებისათვის დაუყოვნებლივ მოაწყოთ ტელეგრაფის სპეციალური ხაზი სარატოვ-ნოვოუზენსკს შორის. ამ მიზნისათვის გამოიყენეთ მასალა, რომელიც თურქესტანის ფრონტის განკარგულებაშია. მუშაობას შეუდექით, მოხსენება გამოგზავნეთ“. (ადს).

კელოგი განმარტებას იძლევა

ნიუ-იორკი, 24 ივლისი. რესპუბლიკანური პრესის კრიტიკული კომენტარიების გავლენით, რომლებიც ხაზს უსვამენ იმ გარემოებას, რომ ხელშეკრულება ომის აკრძალვის შესახებ ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატებს ევროპის საქმეებში ჩაითრევს, კელოგმა გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიაც ნათქვამია, რომ ხელშეკრულება ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატებს არავითარ პასუხისმგებლობას და ვალდებულობას არ აკისრებს ევროპის მიმართ.

ევროპის სახელმწიფოების მიერ ხელშეკრულების მიღების შესახებ ცნობის გამოქვეყნებისთანავე, საზღვაო საქმეების კომისიის თავმჯდომარემ გეილმა განაცხადა, რომ საჭიროა საზღვაო შეიარაღების გაფართოებული პროგრამის დამტკიცება. (ადს).

ნობილეს ექსპედიციის გარშემო

„კრასინი“ მიდის გეტებორგში

მოსკოვი, 25 ივლისი. „იტალიის“ დამხმარე კომიტეტში მიღებული ცნობების მიხედვით. ნორვეგიის დოკებს „კრასინისათვის“ საჭირო 28 ფუტის მაგიერ 23 ფუტის სიღრმე აქვთ. ამის გამო კომიტეტმა უბრძანა „კრასინს“ წავიდეს შვეციის ნავთსადგურ გეტებორგში. (ადს).

„ჩიტა დი მილანო“

რომი, 24 ივლისი. სტეფანის სააგენტო იუწყება, „22 ივლისს „ჩიტა დი მილანო“ წავიდა ნარვიკს, სადაც გადმოსვამს ექსპედიციის გადარჩენილ მონაწილეებს. შემდეგ გემი შპიცბერგენში დაბრუნდება“. (ადს).

„ლატამის“ ძებნის შემდეგ

ოსლო, 24 ივლისი. 24 ივლისს ტრომსეში მოვა ნორვეგიის კრეისერი „ნორდენშოლდ“-ი და საფრანგეთის კრეისერი „სტრასბურგი“ რომელნიც უნაყოფოდ ეძებდენ „ლატამს“. (ადს).

საბჭოთა კავშირი, შეერთებული შტატები და ინგლისი

ლონდონი, 24 ივლისი. ლიბერალური „მანჩესტერ—გარდიენი“ მოწინავე წერილში ადარებს შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა კავშირს შორის, დიპლომატიური ურთიერთობის უქონლობის მიუხედავად, არსებულ მეგობრულ განწყობილებას იმ „ცივ მტრულ განწყობილებასთან“, რომელიც ახასიათებს ინგლის-საბჭოთა კავშირის მიმართ. გაზეთი აღნიშნავს აგრეთვე ჩუხნოვსკისა და სამოილოვიჩის მიწვევას შეერთებულ შტატებში.

გაზეთი სწერს:

„ჩუხნოვსკიმ და სამოილოვიჩმა, რომელთაც თავიანთი პოლიტიკური მტრები გადაარჩინეს, ნაყოფიერი მოქმედებით დიდი სახელი მოიხვეჭეს. ასეთი გმირების სტუმრობა საამაყო იქნება ყოველი ქვეყნისათვის“ .

ბოლოს, გაზეთი აღნიშნავს, რომ დღევანდელი მთავრობის პოზიციამ საბჭოთა კავშირის მიმართ დიდი ზარალი მოუტანა ინგლისს“. (ადს).

მფრინავი ჩუხნოვსკის მოხსენება

მოსკოვი, 25 ივლისი. „იტალიის“ დამხმარე კომიტეტმა მიიღო მფრინავი ჩუხნოვსკის მოხსენება მისი გაფრენის შესახებ .

„ის ადგილი, სადაც მოსალოდნელი იყო ვილიერის ჯგუფის ყოფნა,—ამბობს ამხ. ჩუხნოვსკი,—მდებარეობდა წყლის დიდი სივრცის შუა. 80 გრადუსის და 42 წუთის განედზე და 25 გრადუსის და 45 წუთის სიგრძეზე მექანიკოსმა შელავინმა შეამჩნია ადამიანები. მე მათ ხუთჯერ შემოვუარე და ვეშვებოდი 50 მეტრის სიმაღლემდე. გარკვევით არაფერი მოსჩანდა. კრგად შევამჩნიე ყინულზე ორი ადამიანი, ხოლო რამდენიმე მანძილზე მათგან თავდაპირველად ხელბაწვლილი მწოლარე ადამიანის სილუეტი. მე მოვემზადე სურათის წყალში გადასაგდებად, მაგრამ წვეტიანი და წყლით გარშემორტყმული ყინულის მცირე სივრცის გამო უარვყავი ეს გეგმა და გავემართე „კრასინ“-ისაკენ. როდესაც კარლის კუნძულს გავსცილდით, მოვხვდით სქელ ნისლში. როცა მოვაღწიეთ იმ ადგილს, სადაც ვარაუდით „კრასინი“ უნდა ყოფილიყო, მე დავიწყე მისი ძებნა. 21 საათზე ნისლში გახვეული დავეშვი ყინულზე,რომელიც მოლიპული აღმოჩნდა. ყინულზე დაშვების დროს შაეროპლანი დაზიანდა. მთელი გაფრენა და აღმოჩენილი ჯგუფი გადაღებულია კინოოპერატორის მიერ. მე შევუდექი ყინულის მდგომარეობის გამორკვევას და დავდგი რადიო-ანძა, რის შემდეგაც კავშირი გავაბი «კრასინ“-თან. ვაცნობე მალმგრემის, ყინულის დაზვერვის და ჩვენი მდგომარეობის შესახებ. ვაცნობე აგრეთვე, ჩემი მოსაზრება ამ ჯგუფის დაუყოვნებელი გადარჩენის შესახებ. ამ ხნის განმავლობაში ეკიპაჟი მხნედ გრძნობდა თავს. 16 ივლისს აეროპლანი ატანილ იქნა „კრასინ“-ზე.

მთელი ავიოჯგუფის სახელით გთხოვთ მიიღოთ მხურვალე მადლობა გამოგზავნილი სალამისათვის. იმედი გვაქვს ახალი ძალებით შევასრულოთ კომიტეტის ყველა დავალება“. (ადს).

‘ს ხ ვ ა დ ა ს ხ ვ ა

მიულერი შვებულებაში

ბერლინი, 24 ივლისი. გაზეთების ცნობით, რეიხსკანცლერი მიულერი შვებულებაში წავიდა. მის მოვალეობას ასრულებს სამხედრო მინისტრი გრენერი. (ადს).

ამნისტია ბეხერს არ ეხება

ბერლინი, 24 ივლისი. საქმე კომუნისტ მწერლის იოგან ბეხერისა, რომელსაც სახელმწიფო ღალატი ბრალდებოდა, მიუხედავად გამოცხადებული ამნისტიისა, ჯერ არ მოუსპიათ. (ადს).

რადიოლოგების კონგრესი

სტოკჰოლმი, 24 ივლისი. გაიხსნა რადიოლოგების მეორე საერთაშორისო კონგრესი.

მფრინავ უორის დაღუპვა

ლონდონი, 22 ივლისი. გამოირკვა, რომ დაიღუპა უგზო-უკვლოდ დაკარგული მფრინავი უორი, რომელიც მონაწილეობას იღებდა მფრინავების შეჯიბრებაში. გვამი და აპარატის ნამსხვრევები იპოვეს ერთ-ერთ მთაზე სელერკის ახლოს. (ადს).

შიმშილობა ანატოლიაში

ანგორა, 24 ივლისი. ოფიციალური ცნობებით, ექვს ვილაიეთში შიმშილს განიცდის 50.000 ოჯახი, სულ 200.000 კაცი. საჭიროა ხანგრძლივი დახმარება. მთავრობა დარწმუნებულია, რომ ის საკუთარი ძალებით შესძლებს დამშეულთა დახმარებას და არავითარი საზოგადოებრივი ორგანიზაცია არ დაარსდება. (ადს).

სპარსეთის საელჩოს ახალი მრჩეველი

თეირანი, 20 ივლისი. კომპეტენტური წყაროებიდან იუწყებიან, რომ სპარსეთის საელჩოს დღევანდელი მრჩევლის ნურზადის ნაცვლად მოსკოვში დაინიშნა საგარეო საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო დეპარტამენტის დირექტორი ანსარი, რომელიც 1927 წლამდე მოსკოვში მუშაობდა სპარსეთის საელჩოს პირველი მდივნის თანამდებობაზე. ანსარი შვილია სპარსეთის საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრის ალი-გოლი ანსარისა, რომელიც ამ ცოტა ხნის წინად დაინიშნა სპარსეთის ელჩად საბჭოთა კავშირში. (ადს).

ინგლისის „ცივილიზაცია“ იემენში

ლონდონი, 24 ივლისი. მიღებულია ცნობები, რომ ინგლისელებსა და იემენის იმამის იახიას ჯარებს შორის მოხდა ახალი შეტაკებები. 25 და 26 ივნისს ინგლისის, ბომბისმზიდავი აეროპლანები თავს დაესხნენ იემენის ზოგიერთ დასახლებულ პუნქტებს. ჰაერიდან ყუმბარების დაშენამ გამოიწვია დიდი ნგრევა და მრავალი მსხვერპლი. თავდასხმა განმეორდა 1 ივლისს, როდესაც აეროპლანებმა იმამატის დედა-ქალაქ სანაას მიაღწიეს.

„გააუქმეს“

ბერლინი, 25 ივლისი. პროფკავშირების საოლქო რეფორმისტულმა გამგეობამ დაშლილად გამოაცხადა ბერლინის საფეიქრო მუშათა კავშირის ადგილობრივი გამგეობა, რომელშიაც 7 კომუნისტი შედიოდა. (ადს).

მ ო ს კ ო ვ ი

(ტელეგრაფით საკუთარი კორესპონდენტისაგან)

ერთა ლიგის წესდების გადასინჯვა

მოსკოვი, 25 ივლისი. მოსკოვში მიღებულ ცნობების მიხედვით ერთა ლიგის წრეებში ტრიალებს აზრი ლიგის წესდების მე-19 პარაგრაფისა და ზოგიერთ სხვა დაძველებულ მუხლების ნაწილობრივ შეცვლის შესახებ.

ახალი ელექტრო-სადგურები

მოსკოვი, 25 ივლისი. „მთაველექტრო“-მ გამოაქვეყნა საბჭოთა კავშირის ელექტროფიკაციის 5 წლიანი გეგმის საკონტროლო ციფრები. გეგმით გათვალისწინებულია 800 ახალი სასოფლო ელექტრო-სადგურების მოწყობა, რომელთა ძალის საერთო რაოდენობა 160.000 კილოუატამდე აღწევს. სულ, 5 წლიანი გეგმის განხორციელების შემდეგ, იქნება 1.800 ელსადგური.

ახალგაზრდა სპეციალისტები ს გაგზავნა საზღვარ-გარეთ

მოსკოვი, 25 ივლისი. პარტიის დირექტივის თანახმად, მიმდინარე წელს განათლების სახალხო კომისარიატი საზღვარგარეთ აგზავნის 250 ახალგაზრდა სპეციალისტს. გარდა ამისა, 200 სპეციალისტს აგზავნის სახალხო მეურნეობის საბჭო და 50-ს გზათა სახალხო კომისარიატი. სპეციალისტები გაიგზავნებიან გერმანიაში, ინგლისში და ამერიკაში.

„ცენტროსოიუზი“-ს საბჭოს წევრები ამიერ-კავკასიიდან

მოსკოვი, 25 ივლისი. „ცენტროსოიუზი“-ს საბჭოში ამიერ-კავკასიიდან არჩეული არიან ამხ. ტოროშელიძე, ზარაფიანი, ერისთავი და სტანბოლციანი.

ღამის ცნობები

კომუნისტების დახვრეტა

შანხაი, 25 ივლისი. ხანჩჟოუდან (ჩჟეცზიანის პროვინციის მთავარი ქალაქი) მიღებული ცნობით, იქ დააპატიმრეს ლი-ლიაო-სიანი და ფინ ვენ-პაო, ფინხუაში (ჩჟეცზიანი) მომხდარი კომუნისტური აჯანყების ხელმძღვანელი, ორივე დახვრიტეს. სვატოუში უკანასკნელი ორი კვირის განმავლობაში დააპატიმრეს 108 კომუნისტი. აქედან დახვრიტეს 68. დაპატიმრებულებს ბრალდებოდათ შეთქმულების მოწყობა ხელისუფლების წინააღმდეგ. დახვრეტილთა შორის ბევრია ქალები და ახალგაზრდობა. (ადს).

ჩინეთის ნაციონალური მთავრობის დეკლარაცია

მოსკოვი, 25 ივლისი. საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატმა ჩინეთის საელჩოსაგან მიიღო ნოტა, რომელშიაც ნათქვამია, რომ საელჩო, საგარეო საქმეთა სამინისტროს დავალებით უგზავნის კომისარიატს ჩინეთის მთავრობის დეკლარაციის ტექსტს ახალი ხელშეკრულებების დადების შესახებ. (ადს).

პუანკარეს ვაჭრობა

პარიზი, 24 ივლისი. სარეპარაციო გადასახადთა მთავარმა კომისარმა ჟილბერტმა ხელახლა ინახულა პუანკარე. პოლიტიკურ წრეებში ფიქრობენ, რომ 1929 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შედგენასთან დაკავშირებულ სიძნელეთა გამო პუანკარე დათანხმდება დაუესის გეგმის გადათვალიერებაზე, მის შემსუბუქებაზე და გერმანიის ვალდებულებათა საბოლოო ჯამის განსაზღვრაზე იმ პირობით, თუ სათანადოდ შემცირდება ის ვალი რომელიც საფრანგეთს მოკავშირეებისა მართებს. (ადს).

მაქსიმ გორკი ერევანში

ერევანი, 25 ივლისი. ერევანში გორკი გაეცნო სომხეთის პროლეტარულ მწერალთა ჯგუფს. გორკიმ დაათვალიერა კულტურის სახლი, საჯარო ბიბლიოთეკა, არქეოლოგიური და რევოლუციონური მუზეუმი და სურათების გალერია. შემდეგ გაემგზავრა ამხ. რიკოვის სახელობის ჰიდრო-სადგურზე და ბამბის ქარხანაში. აქ გორკიმ დაათვალიერა სომხეთის მებამბეობის კომიტეტის მუშათა უბანი.

საღამოს კომუნარების ბაღში შესდგა მრავალრიცხოვანი მიტინგი, რომელზედაც მწერალს მხურვალე ოვაციები გაუმართეს.

საბჭოთა კავშირში

თურქეთის ახალი სამხედრო ატაშე

მოსკოვი, 25 ივლისი. ჩამოვიდა ემირ ლიუფტილბეი, რომელიც დაინიშნა თურქეთის სამხედრო ატაშედ საბჭოთა კავშირში.

მაკ-კეროლის ფრენა დედამიწის გარშემო

მოსკოვი, 25 ივლისი. აგვისტოს დამდეგს დეტროიტიდან გაფრინდება ამერიკელი მფრინავი მაკ-კეროლი, რომელმაც დედამიწას გარშემო უნდა შემოუაროს. კეროლი მოსკოვზედაც გადაივლის. ფრენის დროს კეროლი 4-ჯერ დაეშვება, ყოველი 40-60 ს. შემდეგ. (ადს).

პირველი თვითმფრინავი მოსკოვიდან სვერდლოვსკში

სვერდლოვსკი, 25 ივლისი. მოსკოვიდან მოფრინდა პირველი თვითმფრინავი ფოსტით. (ადს).

თაჯიკისტანის აქტივისტების დახოცვა

დიუშამბე, 25 ივლისი. მხეცურად დახოცეს თაჯიკისტანის საუკეთესო აქტივისტები პარტიის წევრები—ლაკაის რაიონის აღმასკომის თავმჯდომარე ზეინაბ კურბანოვი და მისი მოადგილე ბეკ-მუხამედოვი, ორივე ამხანაგს ღარიბ გლეხებსა და მოჯამაგირეთა შორის უდიდესი ავტორიტეტი ჰქონდათ. თაჯიკისტანის მთავრობამ ენერგიული ზომები მიიღო მკვლელებისა და მათი წამქეზებლების შესაპყრობად. (ადს).

პენჯიკენტის მილიციის მუშაკთა საქმე

სამარყანდი, 25 ივლისი. პენჯიკენტის ვილაეტის აღმასკომის თავმჯდომარეს რახიმოვს ძალა-უფლების გადამეტებისათვის, მოქალაქეთა უკანონოდ დაპატიმრებისათვის და დეხკანების ცემისათვის უზბეკისტანის უზენაესმა სასამართლომ მიუსაჯა 8 წლის პატიმრობა სასტიკი იზოლაციით და უფლებათა აყრა; მოზიან-ხერაბის სასოფლო საბჭოს ყოფილ თავმჯდომარეს, რახიმოვის დამხმარეს აბდუსამატოვს—6 ნახ. წლის პატიმრობა სასტიკი იზოლაციით და უფლებათა აყრა; დოროფეევს, მილიციის ყოფილ უფროსს—სამი წლის პატიმრობა. სასამართლომ მხედველობაში მიიღო დოროფეევის ღვაწლი ბასმაჩობის ლიკვიდაციის საქმეში და სასჯელი შეუმცირა ერთ წლამდე. (ადს).

საბჭოთა კავშირის ს. მ. უ. ს. პრეზიდიუმის ახალი წევრები

მოსკოვი, 24 ივლისი. საბჭოთა კავშირის სახ. კომისართა საბჭომ დანიშნა საბჭოთა კავშირის სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმის წევრებად — ამხანაგები: კოლევიცი, ოულინი, ჩუბაროვი, რულინი, კრავალი და ზოლოტარევი. (ადს)

დროებით საკონტროლო კომისიების რიცხვის გადიდება

მოსკოვი, 24 ივლისი. სამეურნეო მუშაკების კრებაზე, საკავშირო პროფსაბჭოს წარმომადგენლის ამხ. პოპოვის მოხსენების მიხედვით, გადაწყდა დროებითი საკონტროლო კომისიების რიცხვის გადიდება 2—3 ათასამდე. დროებითი საკონტროლო კომისიები დაარსდებიან არა მარტო სამრეწველო, არამედ საბჭოთა, სავაჭრო და კოოპერატიულ დაწესებულებებსა და წარმოებებში და პროფორგანიზაციებშიც. (ადს)

დახმარება შვეციის მემაღაროეთ

მოსკოვი, 24 ივლისი. საბჭოთა კავშირის მემაღაროეთა კავშ. ცეკამ შვეციის მემაღაროეთა კავშირის ცეკას გადაუგზავნა 16.000 მანეთი გაფიცულ მემაღაროეთა დასახმარებლად. სულ გადაიგზავნა 441.000 მანეთი. (ადს)

ტოლსტოის დაბადების ასი წლის თავი

მოსკოვი, 24 ივლისი. 23 ივლისს შესდგა ტოლსტოის დაბადების ასი წლის თავის აღსანიშნავად დაარსებული საიუბილეო კომისიის სხდომა. ამხ. ლუნაჩარსკიმ განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირის და რ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის სახკომსაბჭოებმა იუბილეს ჩასატარებლად 150.000 მანეთი გადასდვეს.

უცხოეთთან კულტურული კავშირის საკავშირო საზოგადოებაში შემოვიდა განცხადებები ბელგიის, დანიის, ინგლისის, ესპანეთის, ჩეხო-სლოვაკიის და სხვა ქვეყნების სამეცნიერო და სალიტერატურო საზოგადოებებისა, ცალკე საზოგადო მოღვაწეებისა და მწერლებისაგან, რომ მათ სურთ დაესწრონ ტოლსტოის საიუბილეო დღესასწაულებს. (ადს)

სავინკოვის ამბოხების ლიკვიდაციის 10 წლის თავი

იაროსლავლი, 24 ივლისი. 10 წელიწადი შესრულდა მას შემდეგ, რაც სავინკოვის ამბოხების ლიკვიდაცია მოხდა. 16 დღის განმავლობაში თეთრებმა დაანგრიეს და გადაწვეს ნახევარი ქალაქი, უსახლკაროდ დასტოვეს 40.000 კაცი. ამჟამად აღდგენილი და აგებულია განადგურებულ შენობათა ნახევარზე მეტი. ცეცხლის ნაოხარზე ჩნდება მუშათა უბნები. ამბოხების ლიკვიდაციის დღე გუბერნიაში უქმე დღედ არის გამოცხადებული.

პურის დამზადება

მოსკოვი, 25 ივლისი. საკავშირო ვაჭრობის სახ. კომისარიატის წინასწარი ცნობებით, ივლისის მეოთხე ხუთდღეულში დამზადებულ იქნა 11.826 ტონა პურის პროდუქტი, გასული თვის ხუთდღეულში კი დამზადებულ იქნა 10 317 ტონა. სულ ივლისში, 20 დღის განმავლობაში, დამზადებულ იქნა 58.473 ტონა პურის პროდუქტი.

დახმარება რუანის გაფიცულ მტვირთავებს

მოსკოვი, 25 ივლისი. ნავსადგურის მუშათა საფრანგეთის ფედერაციის თხოვნით ტრანსპორტელთა პროპაგანდისა და მოქმედების საერთაშორისო კომიტეტმა რუანის გაფიცულ მტვირთავებს დახმარების სახით 1,000 მანეთი გაუგზავნა. (ადს)

„ცენტროსოიუზ"-ის რწმუნებულთა კრება

მოსკოვი, 25 ივლისი. შესდგა საბჭოთა კავშირის „ცენტროსოიუზ"-ის რწმუნებულთა პირველი საორგანიზაციო კრება.

კრებამ დაამტკიცა ს. ს. რ. კ. „ცენტროსოიუზ"-ის წესდება და აირჩია მმართველობის ორგანოები. „ცენტროსოიუზ"-ის გამგეობაში არჩეულ იქნენ: ლიუბიმოვი (გამგეობის თავმჯდომარე), კისინი, კლიმოხინი, ზიკოვი, ზერნოვი, აგეევი, პოზნიშევი და სხვ. სულ 26 კაცი.

შესდგა აგრეთვე რუსეთის ს. ფ. ს. რ.-ის „ცენტროსოიუზ"-ის რწმუნებულთა საორგანიზაციო კრება, რომელზედაც დამტკიცებულ იქნა რ. ს. ფ. ს. რ.-ის „ცენტროსოიუზ"-ის წესდება და აგრეთვე მოხდა გამგეობის არჩევნები. რ. ს. ფ. ს. რ-ის „ცენტროსოიუზ"-ის გამგეობაში არჩეულ იქნენ: ლიუბიმოვი (თავმჯდომარე), კისინი, კლიმოხინი, კრუმინი, ზინოვიევი და სხვ. სულ 27 კაცი. (ადს)

ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის გამოშვება

მოსკოვი, 25 ივლისი. იმ თანხების გასაძლიერებლად, რომლებიც ხმარდება მრეწველობისა და სასოფლო მეურნეობის კაპიტალური მშენებლობის ფინანსებით მომარაგებას, საბჭოთა კავშირის მთავრობამ დაადგინა, გამოუშვას ინდუსტრიალიზაციის მეორე სახელმწიფო შინაური მომგებიანი სესხი. გამოშვებული იქნება 500 მილიონი მანეთის სესხი ორჯერად, თვითეულ გამოშვებაზე 250 მილიონი მანეთისა. სესხის ერთი გამოშვება იქნება პროცენტიან - მომგებიანი. ობლიგაციების პატრონებს ფულის ნაწილი მიეცემათ პროცენტების სახით — კუპონების მიხედვით, ნაწილი — მოგების სახით: სესხის მეორე გამოშვება იქნება უპროცენტო-მომგებიანი. ამ ობლიგაციების პატრონებს ფული მიეცემათ მოგების სახით. სესხის თვითეული გამოშვება გაყოფილია 5 თანრიგად, თვითეული თანრიგი შეიცავს 50 მილიონ მანეთს. თვითეული თანრიგი თავისი მხრით გაყოფილია 80.000 სერიად, თვითეული სერია — 25 ობლიგაციად. სერიის ღირებულება უდრის 625 მანეთს. სესხი გამოცემული იქნება ოცდახუთ-ხუთ მანეთიან ობლიგაციებად. ობლიგაციების ერთი ნაწილის ყოველი ობლიგაცია გაყოფილი იქნება 5 თანაბარ, ხუთ-ხუთ მანეთიანი ღირებულების ნაწილად. სესხით განაღდებული მთელი თანხიდან 10 პროცენტი გადაიდება ადგილობრივი საჭიროებისათვის.

პროცენტიან - მომგებიან ობლიგაციებს წლიურად 6 პროცენტი მოეთვლება. სესხი გამოშვებული იქნება 10 წლის ვადით — 1928 წლის 1 სექტემბრიდან 1938 წლის 1 სექტემბრამდე. ამ ვადის განმავლობაში სესხის თვითეულ გამოშვებაზე მოხდება მოგებათა 38 ტირაჟი, ყოველ წლიურად 4 ტირაჟი, ხოლო უკანასკნელ წელიწადს 2 ტირაჟი. სესხის თვითეულ გამოშვებათათვის გადადებული იქნება 100 მან., 250 მან., 1,000 მან. და 5.000 მანეთიანი მოგება. მოგებათა უველაზე დიდი ნაწილი მოდის 100 მანეთიან მოგებაზე. სესხის ობლიგაციები, მათი შემოსავალი და მოგება განთავისუფლებულია ყოველგვარი საერთო-სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გადასახადისაგან. პატრონებს შეუძლიათ სესხის ობლიგაციები თავისუფლად გაჰყიდონ და დააგირაონ; ობლიგაციები გირაოდ გამოდგება სახელმწიფო იჯარის აღების დროს, აგრეთვე ვადაგაგრძელებულ აქციზების და საბაჟო გადასახადების გასატუმრებლად უზრუნველსაყოფად იმ კურსის მიხედვით, რომელსაც დააწესებს საბჭოთა კავშირის ფინანსთა კომისარიატი.

ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის პროცენტიან - მომგებიანი გამოშვების პირველ ტირაჟში ერთი მოგება მოდის საშუალოდ 344 ობლიგაციაზე, უპროცენტო - მომგებიანი ობლიგაციების მოგების შანსი მეტია, პირველ ტირაჟში ერთი მოგება საშუალოდ 161 ობლიგაციაზე მოდის. (ადს)

სამხედრო მფრინავის ალ. პავლოვის დაღუპვა

მოსკოვი, 25 ივლისი. მუშათა და გლეხთა წითელი არმიის საჰაერო ძალთა სამმართველო იტყობინება:

„22 ივლისს ამხ. ფრუნზეს სახელობის ცენტრალურ ჰაეროდრომზე ტრაგიკულად დაიღუპა მუშათა და გლეხთა წითელი არმიის რევოლუციონური სამხედრო საბჭოს სამეცნიერო - საცდელი ინსტიტუტის უფროსი სამხედრო მფრინავი ალექსი პავლოვი, პავლოვი დაიღუპა სწორედ მაშინ, როცა თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოება მუშათა და გლეხთა წითელ არმიის რევოლუციონურ სამხედრო საბჭოს საჰაერო ძალებს აბარებდა 20 ახალ თვითმფრინავს. ზეიმის დროს პავლოვი ატარებდა საკუთარი კონსტრუქციის ავიეტკას და დაიწყო ფიგურების კეთება. ჰაერში მობრუნებისას ვერ მოასწრო მანქანის გასწორება და დაეცა მიწაზე. აპარატი დაიმსხვრა. მფრინავი გარდაიცვალა. პავლოვის დაკრძალვა მოხდება 25 ივლისს. მუშათა და გლეხთა წითელი არმიის სამხედრო რევოლუციონურ საბჭოს სამეცნიერო საცდელ ინსტიტუტთან შესდგა პავლოვის დამკრძალავი სპეციალური კომიტეტი. (ადს)

ივენგარი ამხ. უხანოვთან

მოსკოვი, 25 ივლისი. მოსკოვის საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. უხანოვმა მიიღო ინდოეთის ნაციონალური მოძრაობის ბელადი შრინივაზ ივენგარი, რომელიც ამჟამად მოსკოვში იმყოფება.

ხანგრძლივი საუბრის დროს ამხ. უხანოვმა ყოველმხრივ გააცნო სტუმარს მოსკოვის საბჭოს სტრუქტურა და მუშაობა. ივენგარს განსაკუთრებით აინტერესებდა ქალაქისა და სოფლის კავშირის, ბიუროკრატიზმთან ბრძოლის და ამომრჩეველთა აქტივობის ზრდის საკითხები.

საპასუხო სიტყვაში ივენგარმა აღნიშნა, რომ ამხ. უხანოვთან საუბარი მისთვის წარმოადგენდა იმ საუბრების ძვირფას დამატებას, რომლებიც მას უკვე ჰქონდა საბჭოთა საზოგადოებრიობის თვალსაჩინო წარმომადგენლებთან.

„ყოველივე ის, რაც აქ ვნახე, — განაცხადა ივენგარმა, — აღფრთოვანების წყარო იქნება ჩემთვის იმ უდიდეს ბრძოლაში, რომელსაც ჩაგრული ინდოეთის ხალხი აწარმოებს. საბჭოთა კავშირის შრომელმა მასებმა შექმნეს ისეთი წყობილება, რომელიც ცოცხალ მაგალითს წარმოადგენს ჩაგრული კაცობრიობისათვის. საბჭოთა კავშირის ხალხებმა დასახეს ის ერთად-ერთი სწორი გზა, რომელსაც აუცილებლად უნდა დაადგნენ იმპერიალიზმის მიერ დაჩაგრული ხალხები". (ადს)

უმაღლეს ტეხნიკურ სასწავლებლებში გასაგზავნი 1000 პარტიულის განაწილება პარტორგანიზაციებს შორის

მოსკოვი, 25 ივლისი. რათა შესრულებულ იქნას ცეკას ივლისის პლენუმის დადგენილება პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო სამუშაოდან 1.000 პარტიულის უმაღლეს ტეხნიკურ სასწავლებლებში გაგზავნის შესახებ, ცეკამ დაამტკიცა პროფგანათლების მთავარ სამმართველოსთან შეთანხმებული გეგმა. ამ გეგმის მიხედვით, უმაღლეს ტეხნიკურ სასწავლებლებში გასაგზავნი 1,000 პარტიული უნდა განაწილდეს პარტორგანიზაციებს შორის. განაწილების თანახმად, მოსკოვის გუბერნიას ეძლევა 400 ადგილი, უკრაინას — 300, ლენინგრადის ოლქს — 250, ჩრდილოეთ კავკასიას — 60, ამიერ - კავკასიას — 60, ციმბირს — 50, ურალს — 50, ბელორუსიას — 25, შორეულ აღმოსავლეთის ოლქს —15, უზბეკისტანს — 15, თათართა რესპუბლიკას — 10, ყაზაკისტანს — 10, ბაშკირიას — 7, ყირიმს — 7, თურქმენისტანს — 8 და სხვ.

1,000-ის ანგარიშში გასაგზავნთა შერჩევას აწარმოებენ სათანადო სახალხო კომისარიატებთან დაარსებული კომისიები, პროფესიონალური და სამეურნეო ორგანიზაციების და განათლების სახალხო კომისარიატის წარმომადგენლები.

ცეკა დაეთანხმა პროფგანათლების მთავარ სამმართველოს წინადადებას აკადემიური შეღავათების მინიჭების შესახებ უმაღლეს ტეხნიკურ სასწავლებლებში შემსვლელთათვის. უმაღლეს ტეხნიკურ სასწავლებლებში 1000-ის ანგარიშზე გაგზავნილთა ასაკი არ უნდა აღემატებოდეს 35 წელიწადს. მათ უნდა ჰქონდეთ 4—5 წლის გამოცდილება პარტიულ, საბჭოთა, პროფესიონალურ ან სამეურნეო მუშაობაში.

მთელი მუშაობა 1000-ის მიხედვით უნდა დამთავრდეს 1 სექტემბრისათვის. (ადს)

ლიტერატურა პარტიის მეორე ყრილობის იუბილესათვის

მოსკოვი, 25 ივლისი. პარტიის მეორე ყრილობის იუბილისათვის პარტისმა საკავშირო კომპარტიის (ბ) საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებასთან ერთად გამოუშვა და ადგილობრივად დაგზავნა ამხ. ლენინის ბროშიურა „ბოლშევიზმის სათავეებთან". გამოვიდა ჟურნალის „პროლეტარული რევოლუციის" მე-6—7 ნომრები, სადაც მოთავსებულია ამხ. სიგელის, ბუბნოვის და შოტმანის წერილები და მოგონებანი. „რევოლუციის მუზეუმთან" ერთად პარტისი მოსკოვში აწყობს გამოფენას პარტიის მეორე ყრილობის აღსანიშნავად. გამოფენა გაიხსნება 30 ივლისს „რევოლუციის მუზეუმში". „რევოლუციის მუზეუმი" დიდ პროვინციალურ ქალაქებში გზავნის სასტანდარტო კომპლექტებს იუბილის აღსანიშნავად ადგილობრივ გამოფენებისათვის, თვითეულ კომპლექტში შედის 100 ექსპონატზე მეტი. (ადს).

1927 წლის 10 პროც. სესხის ტირაჟი

ნიჟნი-ტაგილი, 25 ივლისი. 1927 წლის 10 პროცენტიანი სესხის მოგებათა ტირაჟის დროს 5.000 მანეთიანი მოგება ხვდა შემდეგ ნომრებს:

011061, სერია 7; 032651, სერია 6; 040027 სერია 17; 072345, სერია 7; 129176, სერია 2: 146153, სერია 9; 157538, სერია 7; 159720 სერია 19; 190996, სერია 7; 193945 სერია 13.

10.000 მანეთიანი მოგება ხვდა შემდეგ ნომრებს:

69599, სერია 17; 072385, სერია 18: 131780, სერია 11; 140140; სერია 13: 153945, სერია 8.

25.000 მანეთიანი მოგება ხვდა შემდეგ ნომრებს:

060974, სერია 16; 195645, სერია 9.

50.000 მანეთიანი მოგება ხვდა 164803 ნომერს, სერია 19. (ადს).

მაქსიმ გორკი სომხეთში

ერევანი, 25 ივლისი. 25 ივლისს ნაშუადღევის 1 საათზე, ერევანში მოვიდა მაქსიმ გორკი. გორკი მოვიდა ავტომობილით კარაკლისისა და დილიჟანის გზით. გორკისთან ერთად მოვიდნენ ამიერ-კავკასიის სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ამხ. ელიავა და გორკის შესახვედრად წასული სომხეთის სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ტერ-გაბრიელიანი, სახ. განათლების კომისარი მრავიანი, პროლეტარული მწერლების წარმომადგენლები და სხვანი.

კარაკლისში მაქსიმ გორკიმ დაათვალიერა დასასვენებელი სახლი, სადაც ერთი საათი ესაუბრებოდა დასასვენებლად ჩასულებს, რომლებმაც გამოთხოვების დროს გორკის ვეებერთელა თაიგული გადასცეს.

დილიჟანში ახალი სასტუმროს წინ გაიმართა მიტინგი, რომელზედაც გამოვიდნენ პროლეტარული მწერლების წარმომადგენლები და ადგილობრივ საბჭოთა და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლები.

საპასუხო სიტყვაში გორკიმ მადლობა გამოუცხადა ყველას გულითადი დახვედრისათვის.

საღამოს 6 საათზე ერევანში კომუნარების დიდ ბაღში მაქსიმ გორკის ქალაქში ყოფნის აღსანიშნავად გაიმართება მასიური მიტინგი. შემდეგ მოხდება გორკის შეხვედრა მუშკორებთან და სომხეთის ლიტერატურული ჯგუფების წარმომადგენლებთან. (ადს)

სტუდენტ პრაქტიკანტებისა და სტაჟიორების საქალაქო კრება

გუშინ, საღამოს პროფსაბჭოს დიდ დარბაზში შესდგა სტუდენტ - პრაქტიკანტებისა და სტაჟიორების საქალაქო კრება, რომელიც მოწვეული იყო პროლეტ. სტუდენტობის ცენტრალური ბიუროს ინიციატივით.

სტუდენტთა პრაქტიკანტობისა და სტაჟიორობის საქმის მდგომარეობის შესახებ მოხსენებით გამოვიდა განათლების სახ. კომისარიატის წარმომადგენელი ამხ. ნ. კვინიკაძე.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ პრაქტიკანტობის და სტაჟიორობას განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა, რადგან ეს არის ერთად ერთი საშუალება ახალი, წითელი სპეციალისტების მოსამზადებლათ. მოთხოვნილება სპეციალისტთა ახალ კადრებზე თანდათან იზრდება და ჯერ - ჯერობით ამ მოთხოვნილების სავსებით დაკმაყოფილება ძნელდება. ამის მიზეზათ მომხსენებელი იმ გარემოებას ასახელებს, რომ ჩვენში უმაღლესი სწავლის მიღება ახალი საქმეა და ამიტომ არ არსებობს რაიმე ტრადიცია პრაქტიკანტობისა და სტაჟიორობის დარგში.

შემდეგ მომხსენებელს მოჰყავს ცნობები მოსწავლეთა რიცხვის შესახებ რესპუბლიკის ყველა უმაღლეს სასწავლებლებში და სპეციალურ ტეხნიკუმებში და აღნიშნავს, რომ წინასწარი გეგმით ამ წელს სამრეწველო პრაქტიკისა და სტაჟის მისაღებათ სხვადასხვა წარმოებებში და დაწესებულებებში გაგზავნილი უნდა ყოფილიყო 3.000 სტუდენტი.

შემდეგ მომხსენებელი ჩერდება იმ მიზეზებზე, რომლებიც აბრკოლებენ სტაჟიორობისა და პრაქტიკანტობის საქმის სათანადო განვითარებას. უმთავრეს მიზეზათ მომხსენებელი ასახელებს შემდეგ გარემოებებს:

ზოგიერთი წარმოებები და დაწესებულებები სათანადოთ ვერ აფასებენ სტაჟიორობისა და პრაქტიკანტობის მნიშვნელობას, მიღებულ პრაქტიკანტებს და სტაჟიორებს არ აძლევენ შესაფერის სამუშაოს, მათ ხშირად იყენებენ უმნიშვნელო, ტეხნიკური ხასიათის საქმეების შესასრულებლათ და სხვა.

შემდეგი დაბრკოლება მდგომარეობს იმაში, რომ არ არსებობს პრაქტიკანტებისა და სტაჟიორების სახელმძღვანელოთ შემუშავებული გეგმა და ხშირად სამუშაოზე გაგზავნილმა პრაქტიკანტებმა არ იციან რა საქმეს როგორ მოეკიდონ ხელი. არსებობს აგრეთვე მრავალნაირი ტეხნიკური ხასიათის დაბრკოლებები, როგორც განათლების კომისარიატის ხაზით, აგრეთვე თვით სტუდენტობის მხრივაც. სტუდენტთა ერთი ნაწილი პრაქტიკანტობას და სტაჟიორობას უყურებს როგორც შემოსავლის წყაროს, ისინი დაინტერესებულნი არიან იმით, თუ სად მეტ ჯამაგირს მიიღებენ და არა იმით, თუ სად მეტ პრაქტიკას და გამოცდილებას შეიძენენ.

ყველა არსებულ დაბრკოლებათა გადასალახავად მომხსენებელს საჭიროდ მიაჩნია, გატარებულ იქნეს შემდეგი ღონისძიებანი: შემოღებულ იქნეს უმაღლეს სასწავლებელთა ფაკულტეტებზე სავალდებულო პრაქტიკანტობა, მუდმივი პრაქტიკანტობის წესი, ნაცვლად სეზონური პრაქტიკანტობისა, სპეციალური სასწავლებლების მიმაგრება სხვადასხვა სამრეწველო ხასიათის დაწესებულებებზე, პრაქტიკანტობისა და სტაჟიორების მუშაობის სისტემატიური გამოკვლევების ჩატარება და სხვა.

ამავე საკითხის შესახებ კრებაზე თანამოხსენებით გამოვიდა პროლეტ. სტუდენტთა ცენტრ. ბიუროს წარმომადგენელი ამხ. ძაძამია, რომლის მოხსენების შემდეგაც დაიწყო კამათი.

ამხ. ლ. ლოლობერიძის სიტყვა

კრებაზე სიტყვით გამოვიდა ამხ. ლ. ლოლობერიძე, რომელმაც დაახასიათა სპეციალისტთა ახალი კადრების მომზადების მნიშვნელობა ახალი სოციალისტური აღმშენებლობის წარმატებისათვის.

— ახალი, წითელი სპეციალისტების მომზადებას, — ამბობს ამხ. ლ. ლოლობერიძე,— უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენი აღმშენებლობისათვის. წითელი, საკუთარი სპეციალისტების არ ყოლა ჩვენთვის განსაკუთრებით საგრძნობი შეიქნა შახტის ამბების შემდეგ. ეხლანდელ სპეციალისტებში, ალბათ კიდევ ურევია ისეთები, რომლებიც საბჭოთა ხელისუფლებისადმი არ არიან ლოიალურად განწყობილნი. ჩვენ ამ მხრივ ბევრი გაკვეთილები მივიღეთ. სპეციალისტების ნაკლებობა შესამჩნევია არა მარტო აღმშენებლობაში, არამედ სხვა დარგებშიაც. ჩვენ გვჭირდებიან მუშათა და გლეხთა მასებიდან გამოსული ახალი იურისტები, ეკონომისტები, ინჟინერები, ტეხნიკოსები და სხვა. იყო შემთხვევა, როდესაც ცნობილმა სწავლულმა იურისტებმა დაამუშავეს კანონები მიწის სარგებლობის შესახებ და ჩვენმა ამხანაგებმა — კომუნისტებმა ამ კანონებს მოაწერეს ხელი. შემდეგ ცხოვრებამ გამოარკვია რომ ამ კანონებში დატოვებული ყოფილა მრავალნაირი „ხვრელები", რის წყალობითაც ვინ იცის რამდენი ზარალი ვიგემეთ.

შემდეგ, ამხ. ლოლობერიძე ეხება განათლების კომისარიატის წარმომადგენლის ამხ. კვინიკაძის მოხსენებას და აღნიშნავს, რომ მომხსენებელმა პრაქტიკანტობისა და სტაჟიორობის მდგომარეობა ისე დაახასიათა, თითქოს ამ დარგში ადგილი ჰქონდეს რაიმე მნიშვნელოვან მიღწევებს. ორატორი უსაყვედურებს განათლების კომისარიატს, პროფსაბჭოს, ს. მ. ს. და სხვა დაწესებულებებს, რომ ეს უკანასკნელნი პრაქტიკანტობისა და სტაჟიორობის საქმეს არ აქცევენ შესაფერ ყურადღებას და, მაშასადამე, შესაფერად ვერ აფასებენ სპეციალისტთა ახალი კადრების მომზადების მნიშვნელობას.

დასასრულ ამხ. ლოლობერიძე ეხება სტუდენტთა დამოკიდებულებას სწავლის საქმისადმი და აღნიშნავს, რომ სტუდენტთა ერთი ნაწილი უმაღლესი სასწავლებლის გათავებას უყურებს ისე, როგორც მიზანს არა სწავლის და ცოდნის შეძენის თვალსაზრისით, არამედ დიპლომის მიღების მიზნით. ამიტომ იგი მოუწოდებს სტუდენტობას უმთავრესი ყურადღება მიაქციონ სწავლის შეძენას და თეორიულ და პრაქტიკულ მომზადებას, რადგან მომავალში მუშაობის დროს სწორედ ცოდნას და გამოცდილებას ექნება მნიშვნელობა.

— მიუხედავათ იმისა, რომ, — ამთავრებს თავის სიტყვას ამხ. ლოლობერიძე, — სტუდენტ - პრაქტიკანტებისა და სტაჟიორების დღევანდელ კრებას არ დაესწრნენ იმ დაწესებულებათა წარმომადგენლები, რომლებიც აქ ყველაზე ადრე უნდა მოსულიყვნენ, ამ კრების მოწვევას და სტაჟიორობისა და პრაქტიკანტობის ხელისშემშლელ მიზეზების გამორკვევას მაინც დიდი ნაყოფის მოტანა შეუძლია. მომავალში საჭირო იქნება ასეთი კრებების უფრო ხშირი მოწვევა და ამ საქმისადმი მეტი ყურადღება.

ამხ. ლოლობერიძის გარდა სიტყვებით გამოვიდნენ ფაკულტეტების წარმომადგენლები, რის შემდეგ კრებამ მიიღო რეზოლუცია, რომელშიაც აღნიშნულია ყველა იმ ღონისძიებათა ცხოვრებაში გატარების აუცილებლობა, რომლებიც ხელს შეუწყობენ ახალი სპეციალისტების მომზადების საქმეს.

კომინტერნის VI მსოფლიო კონგრესი

საერთაშორისო მდგომარეობა და კომინტერნის ამოცანები

ამხ. ბუხარინის მოხსენება

მოსკოვი, 25 ივლისი. თავის მოხსენების დასაწყისში ამხ. ბუხარინმა ამომწურავი საერთო ანალიზი გაუკეთა თანამედროვე კაპიტალიზმს.

დაასურათა რა კაპიტალიზმის ტეხნიკური პროგრესი და განმტკიცება, ამხ. ბუხარინმა სთქვა:

„რა მდგომარეობაშია კაპიტალისტური მსოფლიო სისტემის საერთო კრიზისის საკითხი, თუ კი ჩვენ თვითონ აღვნიშნავთ კაპიტალის მიღწევებს, ტრესტებისა და კაპიტალის სხვა ორგანიზაციების ზრდას, თუ ჩვენ თვითონ აღვნიშნავთ კაპიტალიზმის მნიშვნელოვან განმტკიცებას? რა მდგომარეობაშია სტაბილიზაციის საქმე ჩვენი განსაკუთრებული სპეციფიური დახასიათების თვალსაზრისით? მე ვფიქრობ, ძალიან ადვილია საქმის ნამდვილი მდგომარეობის გაგება. სწორი პასუხი ასეთი უნდა იყოს: კაპიტალიზმის საერთო კრიზისი გრძელდება, მეტიც—ამჟამად ვითარდება ახალი, სხვაგვარი ფორმით.

კაპიტალიზმისა და კაპიტალისტური სისტემის საერთო კრიზისი ისე არ უნდა გავიგოთ თითქოს ყველა ქვეყანაში ან ქვეყნების უმრავლესობაში დგება კაპიტალიზმის აღსასრულის დღე. მდგომარეობა სხვანაირია. კაპიტალიზმის კრიზისი იმაში მდგომარეობს, რომ წინანდელს—ომისა და ომის შემდგომი დროის—ფაზას შედეგად მოჰყვა ძირითადი სტრუქტურული ცვლილებები მთელს მსოფლიო მეურნეობაში, ცვლილებები, რომლებიც აუცილებლად ათასჯერ უფრო ამწვავებენ ყოველგვარ წინააღმდეგობას კაპიტალისტურს სისტემაში და, ბოლოს, მის დაღუპვასაც გამოიწვევენ.

ავიღოთ, მაგალითად, ისეთი ფაქტი, როგორიც საბჭოთა კავშირის არსებობაა. რას ნიშნავს იგი? ეს — ჯერ ერთი — კაპიტალიზმის ომის შემდგომი დროის კრიზისის შედეგია, მეორე — იგი იმის მაჩვენებელია, რომ ეს კრიზისი გრძელდება, ვინაიდან ფაქტია უცხო, საწინააღმდეგო, პრინციპიალურად ანტაგონისტური სხეულის არსებობა კაპიტალიზმის მთელს მსოფლიოს ეკონომიურ სისტემაში, სხეულის, რომელიც თანდათან ვითარდება.

რას ნიშნავს შემდეგ ეგრედწოდებული დისპროპორცია შეერთებულ შტატებსა და ევროპას შორის, რომელიც ამერიკის მეურვეობისაგან განთავისუფლებას ცდილობს? ესეც მსოფლიო ეკონომიური სისტემის სტრუქტურულ ცვლილებას მოასწავებს. ბოლოს, ბაზრების შევიწროება კაპიტალისტური ქვეყნების შიგნით, გაღატაკება, კოლონიების პაუპერიზაცია სხვაგვარად აყენებენ წარმოებისა და მოხმარების ურთიერთ-შეფარდების საკითხს, — არა ისე, როგორც ეს „ნორმალური" კაპიტალიზმის პირობებში. მდგომარეობა ისე ეწყობა, რომ კაპიტალისტური სისტემის მთელი მეურნეობა მხოლოდ შემდეგ წინანდელი კრიტიკული პერიოდით შექმნილ ფორმებში. კაპიტალიზმს არ შეუძლია ისე განვითარდეს, როგორც იგი შეძლებდა განვითარებას იმ შემთხვევაში, საბჭოთა კავშირი რომ არ არსებობდეს. ის ვერ განვითარდება ისე, როგორც იმ შემთხვევაში, რომ არ არსებობდეს ჩინეთის რევოლუცია, არ არსებობდეს დისპროპორცია შეერთებულ შტატებსა და ევროპას შორის, არ არსებობდეს შევიწროებული ბაზრები და სხვა.

თუ ვამბობთ, სტაბილიზაცია ლპება, იბადება კითხვა: რა თვალსაზრისით შეიძლება ასეთი დასკვნის გამოყვანა? არა იმ თვალსაზრისით რომ ერთ, ორ ან სამ ქვეყანაში კაპიტალიზმი უშუალო კრახის წინაშე სდგას. სტაბილიზაცია ლპება იმიტომ, რომ თანამედროვე სიტუაცია განვითარება სწარმოებს ახალ, წინანდელი ფაზით შექმნილ ფარგლებში, რომლებიც თავიანთ მხრით დიდად ამწვავებენ ყველა წინააღმდეგობას. ხოლო წინააღმდეგობების ეს გამწვავება იწვევს დიდ განადგურებას, დიდ კატასტროფას. აი, რატომ არ არის მტკიცე კაპიტალიზმი. აი რატომ არის მისი სტაბილიზაცია მხოლოდ შედარებითი. აი რატომ არ გაქრა კაპიტალიზმის კრიზისი. ამ კრიზისს ღრმად აქვს ფესვი გადგმული, იგი სულ უფრო და უფრო მრისხანედ ვითარდება. მაგრამ ეს კრიზისი ჩვენ უნდა განვიხილოთ არა რომელიმე ცალკე ქვეყანაში, არამედ ყველა ქვეყანაში ერთად, მსოფლიო მეურნეობის ფარგლებში".

აღნიშნა რა შინაგან წინააღმდეგობათა გამწვავება ბურჟუაზიულ ქვეყნებში და კლასობრივი ბრძოლის გაძლიერება ამ ქვეყნებში, ამხ. ბუხარინი გადავიდა კომინტერნის ძირითად ამოცანებისა და კომინტერნის მუშაობის ნაკლთა საკითხზე. უწინარეს ყოვლისა ამხ. ბუხარინი შეჩერდა რევოლუციონური მოძრაობის ინტერნაციონალიზმის საკითხზე.

„თავის თავად ცხადია, — სთქვა ამხ. ბუხარინმა, — რომ ეხლანდელ პერიოდში, როცა კომპარტიის ყურადღების ცენტრში დიდი პოლიტიკური საკითხები სდგას, როცა ომის პრობლემა ცენტრალურ პრობლემას წარმოადგენს, ამ პერიოდში კომუნისტური ინტერნაციონალის მოღვაწეობის უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს კომუნისტური პარტიების ინტერნაციონალურად აღზრდა და ამ ამოცანასთან დაკავშირებული საკითხები".

თუ ჩვენს პარტიულ სინამდვილეს ამ თვალსაზრისით შევხედავთ, უნდა აღვნიშნოთ, რომ, ჩვენი კომუნისტური პარტიების შედარებითი სიმცირის მიუხედავად ჩვენ მაინც ეჭვს გარეშე, საკმაოდ დიდი მიღწევები გვაქვს კომპარტიების ბოლშევიზაციის მხრივ. შეგვიძლია აღვნიშნოთ ჩვენი გავლენის ზრდა, ჩვენ იდეოლოგიურად დავიპყარით კომუნიზმის ახალი ტერიტორიები და სხვ. მიუხედავად ამისა, კომპარტიების ინტერნაციონალობის ხარისხი მაინც მეტად მცირეა იმ ამოცანებთან შედარებით, რომლებიც სდგას კომუნისტური ინტერნაციონალისა და მისი სექციების წინაშე. უკანასკნელი წლების გამოცდილებამ დაგვანახვა ეს ნაკლულოვანება, და მე ვფიქრობ, ჩვენი ვალია აშკარად ვაღიაროთ ეს. ამასთანავე ერთად, ამ ფაქტის აშკარად აღიარება უმნიშვნელოვანესი წინასწარი პირობაა ამ ნაკლთა აღმოსაფხვრელად.

ინგლისის სამთამადნო მუშათა გაფიცვის დროს ჩვენ აღვნიშნეთ—ეს შეტანილია კომუნისტურ ინტერნაციონალის გაფართოებული პლენუმთა რეზოლუციებში,—რომ ბევრმა პარტიამ საკმაო დახმარება ვერ გაუწია ინგლისის მუშათა კლასსა. გარდა ზოგიერთი პარტიებისა, და პირველ რიგში საკავშირო კომპარტიისა, ყველა დანარჩენი პარტია მეტად უმნიშვნელო დახმარებას უწევდა ინგლისის პროლეტარიატს. თითქმის იგივე გამოირკვა ჩინეთის ამბების დროს. ჩინეთის რევოლუციის დაცვის საერთაშორისო კამპანიის მასშტაბი სავსებით არ შეეფერებოდა ამ პერიოდის ობიექტიურ მოთხოვნილებებს და პარტიის რევოლუციონურ მოვალეობას. ჩინეთის რევოლუციისადმი ინტერესმაც ვერ ჰპოვა საკმაო გამოხატულება. რაც შეეხება პროპაგანდას, მასშიაც არ მოიპოვებოდა საკმაო ინფორმაცია ჩინეთის კომუნისტური პარტიის ბოლშევიზაციის შესახებ. ჩინეთში მუშურ-გლეხური მოძრაობის ბოლშევიზაციის შესახებ. არ სჩანდა ცოტად თუ ბევრად ღრმა სისტემატიური მუშაობა ამ სფეროში. არ ჩატარებულა სათანადო მასშტაბით ფართო პოლიტიკური კამპანია. იყო ცდა ამ ნაკლთა აღმოსაფხვრელად, მაგრამ არ იყო მტკიცე სისტემატიური მუშაობა და ამიტომ პარტიები დიდი კამპანიების პერიოდში ყოველთვის ვერ იდგნენ თავიანთ სიმაღლეზე.

ავიღოთ შემდეგ ისეთი საკითხი, როგორიც არის საკითხი ფაშიზმის შესახებ. მე აქ მხედველობაში მარტო იტალიის ფაშიზმი არა მაქვს—მე ამ საკითხს რამდენიმეთ უფრო ფართოდ ვაყენებ, ე. ი. ვიღებ საკითხს იტალიის ფაშიზმის, პოლონეთის ფაშიზმის და საერთოდ. ფაშიზმის შესახებ. კომპარტიების ბრძოლა ფაშიზმის წინააღმდეგ და ყურადღება ამ საკითხისადმი სრულებით არ იყო საკმარისი.

ისეთი ამბავი, როგორიცაა შეერთებულ შტატების თავდასხმა ნიკარაგუაზე, არ იწვევს და საკმაო რეაქციას, პირველ რიგში ამერიკის კომპარტიის მხრივ. თუ ამერიკის კომპარტიამ, რომლისთვისაც ეს საკითხი მთელი მისი მუშაობის ცენტრალურ საკითხად უნდა გადაქცეულიყო, ვერ განავითარა სათანადო კამპანია საკმაო მასშტაბით, იგივე უნდა ითქვას სხვა პარტიების შესახებაც. ნიკარაგუა შორს არის ევროპიდან. მაგრამ გეოგრაფიულმა პირობებმა არ უნდა ითამაშონ გადამწყვეტი როლი კომუნისტური პარტიების მუშაობაში.

აქ ზოგიერთ, როგორც დიდ ისე პატარა პარტიებს—განსაკუთრებით ევროპაში —ჯერ კიდევ ემჩნევათ პროვინციალიზმის ზოგიერთი ნაშთები; მათ სათანადოდ არ ესმით დიდი საერთაშორისო პოლიტიკის მნიშვნელობა. თუ ჩვენ მართლა სერიოზულად უნდა ვემზადოთ ისეთ მსოფლიო-ისტორიულ ამბებისათვის, როგორიცაა მომავალი ომი, მაშინ ეხლანდელ პერიოდში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ დიდი საერთაშორისო პოლიტიკის საკითხებს—უამისოდ ჩვენ ომისთვის სერიოზულად ვერ მოვემზადებით.

იმისთვის, რომ კარგათ ჩავატაროთ ეს კამპანია, რომ განვავითაროთ იგი სათანადო ენერგიით, დიდი ინტერნაციონალური პოლიტიკის საკითხები უნდა შეუთანხმოთ ყოველდღიური ცხოვრების და რევოლუციონური მუშაობის საკითხებს სათანადო ქვეყნებში. აქ კვლავ სცენაზე გამოდის ომის პრობლემა. თითქმის ყველა შინაური პარტიული საკითხები მათ შორის მუშათა მოძრაობის საკითხები თვითეულ ქვეყანაში, მჭიდროთ არიან დაკავშირებული ამ პრობლემასთან. კაპიტალის გამოსვლა შეტევაზე დაკავშირებულია ბურჟუაზიის მზადებასთან ომისათვის, და გამოწვეულია იმით, რომ კაპიტალისათვის აუცილებელია თავისი პოზიციების განმტკიცება სამოქალაქო მშვიდობიანობის დამყარება, მუშების წინააღმდეგ გარანტიების შექმნა და სხვ. ეს საერთოდ მეტად რთული პრობლემაა საჭიროა სისტემატიურად გადავჭრათ ყოველდღიური საკითხები და ამავე დროს გავაბედოთ ისინი ჩვენი უფრო საერთო ლოზუნგების და ამოცანების შემდგომი განვითარების საფუძვლად. ამაში მდგომარეობს ერთგვარი პოლიტიკურ-ტაქტიკური ხელოვნება. მაგრამ ეს არის არგუმენტი დიდი პოლიტიკური საკითხების დასმის სასარგებლოდ, —სწორედ აქ მდგომარეობს ბოლშევიკური ტაქტიკის ხელოვნება: წვრილმანების საფუძველზე წამოაყენო დიდი საკითხები. თუ ჩვენ ამ ხელოვნებას ვერ მივწვდით, თუ სათანადო ყურადღებით არ მოვეპყარით დიდ ინტერნაციონალურ საკითხებს,—ჩვენ ვერ ვაწარმოებთ სისტემატიურ მუშაობას ომის საფრთხის წინააღმდეგ საბრძოლველად. ეს უნდა ჩამოვაყალიბოთ ჩვენს რეზოლუციაში. საკითხს ომის შესახებ, საკითხს რევოლუციის დაცვის შესახებ საბჭოთა კავშირში და ჩინეთში—ამ საკითხებს ცენტრალური გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვთ. სისტემატიური მუშაობა ამ მიმართულებით ყველა პარტიის, კომუნისტურ ინტერნაციონალის ყველა სექციის ცენტრალურ ამოცანას წარმოადგენს.

საკითხი კომპარტიების საერთო ხაზის შესახებ არის საკითხი კაპიტალიზმის ეხლანდელი ფორმისა და კაპიტალისტური სახელმწიფოსადმი დამოკიდებულების შესახებ. და ამ სფეროში პატარა საკითხები თანდათან იქცევა დიდი პოლიტიკურ პრობლემებად. თუ ჩვენ მაგალითად, ავიღებთ სოციალ-დემოკრატიული პარტიების ტაქტიკურ ორიენტაციას, დავინახავთ აქ სავსებით თანამიმდევრობით ხაზს. ეს არის მრეწველთა ორგანიზაციებთან გაერთიანების ხაზი. ის ფაბრიკიდან მიდის ერთა ლიგამდე. სოციალ-დემოკრატები შრომასა და კაპიტალს შორის ეწევიან ეგრედწოდებული „ამერიკული მეთოდით თანამშრომლობის" და „სამრეწველო მშვიდობიანობის" პროპაგანდას. ასეთია ეხლანდელი სოციალ-დემოკრატიის ძირითადი ხაზი. ეს ძირითადი კურსი თავის გამოხატულებას ჰპოვებს საგარეო პოლიტიკის სფეროშიც. მასვე ვხვდებით საშინაო პოლიტიკის საკითხებშიაც—საკითხში სახელმწიფოსთან ურთიერთობის შესახებ, კოალიციის შესახებ, ეგრედ წოდებულ „დამქირავებლებისადმი", ე. ი. ტრესტებში გაერთიანებული კაპიტალის მაგნატებისადმი დამოკიდებულების შესახებ. სოციალ-დემოკრატების ლოზუნგი არის სატრესტო კაპიტალთან გაერთიანების ლოზუნგი.

კლასობრივი ბრძოლის საკითხი მათთვის აღარ არსებობს. ეკონომიურ დარგში ისინი წინააღმდეგნი არიან გაფიცვების, ეკონომიური ბრძოლის; სამაგიეროდ მოითხოვენ— სამრეწველო მშვიდობიანობას; გაფიცვების გაძლიერების ნაცვლად—იძულებით არბიტრაჟს მუშათა ორგანიზაციების დამოუკიდებლობის ან დამოკიდებულების საკითხის ადგილი დაიკავა ამ მუშათა ორგანიზაციებისა და მწარმოებლების თანამშრომლობის საკითხმა. ეს მთელი ტაქტიკური სისტემაა. მუშათა ორგანიზაციებმა რეფორმიზმის თვალსაზრისით უნდა დაჰკარგონ კლასობრივი დამოუკიდებლობა. კლასობრივი ბრძოლა ამ ვაჟბატონებისთვის „მოძველებულია".

სოციალ-დემოკრატიის ხაზი არის მონოპოლიური კაპიტალის ორგანიზაციებთან და მონოპოლიურ-კაპიტალისტურ სახელმწიფოსთან მუშათა რეფორმისტული ორგანიზაციების შეზრდის ხაზი. ამრიგად, სოციალ-დემოკრატია თანამიმდევრობით ატარებს ამ ტაქტიკას მთელ ფრონტზე.

როგორია ჩვენი ტაქტიკური ორიენტაცია? ჩვენ სულ საწინააღმდეგო ტაქტიკური ორიენტაცია გვაქვს ყველა ამ საკითხში, დაწყებული საწარმოო უჯრედიდან და გათავებული ერთა ლიგით. ეს მთლიანად სოციალ-დემოკრატიის საწინააღმდეგო ორიენტაციაა არა სამრეწველო მშვიდობიანობა, არამედ ბრძოლა იძულებითი არბიტრაჟისა და იმ შემბორკველ ღონისძიებების წინააღმდეგ, რომელთაც მიმართავენ კაპიტალისტური ორგანიზაციები ან კაპიტალისტური სახელმწიფო. ბრძოლა საგაფიცვო მოძრაობის შებოჭვის წინააღმდეგ და სხ. აი ჩვენი მთავარი ტაქტიკური ორიენტაცია. ჩვენ ეს საკითხები წინადაც მრავალჯერ განვიხილეთ და პასუხი ამ საკითხებზე, ჩემი აზრით, სავსებით ნათელია უკანასკნელი დასკვნა ამ ტაქტიკური ხაზიდან ასეთია: უნდა ავიღოთ კურსი ბურჟუაზიული სახელმწიფო ძალა-უფლების აფეთქებაზე და რევოლუციაზე. ეს ჩვენი ხაზი სრულიადაც არ უარყოფს მთლიანი ფრონტის ტაქტიკას. მაგრამ სოციალ-დემოკრატიის წინააღმდეგ ჩვენი ბრძოლის გამწვავების გამო ამ ტაქტიკაში უნდა შევიტანოთ შემდეგი ცვლილებები: ამჟამად მთლიანი ფრონტის ტაქტიკა მეტ წილად უნდა გავატაროთ მხოლოდ ქვევიდან. არავითარი აპელაცია სოციალ-დემოკრატიული პარტიების ცენტრებისადმი, მხოლოდ იშვიათ შემთხვევებში შეიძლება დაიშვას აპელაცია სოციალ-დემოკრატიული პარტიების ცალკე ადგილობრივ ორგანიზაციებისადმი. მაგრამ უმთავრესად აპელაცია მისაღებია სოციალ - დემოკრატიული მასებისადმი, სოციალ- დემოკრატიული პარტიის უბრალო წევრებისადმი. მთლიანი ფრონტის ტაქტიკა მჭიდროდ არის დაკავშირებული იმ მუშაობის საკითხებთან, რომელსაც ჩვენ სისტემატიურად ვაწარმოებთ".

აღნიშნა დეფექტები პროფკავშირების მუშაობაში (პროფმუშაობის პასუხისმგებელ ხელმძღვანელთა არა საკმაო და უმნიშვნელო ავტორიტეტი, პროფმუშაობის არა სპეციფიურ-ბოლშევიკური დაყენება, „კუდში ჩაჩენილი", ე. ი. ინიციატივის უქონლობა, საგაფიცვო მოძრაობაში ხელმძღვანელი როლის განხორციელების მოუხერხებლობა და სხ.), ამხ. ბუხარინი შემდეგ შეეხო ზოგიერთ ნაკლს რომელთაც ადგილი აქვთ ახალგაზრდების შორის მუშაობაში. ამხ. ბუხარინის საჭიროდ მიაჩნია ამ მუშაობაში მეთოდების სხვადასხვაობა, ვინაიდან ახალგაზრდობის პრობლემა ჩვენი დროის უმნიშვნელოვანესი პრობლემათაგანია.

„შემდეგ ჩვენ მეტი ყურადღება უნდა მივაქციოთ,—ამბობს ამხ. ბუხარინი,— გლეხობის საკითხს და ამ თვალსაზრისით უნდა დავეხმაროთ გლეხთა ინტერნაციონალს, რათა იგი ნამდვილ ცოცხალ ორგანიზაციად გადაიქცეს. მე არ შემიძლია წარმოგიდგინოთ ამ ორგანიზაციის მოქმედების ანგარიში, მაგრამ უნდა ვთქვა, რომ იგი ცოტად თუ ბევრად პროპაგანდისტულ ხასიათს ატარებს და მისი მუშაობა უმთავრესად გამოიხატება სხვადასხვა მასალების გამოცემაში, ორგანიზაციული კავშირი კი მას მეტად სუსტი აქვს. ეს ორგანიზაცია მეტად მცირე რიცხოვანია, თუმცა მას ცოტაოდენი მიღწევები მაინც მოეპოვება. მე ვფიქრობ, რომ აქ დანაშაული მიუძღვის არა მარტო გლეხთა ინტერნაციონალს, არამედ კომინტერნსაც, აქ ყველანი დამნაშავენი ვართ. ამ ორგანიზაციისათვის არ გამოგვიყვია საკმაო ძალები, მისი მუშაობისათვის არ მიგვიქცევია საკმაო ყურადღება. ამას ცხადათ მოწმობენ რუმინეთის ამბები და არჩევნების შედეგები საფრანგეთსა და გერმანიაში. ეს საკითხი უნდა დავსვათ და უახლოეს დროში ყოველგვარ ზომებს მივმართოთ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად ამ დარგში.

თუ ჩვენ სწორად ვისარგებლებთ მთლიანი ფრონტის ტაქტიკით პროფესიონალურ მუშაობაში და ახალგაზრდათა ორგანიზაციებში, შევსძლებთ მოვსპოთ ის შეუფარდებლობა, რომელიც არსებობს ჩვენი პოლიტიკური გავლენის ზრდასა და მის ორგანიზაციულ განმტკიცებას შორის.

ამასთან დაკავშირებით მე მსურს კიდევ შევეხო ზოგიერთ ჩვენს ნაკლს. მე ვფიქრობ, რომ ამ ბოლო დროს არა მარტო ჩვენს პარტიაში — საკ. კ. პ. (ბ), არამედ მრავალ სხვა პარტიაშიც გაძლიერდა ბიუროკრატიზმის სიმპტომები. ცხადია, არ არის საჭირო ამ საშიშროების გაზვიადება, მაგრამ ყოველ შემთხვევაში მისი აღნიშვნა მაინც საჭიროა. ეს დაკავშირებულია შინაპარტიული ცხოვრების მრავალ, მეტად რთულ, პრობლემებთან. აღსანიშნავია შინაპარტიული ცხოვრების არა საკმაოდ ცოცხალი პულსი, განსაკუთრებით პარტიის ქვედა ფენებში, საწარმოო უჯრედებში და სხვ. ამის აღნიშვნა საჭიროა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

კიდევ რამოდენიმე სიტყვა ჩვენი პარტიების და ჩვენი პარტიული კადრების კულტურულ-პოლიტიკური დონის შესახებ.

ყოველი შემდგომი ნაბიჯი ჩვენი პარტიის განვითარების გზაზე მოითხოვს ჩვენი პოლიტიკური აზროვნების გაღრმავებას, მოქნილ ტაქტიკას და რთულ მანევრებს, მზად ყოფნას ყოველი ახალი სიტუაციისათვის. ეს არის ერთ-ერთი მეტად არსებითი პრობლემა. ჩემის აზრით, ჩვენ სერიოზული ყურადღება უნდა მივაქციოთ ჩვენს თეორიულ დონეს, ჩვენი პრესის გაუმჯობესებას და ჩვენს პარტიებში სწავლების ამაღლებას.

ეხლა, ამხანაგებო, კიდევ რამოდენიმე სიტყვა იმ სხვადასხვაგვარ გადახრების შესახებ, რომელსაც ადგილი აქვს კომუნისტურ ინტერნაციონალში. ამ რამოდენიმე ხნის წინად ჩვენ ყველაზე უფრო დიდი საფრთხე მოგველოდა ეგრედ წოდებულ „ულტრა-მემარცხენეთაგან", რომლებიც ცდილობდნენ ინტერნაციონალური ორგანიზაციის შექმნას. ს. კ. პ. (ბ)-ში ოპოზიციის დამარცხების შემდეგ, დამარცხდნენ ის ცდებიც, მაგრამ ოპოზიციის განადგურების თვით პროცესი, რომლის განვითარების უმაღლეს წერტილს წარმოადგენდა ეგრედ-წოდებული ლენინბუნდის დაშლა, — ეს პროცესი გვაიძულებს გავაკეთოთ აქედან ჩვენთვის ზოგიერთი დასკვნა. ჩვენ ვამტკიცებდით, რომ ტროცკიზმი სოციალ-დემოკრატიული გადახრაა. ზოგიერთ ამხანაგს გულის სიღრმეში არ სჯეროდა ეს გარემოება. მაგრამ ლენინბუნდის ისტორიამ დაამტკიცა, რომ ოპოზიციის ხელმძღვანელი ჯგუფი სოციალ-დემოკრატებთან გადაბარგდა. განა შემთხვევით მოხდა ეს? არა, ეს მოვლენა არ არის შემთხვევითი. ჩვენ ცხადად ვხედავთ ეგრედწოდებულ „ულტრა-მემარცხენეთა" და მემარჯვენეთა ურთიერთ დამოკიდებულების დიალექტიკას. ცენტრალურ საშიშროებას ამჟამად წარმოადგენს მემარჯვენე გადახრა, თუ კომუნისტურ ინტერნაციონალს მთლიანად ავიღებთ. ეს მემარჯვენე გადახრა გამოიხატა იმაში, რომ საკმაო ყურადღება არ მიექცა კლასობრივი ბრძოლის გამწვავებას, მაგ. გაფიცვების დროს, ამ გაფიცვების ჩაუტარებლობაში იქ, სადაც მათი ჩატარება აუცილებლად საჭირო იყო. ეს გადახრა გამოიხატა აგრეთვე იმაში, რომ სოციალ-დემოკრატების მიმართ მიღებულ იქნა შემცდარი ხაზი, არ იქნა საკმაოდ გამწვავებული ბრძოლა სოციალ-დემოკრატების ბელადების წინააღმდეგ. ნათლად გამოსჭვივის იგი აგრეთვე იმაში, რომ ჩვენი პარტიები არ არიან საკმაოდ ინტერნაციონალური. იგი აშკარაა ჩვენს პროფესიონალურ მუშაობაშიც, სადაც საერთო პროფესიონალურ დისციპლინას ზოგჯერ უფრო მაღლა აყენებენ, ვიდრე ჩვენს პარტიულ დისციპლინას. იგი ხშირად ღებულობს სხვა ფორმებსაც, რომლებზედაც მე კიდევ შევჩერდები შემდეგში.

პარტიისა და პროფკავშირის შორის სწორ დამოკიდებულების შეუგნებლობას მივყევართ იქამდე, რომ პარტია ზოგჯერ უშუალოდ ბრძანებლობს მასებზე, ნაცვლად იმისა, რომ დაარწმუნოს ისინი და ჩაატაროს სისტემატიური მუშაობა. თავს იჩენს ტენდენცია მთლიანი ფრონტის ტაქტიკის უარყოფისა საზოგადოდ.

რაც შეეხება შემცდარ პოზიციას სოციალ-დემოკრატების მიმართ, ჩვენ გვაქვს მრავალი თვალსაჩინო მაგალითი იმისა, თუ რა შეცდომები დაუშვა ბევრმა პარტიამ — გერმანიაში, საფრანგეთში, ჩეხო-სლოვაკიაში და სხვ. ეს შემცდარი პოლიტიკური გადახრები ხშირად ღებულობდნენ შემცდარ ლოზუნგების ფორმას, როგორც, მაგალითად, გერმანიაში, სადაც ზოგიერთმა ამხანაგმა წამოაყენა ლოზუნგი კონტროლისა წარმოებაზე იმ დროს, როდესაც პოლიტიკური სიტუაცია ამას ხელს არ უწყობდა: ობიექტიურად ეს ნიშნავდა ნაბიჯის გადადგმას სოციალ-დემოკრატების „სამეურნეო დემოკრატიის" ტაქტიკისაკენ, ნაბიჯის გადადგმას „მრეწველობაში მშვიდობიანობის" სისტემისაკენ. თუ რევოლუციონური სიტუაცია ხელსაყრელი არ არის, ნამდვილი რევოლუციონური ლოზუნგი ღებულობს პირდაპირ საწინააღმდეგო შინაარსს. და მაშინ იგი აღარ არის უკვე მარტოოდენ შემცდარი ლოზუნგი — იგი სიმპტომია მთლიანად შემცდარი პოლიტიკური ხაზისა. ეს მემარჯვენე საშიშროება განსაკუთრებულის სიმწვავით წამოიჭრა ჩვენს წინაშე და სავსებით გასაგებია, რომ მას შემდეგ, რაც დავამარცხეთ ტროცკისტული ოპოზიცია, ჩვენ უნდა მივმართოთ სრულიად გარკვეულ ტაქტიკას ამ მემარჯვენე გადახრებისა და პატარა მემარჯვენე ოპოზიციონური ჯგუფების წინააღმდეგ.

ეხლა საჭიროა კრიტიკის გამადიდებელი შუშით გავსინჯოთ ჩვენი სხვა ზოგიერთი ნაკლი. ჩვენ ვხედავთ, რომ ზოგიერთი პარტია, მეტიც — მათი დიდი უმეტესობა ვერ უღებს ალღოს ახალ მდგომარეობას და, საზოგადოდ, ვერ ამჩნევს, რომ რაღაც ახალი მოხდა. ასე მოხდა, მაგალითად, საფრანგეთში, როდესაც ხელისუფლების სათავეში პუანკარე მოექცა. ასეთსავე მოვლენას ადგილი ჰქონდა ინგლისში, როდესაც მუშათა პარტიამ და გენერალურმა საბჭომ ერთბაშად შესცვალეს თავიანთი პოლიტიკა. ამის მეორე მაგალითს ვხედავთ იმავე ინგლისში, როდესაც დაიწყო საზოგადოებრივ ძალთა განწყობილების ახალი ფაზა.

ამგვარად, თითქმის ყოველი პარტიის შესახებ შეიძლება ითქვას, რომ ის მეტად დაგვიანებით ხედავს მდგომარეობის შეცვლას. მდგომარეობა უკვე შეიცვალა, ხოლო პარტიების მხრივ ვერ ვხედავთ დროზე გამოხმაურებას. მე ვფიქრობ, რომ ამის თქმა შეიძლება კომინტერნისა და მისი ხელმძღვანელობის შესახებაც: კომინტერნი ყოველთვის თავის დროზე ვერ ეხმაურება ახალ გარემოებებს, ახალ ამბებს, ახალ მდგომარეობას. სადირექტივო ლოზუნგებს ჩვენ ყოველთვის თავის დროზე ვერ ვაძლევთ, ყოველთვის ვერ ვასწრებთ საერთო ძირითადი ლოზუნგების თავის დროზე წამოყენებას.

პარტიებმა აქამდის ვერ ისწავლეს ყოველდღიური მუშაობის საკითხების დაკავშირება ჩვენს მთავარ მიზნებთან და ამოცანებთან. ჩვენ ან ხმამაღლა გავყვირით მსოფლიო პრობლემების შესახებ და არაფერს არ ვაკეთებთ ყოველდღიური საკითხების გადასაჭრელად, ან ვრჩებით ყოველდღიური საკითხების ნიადაგზე და გვავიწყდება, რომ საჭიროა მათი დაკავშირება დიდ პოლიტიკურ საკითხებთან.

დეფექტების შესახებ იმიტომ ვილაპარაკე ბევრი, რომ ჩვენ შეგვიძლია მათი საქმიანად გაკრიტიკება.

ამხანაგებო, იმიტომ კი არ ვილაპარაკე ბევრი, დეფექტების შესახებ, რომ არადამაკმაყოფილებლად ან არახელსაყრელად ვსთვლი საერთო მდგომარეობას, საერთო წინასწარ პირობებს ჩვენი მუშაობისათვის, სწორედ პირიქით, მნიშვნელოვან პოლიტიკურ საკითხებში,—ომის საფრთხის საკითხში იმ მდგომარეობიდან გამოსვლის საკითხში, რომელიც შეიქმნა კაპიტალიზმის სტაბილიზაციის წინააღმდეგობათა საფუძველზე, ჩვენთვის თანდათან უფრო ხელსაყრელი ნიადაგი იქმნება მთელ მუშათა კლასში. ჩვენი გავლენა უდავოა ისეთ ქვეყნებში, როგორიც არის ჩინეთი, ჩვენ ვფიქრობთ, რომ ახლო მომავალში იგი უდავო იქნება აგრეთვე ისეთ ქვეყანაში, როგორიც არის ინდოეთი, ჩვენი გავლენა ძლიერდება აგრეთვე დასავლეთ-ევროპის ქვეყნების მუშათა კლასში, რომლის წინაშეც ჩვენ მთელი სიგრძე-სიგანით ვაყენებთ ისეთ დიდ საკითხებს, როგორიცაა საკითხი ომის საფრთხის შესახებ. და ამიტომ, საერთო წინააღმდეგობათა გამწვავების გამო, წინააღმდეგობათა გამწვავების გამო კაპიტალიზმის შიგნით კლასობრივი ბრძოლის გამწვავების გამო, ე. ი. იმ პირობებთან დაკავშირებით, რომლებიც ეხლა ობიექტიურად სავსებით მომწიფებულია, იქმნება ხელსაყრელი ნიადაგი, ხელსაყრელი პერსპექტივები ჩვენი მუშაობისათვის. არავითარი საფუძველი არ არის ვიფიქროთ, რომ ტეხნიკური პროგრესი, კაპიტალისტური ორგანიზმის ნაწილობრივი გამაგრება, კაპიტალიზმის სტაბილიზაციის პროცესი მოგვტეხს კისერს, როგორც ამას წინასწარმეტყველებდნენ სოციალ-დემოკრატები. პირიქით, რაც უფრო გაძლიერდებიან ეს წინააღმდეგობანი, რომლებიც ეხლანდელ მდგომარეობას ახასიათებენ, მით უფრო გაფართოვდება და გამტკიცდება ნიადაგი ჩვენ ფეხქვეშ. როცა ვისწავლით—ხოლო ჩვენ, რასაკვირველია, ბოლოს და ბოლოს ვისწავლით—ყოველდღიური მუშაობის დაკავშირებას დიდ პოლიტიკურ საკითხებთან, ჩვენ დავიპყრობთ დასავლეთ ევროპის ქვეყნების მუშათა კლასის ფართო მასებს, ჩვენი გავლენის ქვეშ მოვაქცევთ მუშათა მოძრაობას მსხვილ კაპიტალისტურ ქვეყნებში, შევუთანხმებთ და დაუკავშირებთ მას დაჩაგრულ ერთა ძლევამოსილ მოძრაობას, რომელსაც უდიდესი ისტორიული მნიშვნელობა აქვს. და როცა მოახლოვდება ჟამი და აფრიალდებიან იმპერიალიზმის ბრძოლის დროშები, ჩვენი კომუნისტური ინტერნაციონალი, ყველა ჩვენი პარტიები და მთელი ქვეყნის მშრომელთა ფართო მასები იტყვიან თავიანთ გადამწყვეტ სიტყვას. ეს სიტყვა იქნება სამოქალაქო ომის ლოზუნგი, იმპერიალიზმის წინააღმდეგ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლის ლოზუნგი. ის იქნება კომუნისტური ინტერნაციონალის გამარჯვების ყიჟინა! (მქუხარე ტაში, რომელსაც ოვაცია მოჰყვა. დელეგატები ფეხზე დგებიან და ინტერნაციონალს მღერიან).

24 ივლისის საღამოს სხდომა

კამათი ამხ. ბუხარინის მოხსენების გამო

მოსკოვი, 25 ივლისი. კონგრესის მეშვიდე სხდომა 24 ივლისს საღამოთი მოხდა ამხ. ილეკის (ჩეხო-სლოვაკია) თავმჯდომარეობით. გაგრძელდა კამათი ამხ. ბუხარინის მოხსენების გამო.

ამხ. დენის სიტყვა

დენიმ (ამერიკის შეერთ. შტატები) აღნიშნა, რომ ამხ. ბუხარინის თეზისები უნდა შეივსოს ცნობებით ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატების შესახებ. თეზისებში საჭიროა აღინიშნოს შეერთებული შტატების შინაგან წინააღმდეგობათა გამწვავება და მუშათა მასების გამემარცხენება. უნდა აღინიშნოს აგრეთვე უორკერს პარტიის ცენტრალური კომიტეტის ხაზის გამოსწორების საჭიროება, რადგან ეს ხაზი თანდათან მარჯვენაზე იხრება. ხაზი უნდა გაესვას იმასაც, რომ საჭიროა ორგანიზაციის გარეშე მყოფ მუშების დარაზმვა ახალ პროფკავშირებში—პროფინტერნის კონგრესის გადაწყვეტილების მიხედვით. აგრეთვე მუშაობის გაძლიერება ზანგთა შორის და არალეგალური პარტიული აპარატის მშენებლობა. ამჟამად დაუშვებელია აგიტაცია მუშათა პარტიის ორგანიზაციისთვის. ეს მოთხოვნილება განხილულ უნდა იქნას, როგორც მხოლოდ პროპაგანდისტური ლოზუნგი.

წითელ-ფრონტელების დელეგაციის მისალმება

გერმანიის წითელი ფრონტელების კავშირის დელეგაცია, რომელსაც კონგრესი ოვაციებით მიეგება, მისალმა კონგრესს გერმანიის წითელ ფრონტელების სახელით.

კონგრესის სახელით დელეგაციას პასუხი გასცა ამხ. კაშენმა, რომელსაც დელეგაციამ ტაშის კვრით არა ერთხელ შეაწყვეტინა სიტყვა: ხოლო როდესაც კაშენმა ხელი გაუწოდა წითელ ფრონტელების წარმომადგენელს ამხ. ოლბრიხს, ეს ტაში აღტაცებულ ოვაციად გადაიქცა.

შვედურ წითელარმიელების დელეგაციის მისალმება

შემდეგ კონგრესს მისალმა შვედურ წითელ არმიელთა დელეგაცია, რომელსაც კონგრესი დიდი ტაშით მიეგება.

კონგრესის სახელით დელეგაციას პასუხი გასცა ინგლისელმა დელეგატმა ამხ. სტუარტმა.

მაქს ჰელცის მისასალმებელი დეპეშა

თავმჯდომარემ წაიკითხა მაქს ჰელცის მისასალმებელი დეპეშა, რომელიც კონგრესმა იმ დღეს მიიღო. დეპეშის კითხვას კონგრესი ტაშის კვრით მიეგება.

ამხ. რაზას სიტყვა

შემდეგ ამხ. ბუხარინის მოხსენების გამო გამოვიდა ინდოელი დელეგატი ამხ. რაზა.

„თეზისებში,—სთქვა მან,—საჭიროა ხაზი გაესვას ინგლისის იმპერიალიზმის აგრარულ პოლიტიკას ინდოეთში. ინდოეთის კომპარტია სათავეში უნდა ჩაუდგეს რევოლუციონურ მოძრაობას, რომელიც ინდოეთში წლით-წლობით იზრდება. ამასთან მან არ უნდა გაიმეოროს ჩინეთის კომპარტიის შეცდომები. ინდოელმა კომუნისტებმა დაუინდობლად უნდა გამოამჟღავნონ ნაციონალური ბურჟუაზიის გამცემლობა".

ამხ. კალაროვის სიტყვა

„ბულგარეთის დელეგაცია,—სთქვა ბულგარეთის დელეგატმა ამხ. კოლაროვმა,— ერთხმად იწონებს ამხ. ბუხარინის თეზისებს. მას სურს მხოლოდ აღნიშნოს ზოგიერთი პრობლემები. თეზისებში, მაგალითად, ვერ ვხედავთ მსოფლიო მეურნეობის აგრარული ურთიერთობის ანალიზს. სტაბილიზაციას ადგილი აქვს სასოფლო-სამეურნეო წარმოებაშიც, მაგრამ ევროპის სოფლის მეურნეობა საერთოდ ბევრად ჩამორჩა მრეწველობის განვითარებას. ამიტომ ბურჟუაზია ენერგიულ ზომებს ღებულობს სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის. ეს იწვევს პოლიტიკურ ძალთა გადაჯგუფებას სოფლად. კავშირი კულაკებსა და ბურჟუაზიას შორის, რომელიც შერყვა პირველ წლებში ომის შემდეგ, ეხლა კვლავ აღდგენილია. ღარიბ გლეხობას კი აშკარად ემჩნევა გამემარცხენება. ღარიბ გლეხობის გამემარცხენება გვიმტკიცებს, რომ კაპიტალიზმის სტაბილიზაცია შედარებითია ეს მოვლენა დიდ ყურადღებას მოითხოვს კომპარტიების მხრივ. მუშაობა გლეხობას შორის მით უფრო მნიშვნელოვანია, რომ გლეხები არმიის მთავარ კადრებს შეადგენენ".

შემდეგ ამხ. კალაროვი შეეხო ბალკანეთზე შექმნილ მდგომარეობას. მან ხაზგასმით აღნიშნა კაპიტალიზმის სტაბილიზაციის მერყეობა ბალკანეთის ქვეყნებში.

„ბურჟუაზიას,—სთქვა ამხ. კოლაროვმა,— არ შეუძლია შექმნას მტკიცე ეკონომიური საძირკველი თავისი ბატონობისთვის, ამიტომ ის იძულებულია მიმართოს ფაშიზმს. საპარლამენტო სისტემა ბალკანეთში სავსებით გაკოტრდა. მთავრობის შეცვლა ხდება სამხედრო ამბოხებათა და სახელმწიფო გადატრიალებათა საშუალებით. ინგლისის იმპერიალიზმი ყოველნაირად ცდილობს ჩაითრიოს ბალკანეთის ქვეყნები ანტისაბჭოთა ბლოკში. კაპიტალისტური ურთიერთობის პირობებში შეუძლებელია იტალიის და სამხრეთ - სლავიის კონფლიქტის მოგვარება. ამიტომ ომის საფრთხე ბალკანეთზე მეტად მწვავედ სდგას.

ბალკანეთის ქვეყნების სოციალ-დემოკრატები აქტიურ მონაწილეობას იღებენ მუშათა რევოლუციონური ორგანიზაციების დევნაში. ეს გარემოება განსაზღვრავს კომუნისტური პარტიების ტაქტიკას სოციალ-დემოკრატიის მიმართ. ბალკანეთის ქვეყნების კომუნისტურმა პარტიებმა უკანასკნელ დროს მძიმე, შინაგანი კრიზისი განიცადეს. ბულგარეთის პარტიაში შინაური დისკუსია უკვე დამთავრდა. კომინტერნის დახმარებით კრიზისს ბოლო მოეღო აგრეთვე საბერძნეთის კომპარტიაში. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ კომინტერნი მალე შესძლებს ღრმა შინაგანი კრიზისის ლიკვიდაციას სამხრეთ-სლავიის და რუმინეთის პარტიებში".

ამხ. პეპერის სიტყვა

„ამერიკის დელეგაცია,—სთქვა შეერთებულ შტატის დელეგატმა ამხ. პეპერმა,—წინააღმდეგ დენისა, რომელმაც გამოსთქვა საკუთარი აზრი, სავსებით ეთანხმება ამხ. ბუხარინის მიერ წამოყენებულ თეზისებს. შემცდარია ის შეხედულება, თითქოს ამერიკის იმპერიალიზმმა ამოსწურა თავისი ძალები და მისი ზრდა შეჩერდა. ეს შეხედულება გამომდინარეობს იმ შემცდარი აზრიდან, თითქოს კაპიტალიზმის ზრდის პირობებში შეუძლებელია შინაგან წინააღმდეგობათა ზრდა. სწორედ პირიქით: ამერიკის იმპერიალიზმის პოლიტიკური და ეკონომიური ძლიერების ზრდა აუცილებლად იწვევს შიგნით და გარეთ კონფლიქტების გამწვავებას. ფაქტია მუშათა კლასის გამემარცხენება შეერთებული შტატების მრეწველობის ზოგიერთ დარგში. მიუხედავად ამისა, ეს გამემარცხენება ჯერ ჯერობით არ შეეხება პროლეტარიატის მთავარ ფენებს. ამხანაგებმა, რომლებიც ეხლა შეერთებულ შტატების კომპარტიის ცეკას ბრალს სდებენ ოპორტუნიზმში, ცეკაში უმრავლესობის ყოფნის დროს პარტიულ პროგრამაში შეიტანეს სამეურნეო დემოკრატიის ოპორტუნისტული თეორია. ეხლანდელმა ცეკამ გამოასწორა ეს შეცდომა".

ამხ. გლინკლეს სიტყვა

„არასოდეს დღემდე საკითხი ახალგაზრდობის მუშაობის შესახებ,—სთქვა გერმანელმა კომკავშირელმა ამხ. ბლენკლემ,—კომინტერნის წინაშე არ ყოფილა დასმული ისე მწვავედ, როგორც ამჟამად, როცა მზადდება იმპერიალისტური ომი. ამავე დროს უნდა აღვნიშნოთ, რომ ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის მდგომარეობა არ არის დამაკმაყოფილებელი. თუმცა, რასაკვირველია, არ შეიძლება ლაპარაკი ერთ წერტილზე გაყინვის შესახებ. ახალგაზრდობის კომინტერნის წინაშე რამდენიმე წელიწადია დასმულია პიონერებს შორის მუშაობის გაუმჯობესების ამოცანა. მიუხედავად ამისა, ეს ამოცანა შედარებით დამაკმაყოფილებლად გადაჭრილია მხოლოდ გერმანიაში. თუ გვინდა ჩვენი ახალგაზრდობის კავშირები გადავაქციოთ ნამდვილ მასიურ ორგანიზაციებად, ამას უნდა შეუფარდოთ ჩვენი მუშაობის მეთოდები. საჭიროა აგრეთვე, რომ ჩვენი კავშირები მჭიდროთ იყვნენ დაკავშირებულნი მუშათა კლასის ყოველდღიურ ბრძოლასთან. საჭიროა, კომკავშირს დახმარებას უწევდნენ კომპარტიები".

ამხ. განინგტონის სიტყვა

„ამხ. ბუხარინმა, — სთქვა ინგლისის დელეგატმა ამხ. განინგტონმა, — სამწუხაროდ, თავისი საუცხოვო ანალიზი არ გაავრცელა უმუშევრობის საკითხებზე. უმუშევრობის საკითხი თანამედროვეობის ერთ-ერთი უდიდესი პრობლემაა. კომინტერნი დიდ შეცდომას დაუშვებს, რომ სათანადო ყურადღება არ მიაქციოს ამ საკითხს. უკმაყოფილო უმუშევრები დიდ პოტენციალურ ძალას წარმოადგენენ. ეს ძალა უნდა გამოვიყენოთ კაპიტალისტური რაციონალიზაციის და ომის საფრთხესთან ბრძოლაში.

ინგლისის კომპარტიას დიდი მიღწევები აქვს უმუშევართა შორის მუშაობაში. მაგალითისთვის გავიხსენოთ სამხრეთ-უელსის უმუშევარი მემაღაროეთა გამგზავრება ლონდონში წარსულ წელს. საჭიროა კომინტერნმა სერიოზული ყურადღება მიაქციოს უმუშევართა შორის მუშაობას".

კონგრესის შემდეგი სხდომა მოხდება 25 ივლისს დილით.

გერმანიის წითელ ფრონტელების დელეგაცია

მოსკოვი, 25 ივლისი. ჩამოვიდა გერმანიის წითელ ფრონტელების კავშირის დელეგაცია იმ მიზნით, რომ მიესალმოს კომინტერნის კონგრესს.

დელეგაციაში შედიან: ოლბრიხი—დელეგაციის თავმჯდომარე, მუშა-მელითონე, ცენტრალური ბიუროს წევრი, ბერლინის წითელ ფრონტელების ორგანიზაციის ერთ-ერთი ხელმძღვანელი; ვილანდი—მუშა-მელითონე ხემნიციდან; პანცერი—მებოსტნე, წითელ-ფრონტელთა კავშირის ქვემო-რეინის განყოფილების ორგანიზატორი; მალოლევსკი—მკერავი; კრაუზე—მკერავი, „როტე შტურმ"-ის ბერლინის ორგანიზაციის ბიუროს წევრი, ფილიპერი—სასაკლაოს მუშა, რომელიც ამას წინად პასუხისგებაში იყო მიცემული მოაბიტის სატუსაღოდან ბრაუნის განთავისუფლების საქმესთან დაკავშირებით, და 5 სხვა ამხანაგი, წითელ-ფრონტელების კავშირისა და „როტე შტურმი"-ს სხვადასხვა განყოფილებების აქტიური მუშაკები ბერლინიდან, ჰამბურგიდან და რურის ოლქიდან.

კომუნისტი
მიიღება ხელისმოწერა აგვისტოსათვის
კანტორა—რუსთაველის პრ. № 34. ტელეფ. 8—81.

პარტიული ცხოვრება

ბიუროების გადარჩევის შედეგები

(ქუთაისი)

სამაზრკომის პლენუმმა პრეზიდიუმს დირექტივა მისცა, რომ ბიუროების გადარჩევის დროს მსხვილ უჯრედებში დეფექტების უკეთ გამომჟღავნებისათვის თვით-შემმოწმებელი კომისიები გამოეყო.

ადგილებს დაეგზავნა აგრეთვე ცირკულიარი რომელშიაც მიცემული იყო დირექტივა, რომ განსაკუთრებული ყურადღება მიქცეოდა თვით კრიტიკის გაძლიერებას და შინაპარტიული დემოკრატიის კიდევ უფრო გაშლა-განვითარებას.

საწარმოო უჯრედებში საარჩევნო კრებებზე ბიუროს ანგარიშს გარდა უნდა დასმულიყო ადმინისტრაციის მოხსენება (ადგილკომის ფრაქციის თანამოხსენებით) შრომისნაყოფიერების, მუშების საწარმოო-ცხოვრებაში ჩაბმის და სხვ. შესახებ. სოფლის უჯრედებში—კოლექტიურ მეურნეობათა მშენებლობის და ღარიბ გლეხთა შორის მუშაობის შესახებ.

აღსანიშნავია, რომ საქ. კ. პ. (ბ) ცეკას და ც.ს.კ. აპრილის პლენუმის მიერ გადმოსროლილმა ლოზუნგმა თვითკრიტიკის შესახებ, დიდათ გააცხოველა გადარჩევის კამპანია. საკითხები იმდენად საინტერესო აღმოჩნდა და კამათი ისე ფართე ხასიათს ღებულობდა, რომ ყველაფრის ამოწურვა ერთი და ორი სხდომის განმავლობაში შეუძლებელი ხდებოდა. ამიტომაც ზოგიერთ უჯრედებში კრებები სამ-ოთხ დღესაც გაგრძელდა. ამავე დროს დამახასიათებელია ის, რომ უკანასკნელ სხდომებზე დამსწრეთა რაოდენობა არ მცირდებოდა.

ეხლანდელ კამპანიაში თვით შემმოწმებელი კომისიები არ აკეთებდენ თანამოხსენებებს, კომისიის წევრები მხოლოდ კამათში გამოდიოდენ უჯრედის წევრების თანაბრად, თვით შემმოწმებელი კომისიების მუშაობამ დადებითი შედეგი მოგვცა. კომისიებმა გამოაშკარავეს მთელი რიგი ნაკლულოვანებები ბიუროების საქმიანობაში, ხოლო კომისიის წევრების კამათში გამოსვლა ხელს უწყობდა რიგის წევრთა აქტივობის გადიდებას.

თვით შემმოწმებელ კომისიების მუშაობასთან დაკავშირებით უჯრედთა მდივნების მოხსენებების ხარისხი გაუმჯობესდა, მდივნები უფრო საფუძვლიანად და ყურადღებით ემზადებოდენ მოხსენებისათვის.

გადარჩევის კამპანიაში სასტიკად დაცული იყო შინაპარტიული დემოკრატიის პრინციპი. საწარმოო უჯრედებში კანდიდატების წინასწარ შერჩევას ადგილი არ ჰქონია. კანდიდატურებს აყენებდნენ კრებებზე და ხმის მიცემა ყველგან პერსონალური იყო.

სხდომებზე დამსწრეთა საშუალო პროცენტი მთელს ორგანიზაციაში 74 პროც. აღწევდა. ეს პროცენტი საკმარისად უნდა ჩაითვალოს თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ გადარჩევა ჩატარდა სწორედ შვებულების და წყლების პერიოდში.

მოხსენებების ირგვლივ შემოსულ შეკითხვების რაოდენობა უდრის 975. კამათში მონაწილეობა მიიღო დამსწრეთა 30 პროცენტმა.

გადარჩევების შედეგებიდან ირკვევა, რომ უჯრედების მუშაობაში ეხლა მეტი გეგმიანობაა, მეტი ყურადღება ექცევა დადგენილებათა შესრულების შემოწმებას, გაიზარდა პასუხისმგებლობის გრძნობა დავალებული საქმისადმი, ამაღლებულია კომუნისტების განათლების დონე, კომუჯრედის ხელმძღვანელი როლი სოფლად თანდათან ძლიერდება, ძლიერდება ღარიბთა შორის მუშაობა და სხვა.

უჯრედების მუშაობაში ადგილი აქვს დეფექტებსაც: ზოგიერთი ამხანაგები სწყდებიან საუჯრედო მუშაობას, საკმაო ყურადღება არ ექცევა პარტიის ზრდის საკითხს, სუსტათ დამუშავდა მე-15 პარტყრილობის შედეგები, სუსტია ანტირელიგიური მუშაობა, ვერ არის მოწესრიგებული ანგარიშ-ჩაბარების საქმე, მოიკოჭლებს მოჯამაგირეთა შორის მუშაობა, რაც გამოიხატება იმაში, რომ პროფკავშირში მოჯამაგირეთა მცირე პროცენტია გაერთიანებული და სხვ.

უჯრედების ახალი ბიუროების წევრთა შემადგენლობა ასეთია:

სულ 76 უჯრედში არჩეულ იქნა ბიუროს 248 წევრი. ამათში ძველი შემადგენლობიდან დარჩენილია—124—50 პროც.); ახალი ბიუროების სოციალური შემადგენლობა: მუშა—111—(44,7 პროც.), გლეხი—87 (35,0 პროც. მოსამსახურე და სხვა 50 (20,3 პროც.).

ს. მესხი.

დავრაზმოთ ღარიბები

(ჩხირაულის თემი, შორ. მაზრა)

კულაკი ყოველთვის ცდილობს, რომ თვალი აუხვიოს ღარიბ გლეხობას და თავის სასარგებლოთ გამოიყენოს იგი. დიდი შეძლების მქონე გლეხები ჩხირაულის თემში რიცხვობრივათ ცოტანი არიან. მაგრამ საქმისათვის ზიანის მიყენება მათაც შეუძლიათ.

გამოზაფხულზე თესვის დაწყების დროს, ბევრმა შეძლებულმა გლეხმა მოინდომა მიწის იჯარით გაცემა, რისი ნებაც ადგილობრივმა ხელისუფლებამ მათ არ დართო. ეხლა ეს სხვის ზურგზე ძღომას დაჩვეული ვაჟბატონები გამოდიან და გლეხობაში ხმებს ავრცელებენ: მთავრობას თქვენი შევიწროება უნდა ჩვენც იმიტომ ნებას არ გვაძლევს, რომ ადგილი —სამუშაო მოგცეთ.

ამას წინად ჩატარდა კოოპერატივის პაის გადიდების კამპანია. მცირერიცხოვანმა კულაკებმა მაშინაც დიდი აქტივობა გამოიჩინეს. დაიწყეს ლაპარაკი: შემოელიათ სახარჯი და ეხლა სოფლებში ფულების მოკრებას შეუდგენო.

სასოფლო-სამ. გადასახადით დასაბეგრი ობიექტების აღრიცხვის დროს, კულაკები სცდილობდენ აღმრიცხავ კომისიაში თავისი კაცები გაეძვრინათ, ეს რომ ვერ მოახერხეს, პირდაპირ ემუქრებოდენ ყველას: ჩვენს წინააღმდეგ რაიმეს თქმა არ გაბედოთ, თორემ შიმშილით ამოგწყვეტთო.

ასეთმა მუქარამ ზოგ ადგილას კიდევაც გასჭრა, ეს დაგვიმტკიცა გლეხთა აქტივის სათემო კრებამ, რომელზედაც დასაბეგრ ობიექტების სიები ირჩეოდა. ღარიბი გლეხი გამოდის და ამბობს:—„იქ. აღრიცხვის დროს ვერაფერი ვსთქვი მათი შიშით და ვერც აქ ვიტყვი რამეს, იმიტომ, რომ მიუვათ ამბავი და დავიღუპებით“.

შეძლებულმა გლეხებმა აქტივის სხდომაზედაც მოახერხეს შემოპარვა (მიუხედავად იმისა, რომ ისინი არავის მოუპატიჟებია) და ბღვერით უცქეროდენ მათ წინააღმდეგ გამოსულ ორატორებს. ასეთი ფაქტების მოყვანა მრავალის შეიძლებოდა, მაგრამ ესეც საკმარისია იმისათვის, რომ დავრწმუნდეთ შეძლებულ გლეხობის აქტივობისა და გავლენის გაძლიერებაში.

სოფლის პარტორგანიზაციამ კულაკის აქტივობის ზრდას ღარიბთა შორის მუშაობის გაძლიერება უნდა დაუპირისპიროს. ღარიბების შეკავშირება მათი გათვითცნობიერება, რაც შესაძლებელია ღარიბთა კრებების და ჯგუფების მუშაობის გაცხოველებით, აგრეთვე ღარიბ და საშუალო გლეხობის კავშირის განმტკიცება—აი, ძირითადი მიზნები; რომელსაც თავის მუშაობაში უნდა ისახავდეს სოფლის კომუჯრედი (ამ შემთხვევაში ჩხირაულის უჯრედი), და რომლის მიღწევითაც შესაძლებელია თავგასულ კულაკებისათვის ლაგამის ამოდება.

ვ. პაქსაშვილი.

კომკავშირში

მძინარა უჯრედი

(ვარდისუბანი, გორჩ. მ.)

უკვე მეხუთე წელია რაც სოფ. ვარდისუბანში ა. ლ. კ. კ. უჯრედი არსებობს. ამ ხნის განმავლობაში მას თითქმის არაფერი არ გაუკეთებია, თუ სამ თვეში ერთხელ ან ორხელ მოხდება კრება, ამასაც, რომელიმე ამხანაგს უნდა უმადლოდეთ.

არ სწარმოებდა და არც ეხლა სწარმოებს პოლიტმეცადინეობა. უჯრედის ღია კრება, სადაც უპარტიო გლეხურ ახალგაზრდობას მიეცემოდა დასწრების საშუალება თითქმის არასოდროს არ იწვევა.

უჯრედის წევრები საქმეს გულგრილად ეკიდებიან. არსებობს პიონერთა ორგანიზაცია — რომელსაც ხელმძღვანელად კომკავშირელი ჰყავს მიმაგრებული, მაგრამ პიონერთა შორის მუშაობა სრულებით არ სწარმოებს.

დიდ ნაკლად უნდა ჩაითვალოს ის, რომ ასეთ ჩამორჩენილ უჯრედს არავითარ ყურადღებას არ აქცევენ პარტიის და ა. ლ. კ. კ. თემკომები.

საჭიროა სამაზრო კომიტეტმა მაინც მიხედოს დასუსტებულ უჯრედს.

ჯერონტი.

თათბირი ხუროთმოძღვრების საკითხზე

ამ დღეებში საქ. კ. პ. (ბ) ცეკას საგიტ. საპროპაგანდო განყოფილებაში შესდგა თათბირი უმაღლეს სასწავლებლების სახუროთმოძღვრო ფაკულტეტების გაერთიანების შესახებ. თათბირს დაესწრენ სამხატვრო აკადემიის, სახ. უნივერსიტეტის, პოლიტეხნიკური ინსტიტუტის და სახ. მეურნ. უმაღლეს სკოლის წარმომადგენლები.

აღნიშნულ საკითხზე შესავალი სიტყვით გამოვიდა ამხ. **სამსონ მამულია**, რომელმაც აღნიშნა რომ უმაღლესი სასწავლებლების ანალოგიურ ფაკულტეტთა გაერთიანების საჭიროებამ ჩვენს წინაშე დააყენა უმაღლესი სასწავლებლების სახუროთმოძღვრო ფაკულტეტების გაერთიანების საკითხი. ჩვენ განზრახული გვაქვს სახ. უნივერსიტეტისა და სახ. პოლიტეხნიკურ ინსტიტუტის პოლიტეხნიკური ფაკულტეტები გავაერთიანოთ ერთ საინჟინრო ფაკულტეტად, ვინაიდან ამას მოითხოვს რაციონალიზაცია და ჩვენი სახალხო მეურნეობის ხუთწლიანი გეგმა. რაც შეეხება ხუროთმოძღვრების ფაკულტეტს, ასეთი გვაქვს ჩვენ სახ. უნივერსიტეტში და სამხატვრო აკადემიაში. პირველს აქვს მშენებლობითი განხრა, ხოლო მეორეს მხატვრული. ჩვენ გვინდა ერთიც და მეორეც. საკითხი იბადება ამ ორი განხრის გაერთიანებისა და იმ ადგილის შესახებ, სადაც ეს გაერთიანება უნდა მოხდეს. ამ საკითხის გადაწყვეტის დროს, ჩვენ მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარემოება, რომ სიმძიმის ცენტრად უნდა მიჩნეულ იქნეს მშენებლობითი განხრა, რასაც ამჟამად უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება.

ამხ. მამულიას სიტყვის შემდეგ გაიმართა კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს: პროფ. გრინევსკიმ, კალგინმა, ინჟ. თულაშვილმა; ყიფშიძემ, ზ. ჭიჭინაძემ, სევეროვმა, ამხ. კ. მეგრელიძემ; შ. დუდუჩავამ, არ. მოქამემ და სამოხვალოვმა.

პროფ. გრინევსკი, ინჟ. სევეროვი და პროფ. კალგინი ამტკიცებენ, რომ ხუროთმოძღვრების ფაკულტეტების გადატანა სამხატვრო აკადემიიდან სახ. უნივერსიტეტში დაარღვევს სახ. სამხატვრო აკადემიის სასწავლო გეგმას, რადგან ხუროთ-მოძღვრებას უშუალო კავშირი აქვს ყველა დანარჩენ ფაკულტეტებთან. ქანდაკება, ქერამიკა და მონუმენტალური მხატვრობა ხუროთმოძღვრებითი პრინციპების გარეშე შეუძლებელია. სამოქალაქო მშენებლობაში უდიდესი ადგილი უჭირავს კომპოზიციას და სტილს, რომლის შესრულება შეუძლია მხოლოდ მხატვარ-ხუროთმოძღვარს. საჭიროა თანამშრომლობა მშენებელ ინჟინერსა და ხუროთმოძღვარს შორის.

ინჟ. ზ. ჭიჭინაძე, თულაშვილი და ყიფშიძე იმ აზრის არიან, როგორც მხატვრული ისე მშენებლობითი, განხრა სამოქალაქო ხუროთმოძღვრებისათვის, ერთნაირად აუცილებელია. სამხატვრო აკადემიის ხუროთმოძღვრების ფაკულტეტის გადატანა სახ. უნივერსიტეტში კი აბსოლიუტურად მიზან-შეუწონელია, ვინაიდან ორივე განხრა—მშენებლობითი და მხატვრული იზარალებდა საგნების გადიდების გამო.

ამხ. შ. დუდუჩავა და კ. მეგრელიძე ამტკიცებდენ, რომ თანამედროვე ხუროთმოძღვრებაში მთავარი ადგილი უჭირავს კომპოზიციის და სტილის საკითხს. ამ პრობლემას კი მთლიანად ემსახურება სამხატვრო აკადემიის ხუროთმოძღვრების ფაკულტეტი. ჩვენთვის საჭიროა არა მარტო მაგარი და გამძლე შენობა, არამედ ლამაზიც. საჭიროა სამხატვრო აკადემიის ხუროთმოძღვრების ფაკულტეტი მაქსიმალურად განიტვირთოს ზედმეტ ტეხნიკურ საგნებისაგან და უმთავრესი ყურადღება მიექცეს კომპოზიციისა და სტილის პრობლემებს. მომავალი ჩვენი აღმშენებლობა საჭიროა ვითარდებოდეს ინჟენ. და მხატვარ ხუროთმოძღვარის მტკიცე თანამშრომლობის საფუძვლებზე.

თათბირის დახურვისას ამხ. მამულიამ აღნიშნა, რომ ორატორების მიერ გამოთქმული მოსაზრებანი საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტის დროს მხედველობაში იქნება მიღებული.

მუშათა ცხოვრება

დაწინაურება თუ უკან დაწევა

(თბილისის ავეჯეულობის ფაბრიკა)

საქართველოს ტყის მრეწველობის ავეჯეულობის ქარხანა ყოველ წელს რამდენიმე ათასი მანეთის დეფიციტს იძლეოდა. ქარხნის ხელმძღვანელთა აზრით ეს მოვლენა ნორმალური იყო, რადგან მათი სიტყვით თუ სახელმწიფომ არ მისცა დოტაცია. ქარხანა ყოველთვის დეფიციტიანი იქნება, ნაწარმოების ხარისხის დაცემის მიზეზით კი შრომის ხელფასის სიმცირეს სთვლიდნენ. ქარხნის ზოგიერთი მუშები ამ აზრს არ იზიარებდნენ. ისინი ქარხნის ასეთ მდგომარეობის მიზეზათ სთვლიდნენ ქარხნის ხელმძღვანელობის უვარგისობას.

1927 წ. სექტემბერში, რკინის გზის მთ. სახელოსნოს მუშების მიერ, აღნიშნულ ქარხნის დირექტორის მოადგილის თანამდებობაზე წამოყენებული იქნა ამხ. ვ. ბალიაშვილი, რომელმაც მიუხედავად იმისა, რომ პირველად უხდებოდა ადმინისტრატიული საქმის ხელმძღვანელობა შესძლო აღმოეჩინა ქარხანაში მრავალი ნაკლოვანებანი და გამოესწორებინა იგი, რამაც ქარხანა გამოიყვანა დეფიციტიანობისაგან და მისცა მას მოგება, 1927 წლის ანგარიშის შესადგენად ამხ. ბალიაშვილმა ჩაატარა ქარხნის ქონების აღწერა. წინა წლებში ასეთ აღწერაზე იხარჯებოდა ათას მანეთობით, 1927 წლის აღწერაზე კი არაფერი დაიხარჯა. აღწერამ აღმოაჩინა 8.000 ვერშოკზე მეტი ხის მასალის დანაკლისი.

ზამთრის პერიოდში, 1927 ოქტომბრიდან 1928 აპრილამდე, ბალიაშვილის მუყაითი მუშაობით ქარხნის ნაწარმოების გამოშვება გაიზარდა 100 პროცენტით: 1927 წლის ივლისში, აგვისტოში და სექტემბერში, ქარხანამ გამოუშვა 44.800 მანეთის ნაწარმოები. ოქტომბერში, ნოემბერში და დეკემბერში, გამოშვებულ იქნა 89 484 მან. ნაწარმოები. ხოლო მიმდინარე წლის იანვარში, თებერვალში და მარტში კი გამოშვებული იქნა 105 594 მან. ნაწარმოები. ისე, რომ ძველი ადმინისტრაციის მიერ დატოვებული რამდენიმე ათასი მანეთი ვალი, ქარხანამ დაჰფარა და 1927-28 წელს მოგებაც დარჩა.

მაგრამ ამ მუშაობაში, დაწინაურებულ მუშას ზოგიერთები ხელს უშლიდენ და ყოველ საშუალებას ხმარობდნენ მუშაობის შესაფერხებლად. ეს ვაჟბატონები ყოველ კრებებზე გაჰკიოდნენ, რომ „ბალიაშვილი უსვინდისო სპეცია, მის აღებულ საქმიდან მუშები ვერაფერს ამუშავებენ, რის გამო ქარხანას ზარალი აქვს“ და სხვა. სინამდვილეში კი საგრძნობლად გაუმჯობესდა მუშების მდგომარეობაც.

დასასრულ ნაწარმოების ხარისხის შესამოწმებლად გამოყოფილი იქნა კომისია, რომელმაც დაიწუნა ნაწარმოების ხარისხი და ამაში ბრალი დასდო დაწინაურებულ მუშას. მიუხედავად იმისა, რომ კომისია თითონ იყო დარწმუნებული იმაში, რომ ასე მცირე ხნის განმავლობაში არ შეიძლებოდა ყოველივე ნაკლის გამოსწორება, მაინც ამას არ მიაქცია ყურადღება კომისიამ. არ იქნა მიღებული ბალიაშვილის წინადადება იმის შესახებ, რომ მოეხდინათ რამდენიმე სამაგალითო გაშინჯვა ოჯახებში ძველ ხელმძღვანელობის დროს გაყიდულ ავეჯებისა და მოხსნა იგი თანამდებობიდან. კომისიის ასეთი ცალმხრივი მიდგომა საკითხისადმი, ეს არის ბოროტმოქმედება და დაწინაურებულ მუშის დაჩაგვრა.

ნუ თუ ასეთ ხელმძღვანელობას უწევს საქ. სატყეო ტრესტი, დაწინაურებულ მუშას? რა უწოდოთ ამას, მუშის დაწინაურება თუ უკან დაწევა.

ვ. ნ. ბ.

ახალი გამოგონებები

(ამხ. კალინინის სახ. მეხანიკური ქარხანა)

ამხ. კალინინის სახელობის მეხანიკურ ქარხანაში შესდგა საწარმოო თათბირი, რომელსაც მიუხედავად იმისა, რომ მუშები მოქანცულები იყვნენ, მაინც ყველანი დაესწრნენ. თათბირზე, ზინკლების, ბაბაიანის და პატოშკინის დაჯილდოების შესახებ ილაპარაკა ამხ. საგალოვმა, რომელმაც ვრცლად დაახასიათა ამხ. ბაბაიანისა და პატოშკინის ნაყოფიერი მუშაობა და აღნიშნა რომ მიუხედავად სიცივისა, აღნიშნული ამხანაგები ენერგიულად მუშაობდნენ ელექტრომოტორისა და ტრანსმისიის მოსაწყობად. თათბირმა საჭიროთ სცნო ამხ. ბაბაიანს და პატოშკინს მიეცეთ ჯილდოთ ნახევარი თვის ხელფასი.

შემდეგ თათბირმა მოისმინა ინფორმაცია ამხ. ჩილინგაროვის ახალ გამოგონების შესახებ. ამხ. ჩილინგაროვმა გამოიგონა ტაქკის თვლების ახალი წესით დაყალიბება. ამ წესით თვითეული შეგირდიც დღეში 13-15-მდე თვალს აყალიბებს. წინად კი 6—7-ზე მეტს ვერც მოწაფეები და ვერც ოსტატები ვერ აყალიბებდნენ. გარდა ამისა ჩილინგაროვმა, კოქსიდან, ხის ნახშირიდან, ქატოდან, ახალი მიწიდან და შაქრიდან, დაამზადა საუცხოო საღებავი, რამაც თვეში 1.000 მანეთზე მეტი ეკონომია მისცა ქარხანას. გარდა ამისა თუჯის სადნობში 30 ფუთი კოქსი ნაკლები იხარჯება, რომლიდანაც წლის განმავლობაში 360 ფუთი ეკონომიაა — ფუთი კოქსი კი ღირს 65 კაპეიკი. სოფ. დიღომში მან აღმოაჩინა ახალი მიწა, რომლის მოტანაც ქარხანაში ჯდება ფუთი 7—8 კაპეიკი. წინად კი ეგი მოჰქონდათ ბელაგორიდან და სურამიდან და ფუთში იხდიდნენ 20 კაპეიკს. ერთი სიტყვით ამხ. ჩილინგაროვის გამოგონებებმა და მუშაობის გაუმჯობესებამ წარმოება საგრძნობლად ასწია. ამიტომ თათბირმა დაადგინა ამხ. ჩილინგაროვს მიეცეს ჯილდო ორი კვირის ხელფასის რაოდენობით და გამოყოფილ იქნეს სპეციალური კომისია ჩილინგაროვის გამოგონებების შესასწავლად და შესამოწმებლად.

დასასრულ თათბირმა განიხილა ტეხნიკოს საგალოვის მუშაობა და შუამდგომლობა აღძრა სათანადო ორგანოების წინაშე, რათა ამხ. საგალოვი, რომელმაც სამაგალითოდ მოაწყო ქარხანა, გამოცხადებული იქნეს წითელ დაფაზე. გარდა ამისა თათბირმა დაადგინა ამხ. საგალოვს მიეცეს ჯილდოთ ნახევარი თვის ჯამაგირი.

თათბირმა საჭიროთ სცნო თუჯის სადნობს დაედგას ქოლგა. ჩამომსხმელ სამქროში მოეწყოს ვენტილიაცია და შექმნილ იქნას ელექტრონის ბორბალი, რომელიც აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს.

შაქრო ნავთლუღელი.

―:―

მუშებს სდევნის

(რკინის გზის საუბნო კომიტეტის საყურადღებოდ)

ამ დღეებში გამოქვეყნებულმა წერილმა მთავარ სახელოსნოების საიარაღო სამქროს შესახებ, მეტად ცუდ გუნებაზე დააყენა მოქ. გნოევოი. მან იმ დღესვე მოიწვია სამქროს მუშათა კრება და ცოფმორეული ეძებდა მუშკორს. მოქ. გნოევოიმ რადიკალურად დასვა საკითხი: „ან ჩვენ აქ და ან მუშკორიო“. მოქ. დემეტრაშვილსაც თურმე თავისებურად ესმის თვითკრიტიკა; მან მხარი დაუჭირა გნოევოის და სასტიკად გაილაშქრა თვით გაზეთის რედაქციის წინააღმდეგ.

გნოევოიმ არც სხვა მუშები დაინდო; საუბნო კომიტეტის მიერ უკან დაბრუნებული 11 განაკვეთი, რომელიც უნდა განაწილებულიყო დაბალ განაკვეთში მყოფ მუშებზე, მან არ შეასრულა. პირველად შეპირდა საიარაღო საგამომცემლოს მუშებს მოგიმატებთ, როგორც დაბალ განაკვეთში მყოფთო. ამ საქმეზე შუამდგომლობაც აღძრა ადგილკომში. მაგრამ დაიბეჭდა თუ არა ცნობა საიარაღოს შესახებ, გნოევოიმ შეაბრუნა კეხი და არც ერთი განაკვეთი საიარაღო საგამომცემლოს მუშებს არ მისცა. სულ სამქროში დაარიგა ასეთ მუშებზე, რომელნიც ისედაც საშუალო განაკვეთში იმყოფებიან.

აღსანიშნავია, რომ მოქ. გნოევოი, მანჩხავასთვის მეტად გულუხვი აღმოჩნდა; მან ერთის მაგივრად ორი განაკვეთი იმუმატა მანჩხავას და უბრალო მუშის თანამდებობიდან სპეც ზეინკალის ტიტული უძღვნა. საიარაღო საგამომცემლოს მუშებს 20—30 წლის მუშაობის სტაჟი აქვთ. ისინი ამდენი ხანია 5 განაკვეთში იყვნენ, ეხლა კი დარჩნენ მეოთხე განაკვეთში. მათი მუშაობა საიარაღო საგამომცემლოში მეტად რთული და საპასუხისმგებლოა. ამიტომ ყოვლად შეუძლებელია მათი შედარება უბრალო მუშების კატეგორიასთან.

საუბნო კომიტეტმა პასუხი უნდა მოსთხოვოს განებივრებულ ადმინისტრაციას.

მეიარაღე.

რად აგვიანებთ მატარებლებს

(წერილი ხაშურიდან)

ა.-კავკ. რკინის გზის გამგეობა განსაკუთრებულ ზომებს ღებულობს სახალხო და საბარგო მატარებლების დაგვიანების წინააღმდეგ. მაგრამ სამწუხაროთ ამ არასასურველ მოვლენას დღემდე არ მოეღო ბოლო. ეს აიხსნება იმით, რომ ზოგიერთი სადგურის უფროსები ნაკლებ ყურადღებას აქცევენ მატარებლების წესიერად და განრიგების თანახმად მოძრაობის საქმეს:

17 ივლისს სად. ხაშურიდან სურამში უნდა გასულიყო მატარებელი № 61 ღამის 12 საათზე და 30 წუთზე. მატარებლის შემადგენლობა კი სადგურზე ჩამოაყენეს მხოლოდ 2 საათზე. 5 წუთის შემდეგ შემადგენლობას მიუბეს ორთქლმავალი, ხოლო 10 წ. შემდეგ კი გაუშვეს მატარებელი. ისე, რომ მატარებელი გაიგზავნა 40 წუთით დაგვიანებით.

18 ივლისს სად. სურამიდან ხაშურამდე მატარებელი № 61 გაიგზავნა 55 წუთით დაგვიანებით. ამის გამო მგზავრებმა თბილისში ვერ მოუსწრეს სახ. მატ. № 13-ს და დარჩენ სადგურში. ასეთი მაგალითები ძალიან ბევრია, რასაც არევ-დარევა შეაქვს მატარებელთა მიმოსვლის საქმეში. სად. ხაშურის უფროსი ამას არ აქცევს ჯეროვან ყურადღებას და არ ღებულობს სათანადო ზომებს მატარებელთა დაგვიანების წინააღმდეგ.

დროა ბოლო მოეღოს ასეთ უყურადღებობას და მატარებლების დაგვიანებას.

ი. რუისპირელი.

―

მუშკორთა წერილებიდან

პასუხს არ გვაძლევს. „კრასნი ვოინის“-ს სტამბის მუშა-მოსამსახურენი უშვებენ კედლის გაზეთს „პილესოს“-ის სახელწოდებით. გაზეთი შინაარსიანია, მაგრამ უნდა ითქვას რომ სტამბის ადმინისტრაცია არავითარ ყურადღებას არ აქცევს გაზეთში მოთავსებულ შენიშვნებს და არ უპასუხებს მათ. ზოგიერთი მუშებიც გაურბიან კედლის გაზეთში თანამშრომლობას. ეს სუსტი ხელმძღვანელობის ბრალია. სათანადო ორგანოებმა უნდა გამოასწორონ ეს ნაკლი.

საირმელი.

აზარტული სათამაშო. ორთაჭალაში კომუნალის ქუჩაზე არსებობს სახაიე „აეროპლანი“. სადაც სწარმოებს ჩუმი აზარტიული თამაში. აღსანიშნავია, რომ აქ თამაშობენ და ფულს აგებენ ამ რაიონში მცხოვრები მუშებიც. მილიციამ უნდა დახუროს ეს სახაიე და მოსპოს აზარტიული სათამაშოების კერა.

გალუსტი.

მიაქციეთ ყურადღება. რკინის გზის მთავარ სახელოსნოებში, ტრამვაის სახლებში ბინების განაწილება მიანდვეს სამქროების უჯრედების მდივნებს, რომლებიც არავითარ ყურადღებას არ აქცევენ კომისიების დასკვნას და თავიანთი სურვილით ანაწილებენ ბინებს მუშგლეხინი უნდა ჩაერიოს ამ საქმეში.

მუშა.

სამაგალითო გამგ. ლენინის რაიონში, „ზაკტპო“-ს № 43 მაღაზიის გამგეთ ამას წინათ დანიშნეს ამხ. ჭიჭიკაძე, რომელმაც სამაგალითოდ დააყენა მაღაზიის საქმიანობა და მომხმარებლებსაც ზრდილობიანად ექცევა კარგი იქნება, რომ სხვა მაღაზიის გამგეებმა მიბაძონ აღნიშნულ მაღაზიის გამგეს.

საქმის მცოდნე.

განწესის შედგენას ხელს უშლიან. თბილისის დეპოს სამორიგეო ოთახში, აუარებელი თავისუფალი მემანქანეები და მათი თანაშემწეები იყრიან თავს და ხელს უშლიან განწესის შედგენას. დეპოს უფროსმა ყურადღება უნდა მიაქციოს ამ გარემოებას.

ოზრანელი.

მეტი გადახდევინა. 14 ივლისს, № 18 მატარებელს მე-331 კილომეტრზე (ბაქანზე) დაუჯდა ზაჰესის მუშა, რომელმაც კონტროლის მოთხოვნისთანავე მიაწოდა ფული ბილეთის ასაღებად სად. მცხეთამდე. მაგრამ კონტ. რომელმა ობოლაძემ ბილეთში გადახდევინა იმდენი, რამდენიც ღირს თბილისიდან მცხეთამდე, ე. ი. 42 კაპეიკი. რკინის გზის სამმართველოს რად ხდება ასე?

საყვავისტუელი.

აღმშენებლობის გასაიაფებლად

ნაგებობათა ინსტიტუტის მოწყობა ამიერ-კავკასიაში

ა. კ. ტეხნიკურ-სააღმშენებლო კომიტეტში გუშინ შესდგა თათბირი, რომელზედაც განხილულ იქნა საკითხი თბილისში ამიერკავკასიის სამოქალაქო და სამრეწველო ნაგებობათა მეცნიერულ - ექსპერიმენტალური ინსტიტუტის (მოსკოვის ნაგებობათა ინსტიტუტის ფილიალის) მოწყობის შესახებ. ინსტიტუტის მუშაობის შესახებ საინფორმაციო მოხსენება გააკეთა მოსკოვის ნაგობებათა ინსტიტუტის თავმჯდომარის მოადგილემ, ამხ. ლერნერმა.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ამ ჟამად საბჭოთა კავშირში ფართოთ წარმოებული აღმშენებლობა დღის წესრიგში აყენებს მშენებლობის გაიაფების საჭიროებას და ახალი კონსტრუქციების შექმნას ნაცვლათ მოძველებული და მაღალ ფასიანი კონსტრუქციებისა.

მშენებლობის გაიაფების მისაღწევათ საჭიროა მთელი რიგი ცდების წარმოება, სააღმშენებლო მასალის შესწავლა და სხ. ნაგებობათა ინსტიტუტი უკვე შეუდგა მუშაობას ამ მიმართულებით.

მუშათა და გლეხთა ინსპექციის გამოკვლევამ დაადასტურა ინსტიტუტის ამგვარი მუშაობის დიდი ნაყოფიერება. ინსტიტუტის ფილიალური განყოფილება უკვე მოწყობილია ლენინგრადში, სადაც განყოფილების მუშაობაში მონაწილეობას ღებულობენ ცნობილი პროფესორები. ამჟამად ფილიალები ეწყობა საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რესპუბლიკებში. მომხსენებელი აღნიშნავს, რომ ასეთი ფილიალის მოწყობა ამიერ-კავკასიაში, რომელიც მეტად მდიდარია სხვადასხვა სააღმშენებლო მასალებით, დიდ ნაყოფს გამოიღებს და ხელს შეუწყობს რაციონალური მშენებლობის გაფართოებას.

აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ თათბირმა საჭიროთ სცნო ნაგებობათა ინსტიტუტის მოწყობა თბილისში და ამ საკითხის მოსაგვარებლათ გამოჰყო საორგანიზაციო ბიურო, რომელშიაც შევლენ ა.-კ. სააღმშენებლო-ტეხნიკური კომიტეტის, ა.-კ. საგეგმო კომისიის, რესპუბლიკანურ საგეგმო კომისიების, ამიერ-კავკასიის რკ. გზის გამგეობის, ა. კ. ნავთსადგურების სამმართველოს, გზათა კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოს, ა. კ. წყალთა მეურნეობის სამმართველოს, საქართველოს, სომხეთის და აზერბაიჯანის სააღმშენებლო-ტეხ. კომიტეტების, თბილისის, ბაქოს და ერევნის აღმასკომების, საქართველოს სახ. მეურნეობის უმაღლ. საბჭოს ახალმშენებათა განყოფილების, აზნავთის, საქართველოს და სომხეთის უნივერსიტეტების, პოლიტეხნიკუმების და სხ. ორგანიზაციების წარმომადგენლები.

ბიუროს დაევალა შეიმუშაოს 1929-30 წლის სამუშაო გეგმა და შეაკავშიროს ამიერკავკასიაში მომქმედი სამეცნიერო გამომკვლევი ძალები.

გამოკვლევების დროს გამოყენებული იქნება არსებული ლაბორატორიები. ამ თავითვე უმთავრესი ყურადღება მიექცევა ადგილობრივ სააღმშენებლო მასალების შესწავლას და კონსტრუქციების გამოკვლევას.

აღმშენებლობა გურჯაანში

(საუბარი კახეთის აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. დ. აფციაურთან)

თბილისში ჩამოვიდა კახეთის სამაზრო აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. დ. აფციაური, რომელმაც ჩვენს თანამშრომელს გააცნო სიღნაღ-თელავის მაზრების გაერთიანების შემდეგ ჩამოყალიბებული გაერთიანებული სამაზრო აღმასკომის სამუშაო გეგმა. ამხ. აფციაურმა განაცხადა:

— სიღნაღისა და თელავის მაზრების გაერთიანებას და სამაზრო ცენტრის გურჯაანში გადატანას მოსახლეობის ფართო ფენები დიდის აღტაცებით შეხვდნენ. ეს გასაგებიცაა, რადგან გურჯაანი კახეთის გეოგრაფიული ცენტრია და იქ სამაზრო ცენტრის მოწყობით ფართო პერსპექტივები იშლება მაზრის ეკონომიური აღორძინებისათვის.

თვითონ გურჯაანში კახეთის სამაზრო აღმასკომს გადაწყვეტილი აქვს დაიწყოს ფართო საქალაქო აღმშენებლობა. პირველ რიგში აგებული იქნება შენობები ადგილობრივ დაწესებულებებისათვის, როგორიცაა სამაზრო აღმასკომი, სახ.-სამეურნეო და კომუნალური ბანკები, სკოლა და სხვა კომუნალური ხასიათის დაწესებულებები (სასტუმროები, სასაკლაო და სხ.). ქალაქის გაშენების მიზნით ახლო ხანში შეუდგებით მიწების დაგეგმვას, რისთვისაც, საჭირო წინასწარი მუშაობა უკვე დაწყებულია. ჩვენ გადაწყვეტილი გვაქვს მიმდინარე სეზონის განმავლობაში მოვასწროთ აღმშენებლობის დაწყება. ახალი ქალაქის—გურჯაანის გასაშენებლათ მუშაობა დაწყებული იქნება სამი მიმართულებით: შენობების აგება, მთავრობის ორგანოებისათვის, მუშათა ბინების აღმშენებლობა და კერძო ინიციატივის გამოყენება.

მიმდინარე საბიუჯეტო წლის განმავლობაში დაყენებული იქნება ახალი აღმშენებლობა სამივე ამ მიმართულებით. აღმშენებლობისათვის საჭიროა თანხები, რომელთა გაღებას ამ თავითვე სამაზრო აღმასკომი ვერ შესძლებს, მაგრამ მთავრობის უმაღლესი ორგანოების დახმარებით ეს დაბრკოლება დაძლეული იქნება.

ახალ სამაზრო ცენტრში განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა სამრეწველო აღმშენებლობას. პირველ რიგში აგებული იქნება სპირტის სარექტიფიკაციო ქარხანა, აგურ-კრამიტის ქარხანა, რომლის პროდუქციაც გამოყენებული იქნება ადგილობრივი აღმშენებლობისათვის, ღვინოების შესანახი სარდაფი, სპეციალური ქიმიური ლაბორატორია და სხვა.

ამჟამად ჩემი თბილისში ჩამოსვლის ერთ-ერთ მიზანს შეადგენს სპეციალისტების მოწვევა გურჯაანის ახალი აღმშენებლობის სახელმძღვანელოთ. პირველ რიგში გვჭირდება გამოცდილი აღმშენებელი—ინჟენერი, რომელიც მოწვეული იქნება საქართველოს ინჟენერ-ტეხნიკოსთა საზოგადოების რჩევით.

„როგორ მიმდინარეობს კონტრაქტაცია თამბაქოზე

ა.კ. ვაჭრობის სახ. კომისარიატის რწმუნებულის (საქართველოში) სამმართველოს ცნობით, კახეთის რაიონში, გეგმის თანახმად თამბაქო წელს უნდა დათესილიყო 900 დესეტინაზე. აქედან ამ ჟამად უკვე დაბევებულია და პირველი ავანსი გაცემულია 844 დესეტინაზე. დასაბევებელი დარჩა 80-დან —100 დესეტინამდე. ეს რაოდენობაც რამოდენიმე დღეში იქნება დაბევებული და კონტრაქტაციის გეგმა შესრულებული იქნება მთლიანად.

ამხანაგობებს გადაეცათ საჭირო თანხები. მეორე ავანსათ დესეტინაზე გაცემული იქნება 100 მანეთი.

სამეგრელოდან მიღებული ცნობების მიხედვით, იქ უკვე დაბევებულია 120 დესეტინა თამბაქო. რამოდენიმე დღეში დაბევება სამეგრელოშიაც დამთავრდება. გეგმის თანახმად სამეგრელოში დათესილი უნდა იქნეს (კონტრაქტაციით) 350 დესეტინა. სამეგრელოში დაიწყო მეორე ავანსების გაცემა თამბაქოზე.

გურიაში გეგმის თანახმად თამბაქოთი დათესილი უნდა იქნეს 100 დესეტინა. მიღებული ცნობების თანახმად თამბაქოს ნათესების დაბევება გურიაში ნორმალურათ მიმდინარეობს.

გასული გაზაფხულის და ზაფხულის დამდეგის ხშირმა წვიმებმა უარყოფითი გავლენა მოახდინა თამბაქოს ნათესებზე. ყველა რაიონებში დაგვიანდა თამბაქოს გადარგვა, რამაც შეაფერხა თამბაქოს ნორმალური განვითარება. ამ მხრივ თამბაქოს ნათესების დაზარალება განსაკუთრებით შესამჩნევია გურია-სამეგრელოში. კახეთის რაიონში მდგომარეობა გაცილებით უკეთესია.

თამბაქოს მავნებლებიდან წელს გავრცელებულია „მახრა“. კახეთის რაიონში თამბაქო იმდენათ დააზიანა მავნებლებმა, რომ ზოგიერთ ადგილას საჭირო გახდა ახალი ნერგის ჩამატება.

საბჭოთა საქართველო

წერილები

ხანძარი ზუგდიდში ბოროტმოქმედების შედეგია

ა. წ. 8 ივლისს შუადღის 2 საათზე ქ. ზუგდიდში ცეცხლი გაუჩნდა სასამართლოს შენობას, სადაც მოთავსებული იყო სამაზრო და უბნის სასამართლოები, პროკურატურა, გამომძიებლო კამერა და სასამართლოს აღმასრულებელი კამერა.

დაიწვა ის საქმეები, რომელიც სამაზრო სასამართლოს უნდა განეხილა და რომელიც მოთავსებული იყო სამაზრო სასამართლოს კანცელარიაში.

სხვა საქმეები გადარჩენილია.

ხანძრის მიზეზის გამოსარკვევად შემდგარმა სპეციალურმა კომისიამ საბოლოოდ გამოარკვია, რომ ხანძარი გაჩენილია განზრახ, საქმეების განადგურების მიზნით—სამაზრო სასამართლოს კანცელარიაში.

ზუგდიდის მაზრის პროკურორი ბ. შონია.

ჩვენი ტეხნიკუმი

(ხონი)

ქ. ხონის სკოლებში ივნისის ბოლო რიცხვებში მოეწყო მოწაფეთა ნამუშევრების გამოფენა, განსაკუთრებით ყურადღება მიიქცია ხონის ინდუსტ. მექანიკურ. ტეხნიკუმის მოწაფეთა ნამუშევრებმა, რომელიც დაათვალიერა დაახლოვებით 3.000-მდე კაცმა მიუხედავად ცუდი ამინდებისა. გამოფენაზე მთავარ ყურადღებას იპყრობდა მოწაფეთა ნახაზები, საყურადღებო იყო აგრეთვე სათიბი, ყურძნის საწნეხი და სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო იარაღები.

გამოფენის შემდეგ მოეწყო ლატარია და გათამაშებულ იქნა მოწაფეთა მიერ დამზადებული 150 ც. სხვადასხვა ნივთები 500 მან-დე ღირებული, ნივთებს შორის იყო შკაფი (ღირებ. 75 მ.). სათოხი მანქანა და სხვა სასოფლო-სამეურნეო იარაღები. ლატარიის დამთავრების შემდეგ მოხდა კურსდამთავრებულთა გამოშვება.

ტეხნიკუმი დაამთავრა ცხრამეტმა მოწაფემ. ისინი გაგზავნილ იქნენ პრაქტიკაზე საქართველოსა და საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქებში.

შრომისშვილი.

ჩვენი საავადმყოფო

(ცაგერი)

ლეჩხუმის მაზრის ცენტრში ცაგერში გვაქვს კარგად მოწყობილი საავადმყოფო, საავადმყოფო დიდ დახმარებას უწევს გლეხობას, გლეხებიც დიდი ნდობით ეკიდებიან საბჭოთა მედიცინას. ამის დამამტკიცებელია თუ გნებავთ ცაგერის საბჭოთა აფთიაქში დაგროვილი რეცეპტი, რომლის დამზადებას აფთიაქის თანამშრომელნი ორ ცვლადაც ვერ აუდიან. ექიმებიც გადატვირთულნი არიან მუშაობით. ადრიან დილით დაწყებულ მუშაობას ექიმები ზოგჯერ მზის ჩასვლამდე ვერც კი ათავებენ. ამ გარემოებას უსათუოდ უნდა მიექცეს ყურადღება. მართალია, ექიმები სინდისიერათ ეკიდებიან საქმეს, ისინი არ ზოგავენ თავის დროს და ენერგიას, არ უყურებენ „საათს“, მაგრამ ისინი ხომ დიდხანს ვერ შესძლებენ ასე მუშაობას. საჭიროა შტატის გადიდება და ექიმების მუშაობის ნორმალურ პირობებში ჩაყენება.

აღსანიშნავია ერთი გარემოება: საავადმყოფოს მუშაობა მაშინაა ნაყოფიერი, როცა დაბალი მედპერსონალიცაა დაინტერესებული საქმის გაუმჯობესებაში. ამ მხრივ კი ყველაფერი რიგზე ვერ არის. ზოგიერთი თანამშრომელს თუ ძალიან არ შეეხვეწე, საქმეს არ გააკეთებს.

საჭიროა თანამშრომელთა შორის დისციპლინის განმტკიცება, რომ საქმე ნაყოფიერად წავიდეს.

ადმინისტრაციამაც და კავშირმაც ყურადღება უნდა მიაქციონ ამას.

ვ. ფ—ძე.

გაგვიხსენით სოფლის ახალგაზრდობის სკოლა

კავთისხევი დიდი თემია. თბილისიდან იგი არც ისე დაშორებულია (45 ვერსი) მაგრამ სწავლა-განათლების საქმე ვერ არის სახარბიელოთ დაყენებული. მართალია თვით კავთისხევში, როგორც სათემო პუნქტში რამდენიმე ოთხწლედია, მაგრამ მოსწავლეთა უმრავლესობა ამ სასწავლებლის დათავების შემდეგ ვერ ახერხებს სწავლის გაგრძელებას. ისინი არ არიან აღჭურვილნი ისეთი ცოდნით, რომ ხელი შეუწყონ სოფლის მეურნეობის აყვავებას, სამეურნეო კოლექტივების დაარსებას და სხვა.

როგორც ვიცით ამ მიზანს სოფლის ახალგაზრდობის სკოლები ემსახურებიან.

ასეთი სკოლის გახსნა უსათუოდ საჭიროა კავთისხევში. ადგილობრივი ხელისუფლება და გლეხობა მზათაა მისცეს სკოლას შენობა, მიწის ნაკვეთი, ბაღი და სხვა.

გორის მაზრის განათლების განყოფილებამ და განათლების კომისარიატმა უნდა მიაქციონ ყურადღება კავთისხევის გლეხობის სურვილს და გახსნას სოფლის ახალგაზრდობის სკოლა.

ჯ—დარი.

რქები უნდა ამოვაძროთ

სოფ. დიმში (ბაღდათის თემი) მცხოვრებნი: ტერენტი გველესიანი, ათანასე ჩიქვანიძე, ვასიკო ავალიანი, ლევანტი ლომსიანიძე და ერმილე წაქაძე თანამედროვე სოფლის კულაკური ტიპებია. მათ აქვთ ნორმაზე მეტი მიწები, ქუთაისში სახლები, სოფელში სავაჭროები და წისქვილები ასე რომ, განცხრომით სცხოვრობენ. ჰყავთ დაქირავებული მოჯამაგირენი და ხელზე მოსამსახურეები. ასეთმა ხალხმა მოითხოვა იმავე სოფელში მცხ. ივანე გარუჩავასაგან, რომ ამ უკანასკნელს ვითომ გზისთვის ხელი აეღოთ ასი ოთხკუთხედი მიწისაგან. გზა ამ კულაკებს წისქვილზე მისავლელათ „სჭირდებათ“, მიუხედავად იმისა, რომ წისქვილს აქვს ორი სხვა გზა.

გარუჩავა არ დათანხმდა ამაზე, რადგან გზის გაყვანა განადგურებას უქადის მის პატარა მამულს, კულაკები იერიშზე გადავიდნენ და ღამით გაურღვიეს ღობე გარუჩავას. გარუჩავამ მიმართა თემაღმასკომის თავმჯდომარეს კოხოძეს. ამ უკანასკნელმა „ბრძნული“ დასკვნა გამოიტანა საიდანაც „სჩანდა“ რომ გლეხი თურმე თვით არღვევს თავის მამულის ღობეს და ისიც შემოდგომაზე. რას იზამ: თავმჯდომარემ სთქვა და გათავდა.

საქმე გადავიდა ბაღდათის უბნის სასამართლოში და ირჩევა მხოლოდ ა. წ. აპრილში, მაგრამ დახე უბედურებას?! აღმასკომის თავმჯდომარის მოპასუხეებისათვის უწყება არ ჩაუბარებიათ (ალბათ მათ შეწუხებას მოერიდენ) და საქმე უნდა გადადებულიყო, ვინაიდან ადგილი მთელი წლის განმავლობაში შეუღობავი იყო და საქონელი დათარეშობდა შიგ, საქმის გადადება შეუძლებელი იყო. ამიტომ საქმე დამთავრდა „შერიგებით“. გარუჩავა იძულებული შეიქმნა დაეთმო კულაკებისთვის და დატოვა „გზისთვის“ სათანადო ზომის ადგილი. კულაკებმა იშოვეს რა ცარიელი მიწა გააშენეს ზედ ტყე ამრიგათ აუცილებელი განადგურება მოელის უღარიბესი გლეხის გარუჩავას მამულს. კულაკები დამშვიდებით არიან. მათ ძველი ანდაზა მოჰყავთ: „კამეჩის მომქიდავე ხარს რქები არ შერჩებაო“ ჩვენ გვგონია, რომ კულაკ-კამეჩებს რქები უნდა ამოაძრონ, თუნდაც აღმასკომის თავმჯდომარის სურვილის წინააღმდეგ.

„მოუსვენარი“.

პროვინციის ქრონიკა

◆ **კურსები.** ახალ-სენაკში გაიხსნა სოფლის სამკითხველოების გამგეთა გადასამზადებელი კურსები.

◆ **საბჭოთა მეურნეობის** გასაფართოებლად თელავის აღმასკომმა გადასდო 6.855 მანეთი.

◆ **სკოლა.** ქვემო სვანეთში, ყვედრეშ-რცმეულის სკოლის შენობის ასაგებათ გლეხებმა თავიანთ შორის შეაგროვეს 500 მან.

◆ **მკვლელობა.** ბოროტმოქმედებმა სოფ. რუხში (ბაღდ. რაიონი) მოკლეს მოჯამაგირე კაპუშიძე.

◆ **სამხრეთ-ოსეთის ცაკმა** სასკოლო მშენებლობისათვის გადასდო 25.000 მანეთი.

◆ **ჯიშიან ფრინველების მოსაშენებლად** ახალქალაქში ეწყობა სპეციალური სადგური.

◆ **ახალი ელსადგური.** ონში დაიწყო ახალ ელსადგურის აგება.

◆ **ახალი გზატკეცილი.** ქუთაისის აღმასკომმა შეუდგა ახალ გზა-ტკეცილის გაყვანას წყალტუბოდან ხონამდე.

◆ **მეჯვრისხევში** (გორის მაზრა) წელს აგებული იქნება ხილის საშრობი ახალი ფაბრიკა.

◆ **მილიციის თანამშრომლების** მდგომარეობის გასაუმჯობესებლად თელავის აღმასკომმა გადასდო 1.246 მან.

საქ. სახკომსაბჭოში

სახკომსაბჭომ და ეკონომიურმა საბჭომ ნება მისცა საქართველოს ს.მ.უ. საბჭოს მიავლინოს საზღვარგარეთ ორი სპეციალისტი ქვანახშირის დამუშავების საქმის შესასწავლად და სათანადო პროექტის შესადგენათ.

ჰიდრო ელ-სადგურის აგება აფხაზეთში

საგეგმო კომისიის დასკვნის თანახმად სახკომსაბჭომ და ეკონომსაბჭომ მიზანშეწონილად სცნო ჰიდრო ელ-სადგურის აგება აფხაზეთში, მდ. გალიზგაზე.

საქართველოს ს.მ.უ. საბჭოს წინადადება მიეცა ეხლავე შეუდგეს სადგურის ტეხნიკურ პროექტის შედგენას.

ა.-კ. ეკონომიურ საბჭოში

მერძეობის განსავითარებლად

ა. კ. უმაღლესმა ეკონომიურმა საბჭომ თავის უკანასკნელ სხდომაზე წინადადება მისცა ა. კ. სახ. საგეგმო კომისიას მერძეობის ხუთწლიანი პერსპექტიული. და 1928—29 წლ. ოპერატიული გეგმის შედგენის დროს გაითვალისწინოს ყველა საჭირო ღონისძიებანი მერძეობის განსავითარებლად და ყველის და ერბოს წარმოების გასაფართოებლად.

გარდა ამისა გეგმით გათვალისწინებული უნდა იქნეს სპეციალური კურსების მოწყობა ყველის და ერბოს მწარმოებელ სპეციალისტების მოსამზადებლად.

ა. კ. ვაჭრობის სახ. კომისარიატს დაევალა მესაქონლეობის რაიონების მომარაგება მარილით. მასვე დაევალა სათანადო უწყებებთან და ა. კ. საგეგმო კომისიასთან შეთანხმებით შეიმუშაოს მერძეობის საჭირო მოწყობილობით, ჭურჭლით და ყოველგვარ ინვენტარით მომარაგების გეგმა. აღნიშნული ინვენტარი შეძენილი უნდა იქნეს საკავშირო ბაზარზე ხოლო ნაწილი საზღვარგარეთ.

სასოფლო-მეურნეობის მექანიზაციისათვის

ა. კ. ეკონომსაბჭომ წინადადება მისცა რესპუბლიკანურ სახ. კომისართა საბჭოებს მიწათმოქმედების სახ. კომისარიატებთან ერთად შექმნან სპეციალური კომისიები, რომელსაც უნდა დაევალოს იმის გამორკვევა, თუ რომელ რაიონისათვის რომელი მარკის სას. მანქანა არის გამოსადეგი. ამ კომისიების სახელმძღვანელოთ და მათი დასკვნების მიხედვით ამიერ-კავკასიის მომარაგების მთლიანი გეგმის შესადგენათ „ზაკსელმაშთან“ არსდება კომისია, რომელშიაც შევლენ ა. კ. ვაჭრობის სახ. კომისარიატი, რესპუბლიკანურ მიწათმოქმედების სახ. კომისარიატები, ა. კ. სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ცენტრის, ა. კ. სასოფლო-სამეურნეო ბანკის და ა. კ. სახ. საგეგმო კომისიის წარმომადგენლები. „ზაკსელმაშ“-ს წინადადება მიეცა რესპუბლიკანურ მიწათმოქმედების სახ. კომისარიატებთან შეთანხმებით შეიმუშაოს აღნიშნულ სამუშაოთა ხარჯთაღრიცხვა, რომელიც დასამტკიცებლად უნდა წარედგინოს ა. კ. სახ. კომისართა საბჭოს.

ავიახიმში

ორგანიზაციების გამოკვლევა

საქ. თავდაცვა-ავიახიმი შეუდგა ავტონომიურ რესპუბლიკებში არსებულ და სამაზრო ორგანიზაციების გამოკვლევას.

პირველ რიგში გამოკვლეულ იქნება აჭარისტანის და აფხაზეთის ორგანიზაციები.

ამ მიზნით ბათომსა და სოხუმში გაემგზავრება საქ. თავდაცვა-ავიახიმის პასუხის მგებელი მდივანი ამხ. სირაძე.

იარაღის სახელოსნო

ა.-კ. საქ. თავდაცვა-ავიახიმის საზოგადოებამ თბილისში მოაწყო იარაღის სახელოსნო—ქარხანა, სადაც მზადდება ვაზნები და სწარმოებს უვარგისი თოფების შეკეთება.

სახელოსნო თავდაცვა-ავიახიმის ორგანიზაციებს შეღავათიან ფასებში აწვდის ყოველგვარ მასალას ტირებისათვის და სასროლო წრეებისათვის.

მიღების პირობები

რესპუბლიკის მილიციის უფროსთა შემადგენლობის სკოლაში

1928-29 წლისათვის

როგორც გაზეთებში იყო გამოქვეყნებული ა.-წ. 10 ივლისს ხსენებული სკოლა დაამთავრა 34 მსმენელმა, რომელთა უმეტესი ნაწილი დაგზავნილ იქნა მაზრებში სამუშაოთ. მომავალ სასწავლო წლიდან სკოლა განაახლებს მუშაობას. მიღების პირობები შემდეგია:

რესპუბლიკის მილიციის უფროსთა შემადგენლობის სკოლა ამზადებს მილიციის მუშაკებს (რაი-უფროსებს და მათ თანაშემწეებს, მაზრის უფროსებს და მათ თანაშემწეებს და სისხლის სამართლის სამძ. მილიციის მუშაკებს).

სკოლაში მიღებული იქნება საქართველოს ყველა მაზრებიდან, აფხაზეთიდან, აჭარისტანიდან, სამხრეთ-ოსეთიდან გაგზავნილი კანდიდატები, რომლებიც უნდა აკმაყოფილებდენ შემდეგ პირობებს: ა) მილიციის რიგებში სამსახურის სტაჟი არა ნაკლებ 1 წლისა; ბ) კარგი სამსახურებრივი ატესტაცია; გ) სამხედრო ბეგარა მოხდილი ან მისგან განთავისუფლებული; დ) უნდა სარგებლობდეს საარჩევნო უფლებით; ე) არ უნდა იყვეს სასამართლოს და გამოძიების ქვეშ; ვ) ჯანმრთელობის მხრივ უნდა აკმაყოფილებდეს მ-გლ. მილიციის რიგებში სამსახურის პირობებს; ზ) უნდა იყვეს არა ნაკლებ 23 წლისა და არა უმეტეს 30 წლისა.

ადგილებიდან სკოლაში გადმოგზავნის წესი

ა) სკოლაში მისაღები პირის განცხადებას, —რასაც დართული უნდა ჰქონდეს ბიოგრაფია, ცნობა განათლების შესახებ, ცნობა ჯანმრთელობის შესახებ, წლოვანების და სამხედრო ბეგარასთან დამოკიდებულების შესახებ,—იხილავს აღმ. განყოფილებასთან მოწყობილი კომისია რომელშიც შედის პარტ. და პროფ. ორგანიზაციების წარმომადგენლები.

ბ) დამტკიცებული კანდიდატი კმაყოფილდება: 1) ტანისამოსით (არსებული წესის მიხედვით), 2) სავზაო კმაყოფით (მილიციებიდან დაბრუნების ხარჯების გათვალისწინებით), 3) მომავალი თვის პირველ რიცხვამდე კუთვნილი ჯამაგირით, 4) სასწავლო წლის განმავლობაში ენიჭება უმცროს მილიციელის ხელფასი.

სკოლაში მიღების წესი

ა) სკოლაში მივლინებულს თან უნდა ჰქონდეს 1) მივლინების მოწმობა, 2) ფულით კმაყოფის ატესტატი, 3) საარმატურო სია 2 ცალი და სხვა ზემოაღნიშნული საბუთები, რაც უნდა წარედგინოს სკოლის უფროსს.

ბ) მისაღები კანდიდატები გაეტარებიან სკოლის საექიმო და სამანდატო კომისიაში. რის შემდეგ დაშვებული იქნებიან საგამოცდო კომისიაში.

გამოცდები იწარმოებს შემდეგ საგნებში: 1) პოლიტ-ცოდნა—პირველი საფეხურის პოლიტ-ცოდნის პროგრამის მიხედვით; 2) ქართული ენა (თავისუფლათ კითხვა და წერა), წაკითხულის შინაარსის გადმოცემა, 3) რუსული ენა—წერა, კითხვა და წაკითხულის შინაარსის გადმოცემა; 4) ანგარიში—ნუმერაცია, ოთხი მოქმედება მთელ რიცხვებზე. წაკითხვა და ჩაწერა უბრალო და ათწილადი წილადებისა; 5) სამილიციო საქმე—ზოგადი წარმოდგენა მილიციის ორგანიზაციაზე. სადისციპლინო წესდება.

საქართველოს შორეულ კუთხეებიდან მივლინებულ კანდიდატებს სხვებთან შედარებით ეძლევა შეღავათი. რესპუბლიკის მილიციის უფროსის შემადგენლობის ორ წლიან სკოლაში თვითეული მაზრა, აფხაზეთის, აჭარისტანი და სამხრეთ ოსეთი გზავნის თითო კანდიდატს.

გარდა ამისა აღნიშნულ სკოლაში არსებულ 8 თვიან გადასამზადებელ კურსებზე, რის შევსების შესახებ შ.ს.ს. კომისარიატმა უკვე დაუგზავნა მაზრაღმასკომებს სათანადო ცნობა, საქართველოს თვითეული მაზრა, აფხაზეთი, და სამხრ. ოსეთი გზავნის თითო კანდიდატს.

იმ შემთხვევაში თუ კანდიდატმა ვერ ჩააბარა გამოცდები, იგზავნება უკან და მის სამაგიეროთ გამოიგზავნება მეორე კანდიდატი, რაც წინასწარ უნდა იქნეს მხედველობაში ადგილობრივ კომისიებს.

როგორ ჩატარდა თავდაცვის კვირეული

შეგროვილ თანხების რაოდენობა

სამი დღის განმავლობაში თბილისში (20, 21, და 22 ივლისს) ყულაბებით შეგროვილ იქნა 2,800 მანეთი; აქედან ლენინის რაიონში შეგროვდა 650 მანეთი, ავლაბარ-ხარფუხის რაიონში—750 მანეთი, ქალაქის რაიონში—1.400 მანეთი.

ტრამვაის სპეციალურ ვაგონების ექსპლოატაციიდან შემოვიდა 1.000 მანეთი.

რესტორნების და გასართობების 10 პროცენტმა ანარიცხებმა თავდაცვა-ავიახიმს მისცა—11,174 მანეთი.

კვირეულის შემოსავალი ამ რიგათ უდრის—14.254 მანეთს. ამ თანხებში არ შედის თბილისის კინოების შემოსავალი.

2.700 ახალი წევრი

თავდაცვა-ავიახიმის თბილისის რაიონულ საბჭოების ცნობით, თავდაცვის კვირეულის განმავლობაში ავიახიმის თბილისის ორგანიზაციებში შევიდა 2.700 ახალი წევრი.

უჯრედების რიცხვის ზრდა

კვირეულის დროს გაიზარდა თავდაცვა-ავიახიმის უჯრედების რიცხვი.

ბევრ წარმოება - დაწესებულებაში, სადაც კვირეულამდე არ იყო ჩამოყალიბებული უჯრედი, მუშა-მოსამსახურეთა ინიციატივით დაარსდა ახალი უჯრედები.

სულ კვირეულის განმავლობაში დაარსდა 14 ახალი უჯრედი.

ახალი ტირები

თავდაცვა-ავიახიმის უჯრედებთან თბილისში მოეწყო 12 ახალი ტირი. ელმშენებელთა, ხელოსანთა და ცენტრ. მუშათა კლუბებთან მოეწყო სამი ახალი დიდი ტირი.

კვირეული თბილისის მაზრაში

თავდაცვა-ავიახიმის თბილისის საბჭოში მოსული ცნობების თანახმად, თავდაცვის კვირეული თბილისის მაზრაში დამაკმაყოფილებლად ჩატარდა.

ავჭალაში, მცხეთაში და მანგლისში შეგროვებულ იქნა საკმაო თანხები ყულაბებით. ყველგან მოეწყო მოხსენებები კვირეულის მნიშვნელობის და სპეციალური თავდაცვის საღამოები.

კვირეულის დროს დიდათ გაიზარდა წევრთა რიცხვი და დაარსდა ახალი უჯრედები და სამხედრო კუთხეები.

თავდაცვის საღამო

27 ივლისს საბჭოთა და სავაჭრო მუშაკების კლუბში გაიმართება სამხედრო პროპაგანდის საღამო.

საღამოს ხელმძღვანელობს საქ. თავდაცვა-ავიახიმი და არმიის შტაბთან არსებული ავიახიმის უჯრედი.

საღამოში მონაწილეობას მიიღებს არტილერია, ქიმიური, საკავშირო და მესანგრეთა ნაწილები.

შეჯიბრი სროლაში

თავდაცვა-ავიახიმის თბილისის საბჭო 30 ივლისს აწყობს საქალაქო შეჯიბრს სროლაში.

კავკასიის წითელდროშოვან არმიის სპარტაკიადის მონაწილეთა საზეიმო სხდომა

გუშინ, საღამოს, წითელი არმიისა და ფლოტის საზაფხულო კლუბში შესდგა კავკასიის წითელდროშოვან არმიის მეექვსე სპარტაკიადის მონაწილეთა საზეიმო სხდომა.

საზეიმო საღამო მოკლე მისასალმებელი სიტყვით გახსნა კავ. წითელდროშოვან არმიის შტაბის უფროსმა ამხ. ალაფუზოვმა.

სპარტაკიადის შედეგების შესახებ მოკლე საანგარიშო მოხსენება გააკეთა სპარტაკიადის მთავარმა მსაჯმა ამხ. ბერილაშვილმა.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ გასული წლის სპარტაკიადის შემდეგ წითელდროშოვან არმიას დიდი მიღწევები აქვს ფიზკულტურის დარგში.

სპარტაკიადის საქმეთა კომისიის მუშაობის შესახებ მოკლე მოხსენებით გამოვიდა ექ. მიშელოვი.

შემდეგ ამხ. ალაფუზოვმა სპარტაკიადაზე გამარჯვებულ წითელ არმიელებს დაურიგა ჯილდოები და დიპლომები. გარდამავალი ჯილდოები მიეცათ სპარტაკიადაზე გამარჯვებულ დივიზიის გუნდებს.

კავკასიის მესამე მსროლელ დივიზიას, რომელმაც აიღო საერთო პირველობა მიეცა წითელი დროშა.

სამხედრო გამოყენებითი მრავალ-ჭიდში გამარჯვებულ კავ. მეორე მსროლელ დივიზიას მიეცა სხვადასხვა ძვირფასი ნივთები.

გარდა ამისა ჯილდოები მიეცათ: სამხედრო ჯომარდულ მრავალ-ჭიდილში გამარჯვებულ ა.-კ. სახ. პოლიტსამმართველოს ჯარის ნაწილებს, ფეხბურთში გამარჯვებისათვის რკ. გზ. მეათე პოლკს, კალათბურთში — პირველ ქართულ მსროლელ დივიზიას, დისციპლინის დაცვაში — კავკასიის პირველ დივიზიას, ქართულ ჭიდაობაში—მეექვსე ქართულ პოლკს.

ინდივიდუალური ჯილდოები მიეცათ: სამჭიდში გამარჯვებულ ამხ. პროკოფიევს (მე-2 კავ. დივიზია), ხტომის შეჯიბრში პირველობის ამღებ ამხ. სავინს (იგივე დივიზია), ჭოკით სიმაღლეზე გადახტომაში პირველობისათვის ჩუვიროვს (კავკ. მეხუთე დივიზია). ბადრის ტყორცნაში გამარჯვებულ ამხ. საყვარელიძეს (პირველი ქართული დივიზია), ხელოვნურ ყუმბარის გადაგდებაში ამხ. მავრინს, (სურამის სამხედრო ბანაკი), 100 მეტრზე რბენაში გამარჯვებულ ამხ. ზუზუევს (ა. კ. სახ. პოლიტ. სამმართველო), 400 მეტრზე რბენაში პირველობისათვის ამხ. ვედინიაპინს (კავ. მეორე დივიზია), 1500 მეტრზე რბენაში — ამხ. სოზოლევს (კავ. მეორე დივიზია), 5.000 მეტრზე რბენაში — ამხ. ბარდინიევს (იგივე დივიზია), ფარიკაობაში გამარჯვებულ —ამხ. ისაევს (სამხედრო სკოლა), ხიშტით ფარიკაობაში — ამხ. ვაგინს (ა. კ. სახ. პოლიტსამმართველო), ტყვიის მფრქვეველიდან სროლის შეჯიბრში გამარჯვებულ ამხ. ბაგირ-ზადე-კულის (აზერბეიჯანის მსროლელი დივიზია) და სხვ.

ამის შემდეგ სპარტაკიადაზე მონაწილეთათვის გაიმართა კონცერტი და ხეირნობა.

კავკასიის წითელდროშოვან არმიის სპარტაკიადაზე გამარჯვებული წითელი არმიელები გაიგზავნენ წითელი არმიის საკავშირო სპარტაკიადაზე მონაწილეობის მისაღებათ.

არტიკის ტუფი

გუშინ ლენინაკანიდან თბილისში დაბრუნდა შრომისა და თავდაცვის საბჭოსთან არსებულ სააღმშენებლო კომისიის პასუხისმგებელი მდივანი ამხ. ლერნერი, რომელმაც გამოიკვლია არტიკის ტუფის ბუდობები და ამ რაიონში წარმოებული მუშაობა. ლერნერმა ჩვენს თანამშრომელს აცნობა:

არტიკის ტუფი როგორც კარგი სააღმშენებლო მასალა ფართოდ იქნება გამოყენებული საკავშირო აღმშენებლობაში. შრომისა და თავდაცვის საბჭომ დაადგინა მომავალ წლისათვის საკავშირო მრეწველობის საკონტროლო ციფრებში შეტანილ იქნეს თანხები, რომელიც უნდა მოხმარდეს არტიკის რაიონში მუშაობის გაფართოებას. გზათა სახალხო კომისარიატს და საკავშირო სახ. მეურ. უმაღლეს საბჭოს დაევალათ დაიჩქარონ ყველა ამ საკითხების დამუშავება, რომლებიც დაკავშირებულია არტიკის ტუფის ამოღების საქმესთან და მასალები ამის შესახებ მ. წ. ოქტომბრისათვის წარადგინონ საკ. სახკომსაბჭოში.

საგამოკვლევო მუშაობა არტიკაკ-ლენინაკანის რკ. გზის გასაყვანად უკვე დამთავრებულია. გზა დაჯდება დაახლოვებით 3.000.000 მანეთამდე. ქვის სატეხის მოსაწყობათ საჭირო იქნება კიდევ 1.000.000 მანეთამდე. რკინის გზის გაყვანაზე გაწეული ხარჯები ტუფის ექსპლოატაციის შემდეგ მეტად მცირე ხნის განმავლობაში იქნება განაღდებული.

არტიკის რაიონის გამოკვლევის შედეგების შესახებ ამხ. ლერნერი უფრო ვრცელ მოხსენებას გააკეთებს მოსკოვში. სხვათა შორის ამავე რაიონში ახლახან აღმოჩენილი იქნა კარგი ხარისხის პემზა, გარდა ამისა, არტიკის რაიონი მდიდარია სხვა სააღმშენებლო მასალითაც, რომლებიც აუცილებელია ჩვენი აღმშენებლობისათვის.

სამომხმარებლო კოოპერაცია აფხაზეთში

მიმდინარე წლის მეორე კვარტალის დასაწყისში აფხაზეთის სამომხმარებლო კოოპერაცია 21 კოოპერატივს აერთიანებდა. კოოპერატივების რიცხვი 1925 წლის პირველ ოქტომბრიდან შემცირდა 7-ით, ხოლო სავაჭრო და საწარმოო წერტილები გაიზარდა: სავაჭრო წერტილები 58-დან 79-დე, საწარმოო—19 დან 41 მდე.

ამჟამად აფხაზეთში თვითეულ კოოპერატივზე მოდის 1930 კომლი მოსახლე, სავაჭრო წერტილზე—513 კომლი.

წევრთა რიცხვი მიმდინარე წლის პირველ აპრილისათვის მთელს ქსელში უდრიდა 14.140, რაც მთელი მოსახლეობის 36,3 პროც. შეადგენს. ეს პროცენტი საქართველოში გაცილებით მეტია და უდრის 56,8.

სუსტად მიმდინარეობს ღარიბესი გლეხობის შეკავშირება კოოპერაციაში. მხოლოდ გასული სამეურნეო წლის ბოლოს დაარსდა ამ მიზნით სპეციალური ფონდი 4891 მანეთის რაოდენობით. ამ თანხით პირველ აპრილისათვის კოოპერაციაში ჩაბმული იქნა 975 ღარიბესი გლეხი.

საპაიო თანხა მთელს ქსელში მ. წ. პირველ აპრილისათვის 80.000 მანეთს უდრიდა საშუალო საპაიო გადასახადი თვითეულ წევრზე მოდის 5 მან. 42 კაპ. საპაიო თანხის ზრდა აფხაზეთის კოოპერაციაში სუსტად მიმდინარეობს. სამეურნეო წლის დასაწყისიდან საპაიო კაპიტალი გაიზარდა მხოლოდ 18,2 პროც., მაშინ როდესაც საქართველოს მასშტაბით საპაიო თანხის ზრდა საშუალოდ 40 პროც. უდრის.

კოოპერაციის სავაჭრო საქმიანობა საკმაოდ სწრაფად იზრდება. საქონლის გაყიდვა მთელ ქსელში მიმდინარე წლის პირველ ნახევარში გამოიხატა 2.888.000 მანეთში. ბრუნვის ზრდა წარსული წლის პირველ ნახევართან შედარებით 45,5 პროც. უდრის. ქალაქის კოოპერატივებში ბრუნვა გაიზარდა 49 პროც. ხოლო სოფლის კოოპერატივებში—36 პროც.

რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში მიღების წესი

მიმდინარე წელს რ.ს.ფ.ს.რ. უმაღლეს სასწავლებლებში საქართველოს დაეთმო 83 ადგილი მეორე საფეხურის სკოლის კურს დამთავრებულთათვის. ამის გარდა იმავე სასწავლებლებში დათმობილია 82 ადგილი მუშფაკის კურს დამთავრებულთათვის.

ყველა სტიპენდიით მივლინებულნი, აგრეთვე ის პირები, რომლებიც მიდიან უსტიპენდიო ადგილების ანგარიშში, მივლინების ბარათებს მიიღებენ განათლების კომისარიატიდან პირადად და გაემგზავრებიან სათანადო სასწავლებლებში იმ ვარაუდით, რომ 10 აგვისტოს გამოცხადდენ გამოცდებზე.

სათანადო სასწავლებლებში მივლინების ბარათებთან ერთად საჭიროა იმ საბუთების წარდგენა, რომელიც აღნიშნულია მიღების პირობებში (იხ. ზემოთ მიღების პირობები).

მიღების პირობებისა და საგამოცდო პროგრამის შესახებ არსებობს განსაკუთრებული ცნობარი, რომლის შეძენა შეიძლება რუსეთის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის გამომცემლობის ადგილობრივ მაღაზიებში.

მისაღები გამოცდები დაიწყება ა.-წ. 10 აგვისტოს და გაგრძელდება 20 აგვისტომდე. ამიტომ მაზრიდან და ავტონომიურ რესპუბლიკებიდან მივლინებულნი უნდა გამოცხადდენ განათლების სახ. კომისარიატში არა უგვიანეს ა.-წ. 5 აგვისტოსა.

მიღებულთ ეძლევათ უფასო სამგზავრო ლიტერი განათლების სახ. კომისარიატიდან. ზემოხსენებული ადგილების ანგარიშზე, როგორც წესი, არ იგზავნება ის სტუდენტები, რომლებიც ეხლა უკვე სწავლობენ რომელიმე უმაღლეს სასწავლებელში და სურთ სხვა უმაღლეს სასწავლებელში გადასვლა.

ი. კოდუა.

სოც. უზრუნველყოფის კომისარიატში

ინვალიდების კლუბი

ინვალიდთა ნადების კავშირს სოც. უზრუნველყოფის კომისარიატმა დაუთმო ქსენევის ქუჩაზე მდებარე ყოფ. „ლოტო-ბულის“ შენობა და ბაღი საზაფხულო კლუბის მოსაწყობათ. კლუბის მოწყობა ამ დღეებში დამთავრდება. მისი გახსნა განზრახულია ივლისის ბოლო რიცხვებისათვის.

2,500 მან. კულტ-მუშაობისათვის

საქ. სოც. უზრუნველყოფის კომისარიატმა ინვალიდთა ნადების კავშირის კულტ-სექციას მუშაობის გასაძლიერებლად გადასცა 2.500 მან. გარდა ამისა ნადებს წინადადება მიეცა კულტ-ფონდის გასაძლიერებლად გადასდონ განზრახული პროცენტი.

კედლის გაზეთი

ინვალიდთა ნადების კავშირის კულტ-სექციამ გამოსცა კედლის გაზეთის პირველი ნომერი. სექციას გადაწყვეტილი აქვს გაზეთი გამოუშვას სისტემატიურად.

გარდა ამისა კულტ-სექცია შეუდგა ექსკურსიების მოწყობას. ინვალიდთა ექსკურსიები მოეწყობა როგორც საქართველოს ფარგლებში, ისე მეზობელ რესპუბლიკებში.

მეაბრეშუმეობის განსავითარებლად

თანახმად ა. კ. სახკომსაბჭოს დადგენილებისა, თითო ფუთ აბრეშუმის პარკის ფასიდან მეაბრეშუმეობის განსავითარებლად განზრახულ ღონისძიებათა განსახორციელებლად გადებული უნდა იქნეს 1 მან. 40 კაპ. რაც ამიერ-კავკასიაში წლიურათ შეადგენს დაახლოვებით 400.000 მანეთს. (ამავე მიზნისთვის მოსკოვის „აბრეშუმტრესტი“ ვალდებულია გადასდოს წმინდა მოგების 10 პროცენტი, რაც დაახლოვებით შეადგენს 200.000 მან).

ა. კ. ვაჭრობის სახ. კომისარიატში შესდგა თათბირი, რომელზედაც განხილულ იქნა ზემონაჩვენებ ფონდის გამოყენების წესი. თათბირმა დაადგინა, რომ მთელი ფონდი გამოყენებული იქნეს მხოლოთ აგროკულტურული მიზნებისათვის. ამ თანხებით გაშენებული უნდა იქნეს თუთის ხის სანერგეები, რომლებიდანაც გლეხობას ნერგები უნდა მიეცეს უფასოთ; გაძლიერებული უნდა იქნეს მეაბრეშუმე გლეხების ინსტრუქტაჟი; უნდა მოეწყოს მეაბრეშუმეობის კურსები. ჭიის საჩვენებელი გამოკვება, საუკეთესო მეაბრეშუმეებს უნდა მიეცეთ პრემიები და სხვ.

მატყლის დამზადება

21 ივლისს ა. კ. ვაჭრობის სახკომისარიატში შესდგა თათბირი, რომელზედაც მოსმენილ იქნა მოხსენება გაზაფხულის მატყლის დამზადების კამპანიის შედეგების შესახებ. მოხსენებებიდან გამოირკვა, რომ სომხეთში „აიგუკოოპს“ დაუმზადებია 2.617 ფუთი და ნახიჩევანში „ნახქებირლიგს“ — 1418 ფუთი მატყლი. საქართველოში 15 ივლისამდე გასაჰყიდათ გაგზავნილ ყოფილა 5.000 ფუთი დახარისხებული და 7.000 ფუთი დაუხარისხებელი მატყლი. აზერბეიჯანში 1-ლ ივლისამდე დამზადებულია 65.783 ფუთი მატყლი (დამზადების გეგმა აზერბეიჯანში შესრულებულია მთლიანად).

ვაჭრობის კომისარიატის რწმუნებულის (საქართველოში) წარმომადგენელმა თათბირზე განაცხადა, რომ აზერბეიჯანის და სომხეთის მატყლის დამამზადებლები იჭრებიან საქართველოს მატყლის დამამზადებელ რაიონებში და საქართველოს მეცხვარეთაგან იძენენ მატყლს, რაც ხელს უშლის გეგმიან დამზადებას.

ა.-კ. ვაჭრობის სახ. კომისარიატის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ა.-კ. ვაჭრობის კომისარიატს აქვს ცნობები დამზადების რაიონების ფარგლების გადალახვის ყველა შემთხვევების შესახებ; ამ საქმის ირგვლივ სწარმოებს გამოძიება. დამნაშავენი პასუხისგებაში იქნებიან მიცემული, ხოლო უკანონოდ დამზადებული მატყლი ჩაირიცხება საქართველოს დამზადების ანგარიშში.

თათბირზე განხილულ იქნა შემოდგომის მატყლის დამზადების გეგმა. თათბირზე შემუშავებული გეგმის მიხედვით საქართველოში უნდა დამზადდეს 64.000 ფუთი, სომხეთში — 10.000 ფუთი, ხოლო აზერბეიჯანში 20.000 ფუთი შემოდგომის მატყლი. შემოდგომის მატყლის დასამზადებელი ფასები იგივე იქნება, რაც გასულ წელს იყო, ე. ი. ცხვრის მატყლის ფასი 15 პროცენტით და ბატკნის მატყლი 60 პროცენტით უფრო ძვირი, ვიდრე გაზაფხულის მატყლი. საქართველოში მატყლის დამზადება დავალებული აქვს „სოფლის კავშირს“, აზერბეიჯანში „ქებირლიგს“. ნახიჩევანში „ნახქებირლიგს“ და სომხეთში „აიგუკოოპს“.

ქუთაისი აღდგენილ უნდა იქნეს

„კომუნისტის“ კანტორაში შემოვიდა

განათლების მუშაკთა კავშირის ოზურგეთის სამაზრო გამგეობას შემოაქვს ქუთაისის ხანძრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ შეგროვილი თანხა 826 მ. 75 კ. და იწვევს გორის, ზუგდიდის და შორაპნის გან. მუშ. კავშირის მაზრ. განყოფილებებს.

—:—

შემომაქვს 70 მან. და 76 კაპ. შეგროვილი კამოს სახელობის საავადმყოფოს თანამშრომელთა შორის ქუთაისში ხანძრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოთ.

—:—

სოფ. ოყურეშში (ლეჩხუმის მაზრა) ა. წ. 2 ივნისს დადგმულ იქნა ჰ. ირეთელის „ქრისტინე“. შემოსავლის 25 პროც. შეადგენს 8 მანეთს, რომელიც გადადებულია ქუთაისის ფონდისათვის. ხსენებული თანხა ამასთანავე შემომაქვს.

ზუბ-ოყურეშის განათლების მუშაკთა რაიადგილკომთან არსებული კულტკომისია.

—:—

102-ე შრომის სკოლის მასწავლებლებს შემოგვაქვს დამატებით კიდევ ერთი დღის ხელფასი ქუთაისის ხანძრისაგან დაზარალებულთა დახმარების ფონდში 34 მანეთი და 40 კაპ. რაც წინა თვის ჯამაგირიდან შემოტანილთან ერთად სულ შეადგენს 79 მანეთს და 85 კ.

—:—

თინიკო დარჩიაშვილის გამოწვევით შემომაქვს 1 მან. ქუთაისში ხანძრისაგან დაზარალებულ ბავშვთა სასარგებლოდ და ვიწვევ: ქეთო ედიგარაშვილს, თინიკო ჯიბლაძეს, ცირა დარჩიაშვილს, მერი ბაბალაშვილს, ბიძინა მირიანაშვილს, ოთარ ღირსიაშვილს, შალიკო მჭედლიშვილს, სოსიკო დონჯაშვილს და ვახტანგ პეტრიაშვილს.

მიშიკო დარჩიაშვილი.

—:—

საქ. შრომის სახალხო კომისარიატის ადგილკომს შემომაქვს კომისარიატის თანამშრომლების შემოწირულება ქუთაისის დაზარალებულთა სასარგებლოდ 55 მან. 15 კ.

—:—

პატრიკეთის თემის სოფ. ტუჩირის ა. ლ. კ. კ. უჯრედს შემოაქვს ქუთაისის ხანძრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ 13 მან. და იწვევს ამავე თემის ყველა უჯრედებს.

ა.-მ. მდ. შ. ცაგარეიშვილი.

ლილი ჯულელის გამოწვევით შემომაქვს ერთი მანეთი ქუთაისის ხანძრით დაზარალებულ ბავშვთა სასარგებლოთ და ვიწვევ: ფოთიდან ჯულიეტა კვიცარიძეს, ბათომიდან და თიკო ქადუას, თბილისიდან ლეილა თევდორაძეს.

მენერა ბაბილუა.

—:—

ინჟ. ბ. ჰიჭინაძის გამოწვევით შემომაქვს ათი მანეთი ქუთაისის ხანძრით დაზარალებულთა სასარგებლოთ.

ინჟ. ი. ვაჩაძე.

—:—

რეზო მანჯგალაძის გამოწვევით ქუთაისის ხანძრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოთ შემომაქვს ერთი მანეთი და ვიწვევ: თემუკა ოდილავაძეს, გუგული ლეჟავას, ეთერი ჭელიძეს, რეზო კიკაჩეიშვილს და ნათელა ასათიანს.

ჩოლთო ბალავაძე.

—:—

მაყვალა და ნოდარ ზაქრაძეების გამოწვევით შემოგვაქვს ქუთაისის დაზარალებულ ბავშვთა სასარგებლოთ 3 მანეთი.

თამარი, აზა და ოთარ ქავთარაძეები

—:—

მედეა და ნელი კრავეიშვილების გამოწვევით შემომაქვს ქუთაისის ხანძრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოთ 2 მანეთი და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: ქელეჯბეგ და ელეონორა კილასონიებს, ლულუნა ცაგარეიშვილს, ლეუშა ღლონტს და გულნაზი და ბოჰანქურა ქავთარაძეებს.

გივი კილასონია.

—:—

ბაკურციხის თემის დრამატიულ წრეს ქ. ქუთაისის ხანძრით დაზარალებულთა სასარგებლოდ შემოაქვს 20 მანეთი.

დრამწრის ხელმძღვანელი ი. კაიშაური.

—:—

შემომაქვს 89 მანეთი, შეგროვილი წინანდლის სახალხო მამულის მუშა-მოსამსახურეებს შორის ქუთაისის ხანძრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოთ.

მამულის ბუხჰალტერი ე. მებუკე.

ქუთაისში ხანძრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ დღემდე „კომუნისტი“-ს კანტორაში შემოვიდა 20.915 მან. 59 კაპ.

ქრონიკა

მოქალაქეთა საყურადღებოდ

ქ. თბილისის და მისი მიდამოების კომენდატის სამმართველო მოქალაქეთა საყურადღებოთ აცხადებს, რომ 31 ივლისს და აგრეთვე 2, 9 და 11 აგვისტოს მლაშე ტბის რაიონში იწარმოებს ზარბაზნების სროლა.

ამხ. დვოლაიცკის ჩამოსვლა

გუშინ თბილისში ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის ვაჭრობის სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრი ამხ. დვოლაიცკი.

რ. ანჩისონის ჩამოსვლა

ნიუ-იორკიდან თბილისში ჩამოვიდა ლტოლვილთა დამხმარე ამერიკული კომიტეტის ერთ ერთი დირექტორი რიჩარდ ანჩისონი, რომელსაც განზრახული აქვს მოახდინოს ლტოლვილთა დახმარების საქმის რეორგანიზაცია ამიერ-კავკასიაში.

რ. ანჩისონი თბილისიდან გაემგზავრა ერევანში.

ოლიფის ზეთის დამზადება

ერთი კვირის წინათ მუშაობა დაიწყო საპონ-ტრესტთან მოწყობილმა ოლიფის და წებოს დამამზადებელმა ქარხანამ. გუშინ ქარხანამ ბაზარზე გამოუშვა პირველი თავისი ნაწარმოები—400 ფუთი ოლიფის ზეთი.

ზეთის პირველი პარტია განაწილებული იქნება სახელმწიფო და კოოპერატიულ სამშენებლო ორგანიზაციებს შორის.

პედაგოგიური კურსები სვანეთში

ჩვენმა რედაქციამ სვანეთიდან მიიღო შემდეგი დეპეშა: „სვანეთის მასწავლებლობა დიდის აღფრთოვანებით ხვდება პედაგოგიური კურსების გახსნას სვანეთში.

კურსებზე შეძენილ ცოდნას მთლიანათ მოვახმართ საბჭოთა ხელისუფლების გამტკიცებას და კულტურულ რევოლიუციის საქმეს. გაუმარჯოს კომუნისტურ პარტიას. გაუმარჯოს საბჭოთა სახალხო განათლებას.

სვანეთის მასწავლებლობა.

—:—

თბ. აღმასკომში

◆ **საექიმო პუნქტები.** ჯანმრთელობის განყოფილებამ გადასწყვიტა მოაწყოს მოძრავი საექიმო პუნქტები, რომლებიც გაიგზავნება მაზრაში ზაფხულის განმავლობაში სამუშაოდ.

◆ **ფუნიკულიორამდე ტრამვაის** მეორე ხაზის გაყვანა დამთავრდება ამ დღეებში.

პროფკავშირებში

◆ **სამტრედიის მუშათა კლუბის** საჭიროებისათვის ქუთაისის სამპროფბიურომ პროფსაბჭოდან გამოითხოვა 200 მანეთი.

◆ **ყრილობა.** პროფკავშირთა სრულიად საქართველოს მეშვიდე ყრილობა შესდგება ნოემბრის მეორე ნახევარში.

◆ **განათლების მუშაკთა კონფერენცია** მოწვეულია 26 სექტემბრისათვის.

როდის იწარმოებს მთხოვნელთა მიღება

შრომის სახ. კომისარიატის ორგანოებში

საქართველოს შრომის სახალხო კომისარიატმა, საკავშირო შრომის სახალხო კომისარიატის დირექტივების თანახმად შეიმუშავა შრომის და სოციალურ დაზღვევის ორგანოების მუშა-მოსამსახურეთა ფართო მასებთან დაახლოების გეგმა, რომელიც ხელს შეუწყობს ბიუროკრატიზმთან და საქმის გაჭიანურებასთან ბრძოლას და ამავე დროს მუშა-მოსამსახურეებს საშუალებას მისცემს დაიკმაყოფილონ თავიანთი მოთხოვნილებანი ზედმეტი დროის დაუკარგავათ და სამუშაოზე მოუცდენლათ.

ამ მიზნით გადაწყვეტილია შრომის ორგანოებსა და სოციალურ დაზღვევის დაწესებულებებში მუშაობა სწარმოებდეს საღამოობითაც.

იმ დაწესებულებებში კი, სადაც საღამოობით მუშაობის შემოღებაც ვერ დააკმაყოფილებს მოთხოვნილებას, მუშაობა იწარმოებს კვირა-უქმე დღეებშიაც.

იმ დაწესებულებებში კი, სადაც საღამოობით მუშაობის შემოღებაც ვერ დააკმაყოფილებს მოთხოვნილებას, მუშაობა იწარმოებს კვირა-უქმე დღეებშიც.

გარდა ამისა მსხვილ წარმოებებში სისტემატიურათ იწარმოებს მუშების მიღება შრომის და სოცდაზღვევის პასუხისმგებელ მუშაკთა მიერ.

აღნიშნულ გეგმის მიხედვით შრომის კომისარიატის ძირითადი ორგანოები მუშაობას დაიწყებენ დილის 9 საათის ნაცვლად, დღის 12 საათზე და დაამთავრებენ საღამოს 6 საათზე. ეს გამოწვეულია მით, რომ მუშა-მოსამსახურეებს მუშაობის დამთავრების შემდეგ საშუალება ქონდეთ თავიანთი საქმეები მოაგვარონ აღნიშნულ ორგანოებში.

სას.-სამ. და ტყის მუშაკთათვის დაინიშნება სპეციალური მისაღები დღეები. ამ გზით თავიდან აცილებული იქნება მუშა-მოსამსახურეების სამუშაოზე მოცდენის შემთხვევები და ამასთანავე თვით მუშა-მოსამსახურეებსაც გაუადვილებთ საჭირო საკითხებზე პასუხის თავის დროზე მიღება.

შრომის ბირჟებში მუშაობა (მორიგეობის წესით) იწარმოებს კვირა-უქმე დღეებშიაც. ამავე დროს შრომის ბირჟებთან არსებულ სეზონურ სამრეწველო და შავ მუშათა სექციებში მუშაობა დაიწყება დილით ადრე, იმ ვარაუდით, რომ მოთხოვნილ უმუშევრებს იმავე დღეს შეეძლოთ მუშაობის დაწყება.

კინო-სურათების ჩვენება სოფლად

პოლიტგანათლების მთავარ მმართველობის კინო-სექციის ცნობით, გაზ. „ახალი სოფლის“ კინო-რაზმმა უკანასკნელ 2 თვის განმავლობაში კინო-სურათების ჩვენება მოაწყო 9 მაზრის 168 სოფელში.

ყველგან აჩვენებდნენ რევოლიუციონურ შინაარსის სურათებს, უმთავრესად გლეხების ცხოვრებიდან.

აღნიშნული დროის განმავლობაში სურათები ინახულა 29.990 კაცმა. ამჟამად კინო-სურათების ჩვენება სწარმოებს ახალციხის, ახალქალაქის და ბორჩალოს მაზრებში. ამ მაზრებში უმთავრესად უჩვენებენ ანტირელიგიურ შინაარსის სურათებს. მოძრავი კინოები გაიგზავნა აგრეთვე მომთაბარეთათვის სურათების საჩვენებლად.

ამჟამად ერთი კინო-რაზმი მუშაობს პანკისის ხეობაში, სადაც უჩვენებენ სურათს, რომელიც შეეხება მიწადმოწყობის მნიშვნელობას და სისხლის აღების ადათის საწინააღმდეგო სურათებს.

კინო-სურათების ჩვენების წინ ინსტრუქტორები დამსწრე გლეხებს უმარტავენ სურათების შინაარსსა და ესაუბრებიან მის შინაარსთან დაკავშირებულ საკითხებზე.

სოფლის კინოფიკაციის გაძლიერების მიზნით და ამ საქმის სათანადო სიმაღლეზე დასაყენებლად პოლიტგანათლების მთავარ მმართველობას გადაწყვეტილი აქვს მოაწყოს სპეციალური კურსები კინო-მექანიკოსთა და ლექტორთა მოსამზადებლად.

პოლიტგანათლების მთავარ მმართველობას სახკინმრეწვი ახლო-ხანში გადასცემს 20 აპარატს მოძრავ კინოს მოსაწყობათ. სახკინმრეწვს დავალებული აქვს აგრეთვე გადაიღოს ახალი სურათები სპეციალურათ სოფლებისათვის.

ახალ საბიუჯეტო წლიდან კინოფიკაციის საქმის გასაფართოებლად პოლიტგანათლების მთავარ მმართველობას გამოთხოვილი აქვს გრძელვადიანი კრედიტი.

შემთხვევები

კაცი მლაშე ტბაში

ორშაბათს, 23 ივლისს, საღამოს 10 საათზე, მეთერთმეტე სამილიციო რაიონში მივიდნენ მწყემსები, რომლებმაც განაცხადეს, რომ მლაშე ტბის რაიონში მათ მოესმათ კაცის ხმები: „მიშველეთ, ვიხრჩობი, გადამარჩინეთ სიკვდილსო“.

მილიციამ ამის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობა სახანძრო რაზმს. იმავე დღეს ღამის 10 ნახევ. საათზე მლაშე ტბის რაიონში, გაემგზავრა მეორე სახანძრო რაზმი, ავტომანქანებით.

სახანძრო რაზმის თანამშრომლებმა დაიწყეს ძებნა, მაგრამ კაცის კვალს ვერ მიაგნეს სიბნელის გამო. ძებნა გაგრძელდა პირველ საათამდე; რის შემდეგ მეხანძრეები დაბრუნდნენ ქალაქში.

24 ივლისს დილით, მე-11-ე სამილიციო რაიონში მოვიდნენ მწყემსი-ბავშვები, რომლებმაც განაცხადეს, რომ ტბის მახლობლად კვლავ მოისმის ხმები შველის შესახებ.

შემთხვევის ადგილზე კვლავ გაემგზავრა მეხანძრეთა რაზმი, რომელმაც ტბაში შენიშნა კაცი, რომელიც შველას ითხოვდა. სპეციალური კიბის საშუალებით უცნობი ნაპირზე ამოიყვანეს. ის აღმოჩნდა პ. მიქელაშვილი (პატარძეულის მცხოვრები).

მიქელაშვილმა განაცხადა, რომ კვირა საღამოს როცა სოფლიდან ქალაქში მოდიოდა, მას მხარი ექცა და მოულოდნელად ჩავარდა ტბაში, საიდანაც ამოსვლა ვერ მოახერხა.

მიქელაშვილს აღმოუჩინეს საექიმო დახმარება და გადაგზავნეს კამოს სახელობის საავადმყოფოში.

უბედური შემთხვევა

გუშინწინ, ღამით, სასწრაფო დახმარების ავტომობილს ჯორჯიაშვილის ქუჩაზე უეცრად მოძვრა წინა ბორბალი, რომელიც მოხვდა ქუჩაზე გადამავალ მერო ილიას ასულ წულუკიძეს და მსუბუქად დაშავა. წულუკიძის ქალი გაგზავნეს ქალაქის მეორე საავადმყოფოში.

დახრჩობა ბანაობის დროს

მადათოვის კუნძულზე მდებარე ტყის ქარხანასთან, მტკვრის პირას, იპოვეს მტკვარში ბანაობის დროს დამხრჩვალი წითელ-არმიელის—ჯალილ იმანოვის გვამი, რომელიც გადაგზავნეს ქალაქის პირველ საავადმყოფოს პროზექტურში.

ვერის ხიდის მახლობლად—მტკვარში ბანაობის დროს დაიხრჩო უსუფ ქალაქევის ძე ლაპტიევი (16 წლისა).

დაჭრა

აშოტ დორმუშკოვმა (მცხ. კახეთის ქ. № 4) დანით მსუბუქად დასჭრა თავში მისი ცოლი—აკუნიკ ალექსის ასული ხაჩატურიანი. დორმუშკოვი დაპატიმრებულია. დაჭრის მიზეზი ირკვევა.

დაჯახება

გუშინ, დღისით, პლეხანოვის პროსპექტის და კრილოვის ქუჩის კუთხეში ტრამვაის ვაგონი, რომელსაც მართავდა ვატმანი შავკულოვიჩი დაეჯახა ველოსიპედს. უკანასკნელის მმართველი—პავლე პასტერნაკი მსუბუქად დაშავდა.

ქურდების დაპატიმრება

მილიციამ ქურდობისათვის დააპატიმრა: შალვა დიმიტრის ძე მარკოზაშვილი და ივანე ანტონის ძე ხელაია.

ფიზკულტურა და სპორტი

საკავშირო სპარტაკიადის წინ

სრულიად საკავშირო სპარტაკიადა გაიხსნება მოსკოვში 12 აგვისტოს. სპარტაკიადაზე, გარდა მოკავშირე რესპუბლიკებისა, მონაწილეობას მიიღებენ გერმანიის, ავსტრიის, შვეიცარიის სკანდინავიის ქვეყნების, ურუგვაის და სხ. სახელმწიფოების მუშათა სასპორტო კავშირები, მაგალითად, ურუგვაიდან სპარტაკიადაზე მონაწილეობას მიიღებს ფეხბურთელთა გუნდი, რომელიც მოსკოვში ჩამოვა 26 ივლისს. ნორვეგიიდან სხვებთან ერთად ჩამოვლენ ცნობილი სპორტსმენები გუსტავ ჰანსენი (პროფესიით ფოსტის დამტარებელი, მისი შედეგებია რბენაში 100 მეტრზე—11 წამი და 60 მეტრზე—6,9 წამი; ხტომა სიგრძეზე გამორბენით—6 მეტრი 54 სანტ.) და ჰელგესენი, რომელიც ეხლახან გადავიდა ბურჟუაზიულ კავშირიდან მუშათა კავშირში მისი პირადი ზეხწევაა სიმაღლეზე ხტომაში—1 მეტრი 91 სანტ. ეს საუკეთესო შედეგია, რომლისთვისაც ოდესმე ვინმეს მიუღწევია ნორვეგიაში და საერთოდ სკანდინავიის ქვეყნებში.

ცნობილი სპორტსმენები მოდიან აგრეთვე გერმანიიდან, შვეიცარიიდან და ფინეთიდან.

საბჭოთა კავშირიდან სპარტაკიადაზე მონაწილეობას მიიღებენ კავშირის ყველა კუთხეები. კერძოდ, ამიერ-კავკასიიდან სპარტაკიადაზე მიემგზავრება 600 ფიზკულტუროსანი.

მოსკოვში შეჯიბრებებისათვის გამოყოფებული იქნება ქიმიკოსთა პროფკავშირის ახალი სტადიონი, რომლის მოწყობა ამ დღეებში დამთავრდება. სტადიონი აგებულია ნოვოდევიჩის მონასტერთან, ვორობიევის მთების პირდაპირ. ამ სტადიონზე იწარმოებს საჩვენებელი ხასიათის თამაშობანი და შეჯიბრებები ფეხბურთში.

სპარტაკიადის საორგანიზაციო კომიტეტმა საბოლოოდ დაამტკიცა სასპორტო თამაშობათა მსაჯები.

ფეხბურთში მთავარ მსაჯად დანიშნულია ი. ი. სავოსტიანოვი, კალათბურთში—ფელმანი, ხელბურთში—მალინოვსკი, ვოლეიბოლში—ფადეევი. განდბოლში—რომანენკო (უკრაინის; „გოროდკი“—ნიკიტინი, ტენისში—სოკოლოვსკი და პუშბოლში— ჟუჟიკოვ.

—:—

საზ-ბა „დინამო“-ს პირველობის გათამაშება

7, 8 და 9 ივლისს ლენინგრადში ჩატარებული იქნა საზოგადოება „დინამო“-ს პირველობის გათამაშება, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს ხარკოვის; მოსკოვის და ლენინგრადის „დინამო“-ს გუნდებმა.

პირველ შეჯიბრებაში ერთმანეთს შეხვდენ ხარკოვის და მოსკოვის გუნდები; აღნიშნულმა გუნდებმა გასულ გაზაფხულზე პირველობა აიღეს თავიანთ ქალაქებში. ხარკოვის გუნდში შედიან უკრაინის და ხარკოვის ნაკრები გუნდების ყველა საუკეთესო მოთამაშეები: **ნოროვი; კ. ფომინი; კლადკო; ნ. ფომინი; ვ. ფომინი; პრივალოვი; ვლადიმირსკი; შპაკოვსკი; მიშჩენკო; გუბარევი და სტარუსევი.**

მოსკოვის მხრიდან თამაშობდნენ: **ჩულკოვი; სოკოლოვი; კარპენკო, ლენჩიკოვი; სელინი; სტოლიაროვი; მაკაროვი; მასლოვი, ბლინკოვი; პავლოვი და პროკოფიევი.**



პირველ საკავშირო სპარტაკიადას აღსანიშნავად გამოშვებული ჟეტონი

—:—

შეჯიბრება დამთავრდა 3:0 ხარკოვის სასარგებლოდ.

უკანასკნელ მატჩში ხარკოველები შეხვდენ ლენინგრადის „დინამო“-ს, რომელშიაც თამაშობდნენ: **სოკოლოვი; ეჟოვი; კორნილოვი; ბატირევი, ნადუვაევი; დ. როდიონოვი, ხ როდიონოვი; ფილიპოვი; ვიბკე და ბოგდანოვი.**

შეჯიბრება მოიგეს ლენინგრადელებმა 1:0. ამრიგად, საზოგადოება „დინამო“-ს პირველობა დარჩა ლენინგრადს.

უკანასკნელად შეჯიბრება გაიმართა საბჭოთა კავშირის დინამოს ნაკრებ გუნდსა და ლენინგრადის პირველ ნაკრებ გუნდს შორის მატჩი დამთავრდა 2:2.

აღსანიშნავია, რომ ყველა ამ შეჯიბრებებში მონაწილეობა მიიღო 14 მოთამაშემ, რომელნიც სხვადასხვა დროს საბჭოთა კავშირის ნაკრებ გუნდში თამაშობდენ.

სასამართლო

ცოლი გაეყარა, ჯავრი სიდედრზე იყარა

გიორგი ისაიასძე შუბლაძემ ცოლად შეირთო ახალგაზრდა ნინა არბალაშვილი. მზითევის დაგვიანება საკმარისი საბაბი გახდა შუბლაძისათვის, რომ აეთვალწუნებია ცოლი და დაეწყო მისი ლანძღვა-გინება.

პირველ ხანებში ქალი ითმენდა ყოველგვარ შეურაცყოფას. ბევრჯერ მოინდომა ნინამ მხეცი ქმრის დატოვება. მაგრამ შუბლაძის პასუხი ქალის განზრახვაზე ყოველთვის ასეთი იყო:

— არ გაბედო ჩემი დატოვება, თორემ ჩემივე ხელით გაგითხრი საფლავსო.

შუბლაძე განაგრძობდა ცოლისადმი უდიერათ მოპყრობას. დღე არ გავიდოდა ისე, რომ ნინა მტირალი არ ყოფილიყო.

ბოლოს ვეღარ მოითმინა ნინამ და ერთ მშვენიერ დღეს შეკრა ბარგი და წავიდა მშობლებთან.

ჩაუმწარდა შუბლაძეს ცოლის განშორება გაუმძიმდა მარტოთ ცხოვრება.

დროგამოშვებით იგი მიაკითხავდა თავის ყოფილ ცოლს და სთხოვდა დაბრუნებას ცოლი კი ცივ უარს ეუბნებოდა. ბოლოს შუბლაძემ მიზანში ამოიღო თავისი სიდედრი. საჯაროთ აცხადებდა:

— ყველაფერი მისი ბრალია! ე. არბალაშვილის ქალს ვაჩვენებ ჩემს ასე გაწვალებას! თუ ბიჭი ვყოფილვარ გადაუხდი სამაგიეროს—იმუქრებოდა შუბლაძე.

— ჩემის ხელით ღორივით დავკლავ დედაშენს, თუ შენ კვლავ ჩემთან არ დაბრუნდი,—სწერდა მუქარის ბარათს ყოფილ ცოლს.

ერთ დღეს შუბლაძე მთვრალი ესტუმრა სიდედრს.

— დამიბრუნეთ ცოლი, თორემ ამოგწყვეტავთ ყველას!

მაგრამ მუქარამ არ გასჭრა. შუბლაძე პირში ჩალა გამოვლებული დაბრუნდა სახლში.

ამის შემდეგ შუბლაძემ გადასწყვიტა სიდედრის მოკვლა.

მეორე დღეს შუბლაძე ვითომ „ბოდიშის მოსახდელათ“ გაემართა ქალის ბინისაკენ ამ დროს ხედავს, რომ მისი სიდედრი ძლივძლივობით მოფარფატებს მეზობლიდან. შუბლაძე ჩაუსაფრდა ორი ჯოხით შეიარაღებულ „მტერს“ და შესძახა:

— თუ ნინა ეხლავე ჩემთან არ გამოგიგზავნია, მოგკლავ.

— რა გინდა შვილო! ახალგაზრდა ქალი ცოლად მოგათხოვე. შენ კი ქალს სცემდი ეხლავე რომ მომკლა, ნინას ვერ ვეტყვი—დაუბრუნდი გიორგისთქო.

ამ დროს გავარდა რევოლვერი. გავარდა მეორე. ქალს ასცდა. გავარდა მესამე და მძიმედ დაჭრილი არბალაშვილის ქალი დაეცა პირქვე და იქვე გარდაიცვალა.

შუბლაძეს დაატოვებიეს მისი „სანეტარო“ ყოფილი ცოლი და გაგზავნეს იქ, სადაც მისდაგვარი „გმირები“ სხედან. ხოლო თუ რა ვადით უნდა იქნას ის გამასხლში „მივლინებული“, ამის შესახებ თავის დასკვნას გამოიტანს თბილისის სამაზრო სასამართლო.

—

მ. ხაჯალიას საქმე

მიხეილ ბიკტორის ძე ხაჯალია ირიცხებოდა აღმასკომის საფინანსო კონტროლის აგენტათ.

ხაჯალია ხშირად ქეიფობდა. შეიქნა მითქმა-მოთქმა — ხაჯალია სახაზინო ფულს ფლანგავსო.

დაინიშნა რევიზია, რომელმაც გამოაშკარავა ხაჯალიას „საქმენი საგმირონი“.

გამოირკვა, რომ ხაჯალიას მოუსწრია 9 ყალბი საბუთის შედგენა, რომლითაც მან მიითვისა 125 მანეთი.

გუშინ ეს საქმე გაირჩა თბილისის სამაზრო სასამართლოში.

სასამართლომ ხაჯალია დამნაშავედ სცნო ყალბი საბუთების შედგენაში, რისთვისაც მიუსაჯა მას 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

—

მკვლელის ცდა

საბრალმდებლო სკამზე ზის დავით სიმონის ძე არსიაშვილი, რომელსაც ბრალდება მისი მეზობლის მაჭავარიანის (მცხ. სანაპირო ქ. № 4) მოკვლის ცდა.

ა. წ. 21 მაისს, მთვრალი არსიაშვილი ქუჩაში ხვდება მაჭარაშვილს. არსიაშვილმა ხანჯალი მოუქნია მას, მაგრამ დააცილა. შემდეგ დაედევნა, მაგრამ მაჭარაშვილმა მოასწრო ოთახში შესვლა და კარების ჩაკეტვა.

მაჭარაშვილმა მორთო ყვირილი. მოცვივდნენ მეზობლები და დიდის ვაი-ვაგლახით არსიაშვილი დააპატიმრეს.

საქმე გაირჩა თბილისის სამაზრო სასამართლოში ამხ. პ. ბურკაძის თავმჯდომარეობით, სახალხო მსაჯულების: ბატიევას და ბაჯიაშვილის და პროკურორ ლ. ელენტის მონაწილეობით.

სირან კარაპეტის ასული გალუსტოვა, რომელიც მთავარი მოწმე იყო პროცესზე ამტკიცებდა, რომ მაჭარაშვილი შეიარაღებული იყო დანით და პირიქით უნდოდა არსიაშვილის მოკვლაო.

გალუსტოვამ ათურია ყველაფერი, მაგრამ ვერ მოატყუილა სასამართლო. დაიჭირეს ტყუილებში და ცრუ ჩვენებისათვის მისცეს პასუხისგებაში.

ბრალდებულ არსიაშვილს კი მიესაჯა ორი წლით თავისუფლების აღკვეთა.

თ.

მეცნიერება და ტეხნიკა

სისხლნაკლებობის მკურნალობა

ბოლო წლებში ე. წ. ავთვისებიან სისხლნაკლებობის მკურნალობაში ძირითადი გარდატეხა მოხდა. ამ ავადმყოფობას, რომელსაც წინად განუკურნავად სთვლიდენ, ამჟამად ექიმობენ განსაკუთრებული დიეტით, რომელშიც მთავარი ადგილი აქვს დათმობილი ღვიძლს, (печень) უმი და მოხარშული სახით ამ დიეტის დროს ავადმყოფს აძლევენ ღვიძლის დიდ რაოდენობას (800 გრამამდე დღეში). ამის შედეგია სისხლის წითელი ბურთულების რაოდენობის მნიშვნელოვანად გადიდება. ავადმყოფი, რომლის სისხლის მოცულობის ერთეულზე მოდის 1.200.000 - 1.500.000 წითელი სისხლის ბურთულა (ნორმალურია 6.000.000 ცალი), სამი თვის ასეთი მკურნალობის შემდეგ, წითელი ბურთულების რაოდენობით უკვე უახლოვდება ნორმას. მაგრამ სისხლის წითელი ბურთულების რაოდენობა კვლავ კლებულობს, როცა ავადმყოფი სტოვებს დიეტას. სპეციალისტების აზრით, ღვიძლის ასეთი განსაცვიფრებელი გავლენა აიხსნება იმით, რომ ჯანსაღი ღვიძლი შეიცავს რაღაც ფერმენტს, რომელიც ხელს უწყობს სისხლის წითელი ბურთულების წარმოშობას. უკანასკნელ ხანებში ავთვისებიანი სისხლნაკლებობის მკურნალობის ტეხნიკაში არსებითი ცვლილებაა შეტანილი. პირველი ცვლილება იმაში მდგომარეობს, რომ ღვიძლის მაგიერ ავადმყოფს საჭმელად ეძლევა უმი ღვიძლის ექსტრაქტი. მეორე ცვლილება იმაში გამოიხატება, რომ ავადმყოფის ტანს პერიოდულად ანათებენ ხელოვნური ან ბუნებრივი ულტრა-იისფერი სხივებით (სინდიყ-კვარცის ლამპა ან მზის სინათლე). დიეტასთან ერთად ულტრა-იისფერი სხივებით განათება მშვენიერ გავლენას ახდენს: მოკლე დროის განმავლობაში ნორმალურად ხდის სისხლს და სწრაფად აღადგენს ავადმყოფის ძალებს.

საინტერესოა, თუ რა გავლენა იქონია ავთვისებიანი სისხლნაკლებობის მკურნალობამ ღვიძლით ამერიკის ბაზარზე. როგორც კი გამოქვეყნდა პირველი ცნობები სისხლნაკლებობის წარმატებით მკურნალობის შესახებ, ღვიძლის ფასები გაიზარდა. ღვიძლი, რომელსაც ამერიკაში წინად „ღარიბთა ხორცს“ ეძახდენ, გაძვირდა ათი ცენტიდან 80 ცენტამდე.

მაგრამ ექიმებმა ცივი წყალი გადაასხენ იმათ, ვინც გაიტაცა „ღვიძლის დიეტამ“. ამერიკის მთელი რიგი საექიმო ინსტიტუტები და დაწესებულებები გამოვიდნენ განმარტებით, რომ ღვიძლი სასარგებლოა მხოლოდ ავთვისებიანი სისხლნაკლებობის დროს, რომელიც შედარებით იშვიათია.

ჩაის მეურნეობა

ჩაის მეურნეობა აფხაზეთში

1926—27 წელში სააქციო საზ-ბა „საქართველოს ჩაი“-ს განზრახული ჰქონდა გაეშენებია გალის მაზრაში ჩაის კულტურა 50 დესეტინაზე. მაგრამ ვინაიდან ადგილობრივი გლეხობა ამ კულტურას არ იცნობდა, შესაძლებელი გახდა მხოლოდ 25 დესეტინის გაშენება. 1927—28 წელში გლეხებს შორის გაძლიერებული იქნა აგიტაცია ჩაის კულტურის სასარგებლოდ, რამაც ხელი შეუწყო ამ კულტურის სწრაფად განვითარებას. 1927—28 წელში ჩაის მეურნეობა გაშენებული იქნა 303 დესეტინაზე. გეგმით კი განზრახული იყო 200 დესეტინის გაშენება. შვიდ ადგილას მოწყობილია მიწების კოლექტიურად დამუშავება. 20 ივლისს 15 გლეხისაგან შემდგარი ექსკურსია გაემგზავრა ჩაქვის ჩაის პლანტაციის დასათვალიერებლად.

ჩაის ლაბორატორია

სოფელ ზვანის (ოზურგეთის მაზრა) რაიონში დაიწყო ჩაის ლაბორატორიის მოწყობა ახლო ხანში აქვე დაიწყება სავეგეტაციო სახლის და მუშათა ბინების აგება.

ვის ჩამოერთმევა სახლები

თამარ ორბელიანს (კალინინის ქ. № 66—4), ისაკოვს (ყ. საპირის ქ. № 39), ანასტასია ჭავჭავაძეს (რიყის ქ. № 29), გიორგი ხელაშვილს (ნეკრასოვის ქ. № 14), დიმიტრი ხოლოვევს (პეროვსკაიას ქ. № 20), თამარ მეზურიშვილს და ალექსანდრე ბადრიძეს (რიყის ქ. № 17), ივანე თემურაზოვს (კამოს ქ. № 17), მატრონა ჯანელიძეს (მოსკოვის ქ. № 19), ნასულა გაჯიევს, პისტოიანცებს (ორბელიანის ქ. № 5), ბახტაძეს (ტრიბუნალის და ჭავჭავაძის ქ. № 27—8), იონა კაზიროვს (პაოლოელური ქ. და სასამართლოს ჩიხი № 15—10); კვანტრიშვილს, მაჭავარიანს და ციციშვილს (საგურამოს ქ. № 10), მიხეილ ვოსკანოვს (ზურაბოვის ქ. № 15), მერაბიშვილს (გოგებაშვილის ქ. № 10—21), ავად-ავად-ოღლის (ულიაბოვის ქ. № 12), ემ. ჯავახიშვილს (სტავროპოლის ქ. და ყუბანის შესახვ. № 4—7), მაჭავარიანს (გრიბოედოვის ქ. № 1), ხალიფოვებს (მლეთის ქ. № 1), რუბენ ტამრიანცს (მერკვილაძის და კალინინის ქ. № 10), ანა ისარლოვს (ორჯონიკიძის ქ. № 6), ნადია დავითაშვილებს და სხვებს (კახეთის ქ. № 21), ფირცხალავას და ვაჩიბერიძეს (ყაზბეგის ქ. № 18).

რადიო-გადაცემა

ხუთშაბათი, 26 ივლისი

დღეს, 26 ივლისს, რადიო გადაცემას აწარმოებს ამიერ-კავკასიის რკინის გზელთა პროფკავშირის სტუდია.

პარასკევი, 27 ივლისი

პარასკევს, 27 ივლისს, თბილისის 4 კილოვატიან რადიო-სადგურიდან 1070 მეტრიან ტალღაზე გადაცემული იქნება:

მორზეს ანბანი—განმარტება რუსულ ენაზე.

მეცნიერებისა და ტეხნიკის მიღწევები—ქართ. ენაზე.

ბრძოლა დეფექტების აღმოფხვრისათვის კომუნისტების ყოფა-ცხოვრებაში—მოხს. რუსულ ენაზე.

ბოლშევიზმის 25 წლის იუბილე—პარტიის მეორე ყრილობა—მოხს. თურქულ ენაზე.

მორიგი გაწვევა წითელ არმიაში—მოხს. თურქულ ენაზე.

ტეხნიკური კონსულტაცია.

კანის ჰიგიენა—მოხს. თურქულ ენაზე.

საქ. გეოფიზიკური ობსერვატორიის ცნობები—ქართულ და რუსულ ენებზე.

კონცერტი ან ტრანსლიაცია.

ა.-კ. დეპეშათა სააგენტოს ინფორმაცია—ქართულ და რუსულ ენებზე.

მოხსენებების შუა—მუსიკალური ნომრები.

შრომის ბირჟაში

მოთხოვნილება მუშა-ხელზე

დღეს, 26 ივლისს, თბილისის შრომის ბირჟა სამუშაოზე გასაგზავნათ იწვევს შემდეგ უმუშევრებს:

კვალიფიციურ მუშაკთა სექციიდან: პავლე ლორია, რომან ზიკა, ალექსანდრე კურბანოვი; მიხეილ ქამხაძე; არუთინ მხითარიანცი; მარკას ავაკოვი, ზაქრო სორინი, ილარიონ თომაშვილი, ლავრენტი ყვითლაძე; ივანე მალაქმანიძე; იასონ დარახველიძე; იოსებ ტატულოვი; დარჩო სონემიანცი, გიორგი ძაგლაშვილი, მიხეილ მიკირტუმოვი და ალექსი შარვაშიძე; **გონებრივ მუშაკთა მეორე სექციიდან:** ელენე თვალაძე, ჩეპოვსკაიას, გიორგი გაბუნია, მცხვეთარაძე-არჩვაძისა; მარიამ მაისურაძე, თამარ მგალობლიშვილი, გაბრიელ სიმონიძე, იაკიმე კონტრიძე, ილია მახარაძე; საშა კვინტრიძე; ალექსანდრე აბულაძე; აბრამ გიგაური; მარიამ ჯავრიშვილი; დიმიტრი დიდებულიძე; ნინო დევდარიანი, ევგენი სტრელკოვი; შალვა გოგუაძე, ელენე კასპერსკაია; იოსებ უნაფკოშვილი, დავით ნათიშვილი; პავლე ცინცაძე; ეკატერინე გერსამია, ალექსანდრე ბაირამოვი. პლატონ ბარამიძე; დავით სიხარულიძე; ნადეჟდა ფირცხალავა; სოფიო ნატრაძე; რომან თუხარელი; ევა ხისაჯრიშვილი; იულა ცოტაძე; ნინო მეძღვარიანი; დავით არაბიძე; ალექსი ბოკუჩავა; სირა ბახლევინოვა; სოფიო გურგენიძე; ბერია-ჯიშკარიანისა, ნიკოლოზ ელიაშვილი, ალექსანდრე გელაშვილი, არუსიაკ ოსმაიანცი. მედსექციიდან ოლღა როზენმანი.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 49

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოსი

სათემო საბჭოების მიერ სავალდებულო დადგენილებათა გამოცემისა და ამ დადგენილებათა დარღვევისათვის ადმინისტრატიულ გადასახდელის დადების წესის დებულების მე-5 მუხლის შეცვლისა და ამ დებულებისათვის მე-5^1 მუხლის დამატების შესახებ

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართვ. სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. სრულიად საქართველოს ცენტრალ. აღმასრულებელი კომიტეტის 1926 წ. ივნისის 22-ს თარიღისა და 43—№-რის დადგენილებით (კან. კრებ. 1926 წ. მე-3 №-რი, მუხ. 71) დამტკიცებული „სათემო საბჭოების მიერ სავალდებულო დადგენილებათა გამოცემისა და ამ დადგენილებათა დარღვევისათვის ადმინისტრატიული გადასახდელის დადების წესის დებულების“ მე-5 მუხლი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

მუხ. 5. სათემო საბჭოს სავალდებულო დადგენილების დარღვევისათვის დაწესდება შემდეგი ადმინისტრატიული გადასახდელი:

ა) ფულადი ჯარიმა არა უმეტეს 3 მანეთისა;

ბ. იძულებითი მუშაობა 5—დღემდე.

ის გადასახდელი, რაც შეიძლება დამნაშავეს დაედვას, უნდა აღინიშნოს სავალდებულო დადგენილებაში.

შენიშვნა 1. იძულებითი მუშაობა შესრულებულ უნდა იქნეს იმ პირის საცხოვრებელ ადგილას, რომელსაც ეს მუშაობა გადაეწყვიტა; უკეთუ საჭირო იქნება, იძულებითი მუშაობა შეიძლება დაინიშნოს სხვა ადგილზედაც, ხოლო არა უშორეს ათი ვერსის მანძილისა სამუშაოს შემსრულებელი პირის საცხოვრებელი ადგილიდან.

შენიშვნა 2. სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტი, ადგილობრივი პირობების მიხედვით განსაზღვრავს იმ დროს, რომლის განმავლობაშიაც იძულებითი მუშაობის შეფარდება სოფლად არ შეიძლება, და იგი სხვა დროისათვის უნდა იქნეს გადატანილი.

2. აღნიშნულ დებულებას დაემატოს 5^1— მუხლი შემდეგი შინაარსით:

მუხ. 5^1—უკეთუ დადგენილების დამრღვევს ადმინისტრატიულ გადასახდელად ჯარიმა გადაეწყვიტა მან სამისო თანხა უნდა შეიტანოს სათანადო ქვითრის მიღებით, არა უგვიანეს ორი კვირისა დღიდან მისთვის გადასახდელის დადების შესახებ გამოტანილი დადგენილების გამოცხადებისა, იმ ადგილის სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის საფინანსო განყოფილების სალაროში ან სათემო აღმასრულებელ კომიტეტში, სადაც დარღვევა მოხდა ან სადაც დამრღვევი სცხოვრობს.

ჯარიმის იძულებითი წესით გადახდევინება მოხდება ამ მუხლის 1-ლ ნაწილში აღნიშნულ ვადის გასვლისას და გადახდევინება მიიქცევა სავალდებულო დადგენილების დამრღვევის ქონებაზე, საერთო წესისამებრ.

ადმინისტრატიული წესით დადებული ჯარიმის იძულებით გადახდევინების დროს შეფარდებულ უნდა იქნეს „გადასახადთა გადახდევინების დებულების (სსრკ კან. კრ. 1925 წ. 70 №-რი, 518) 17, 18 და 21 მუხ.

ადმინისტრატიული წესით მუშა-მოსამსახურეზე დადებული ჯარიმის იძულებითი გადახდევინება არ შეიძლება მიქცეულ იქნეს იმ სამუშაო ხელფასზე, რაც მუშა-მოსამსახურეს დაუჭირავებლისაგან ერგება.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქართველოს სსრ. სახ. კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ლ. ქართველიშვილი.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივნის მაგ. **ი. ვარძიელი.**

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარასკევს, 27 ივლისს, დილის 9 საათზე საქ. კ. პ. (ბ) ც. კ. სააგიტაციო-საპროპაგანდო და ბეჭდვითი სიტყვის განყოფილების გამგის ამხ. მამულიას კაბინეტში შესდგება თათბირი, რომელსაც უნდა დაესწრონ შემდეგი ამხანაგები: დ. კანდელაკი, ასრიბეკოვი, ვ. კანდელაკი; ს. გეგენავა; დოლგოპოლოვი (პოლიტ. ინსტ.), ბარამაშვილი (ახ. ლ. კ. კ. ცკა),მხითაროვი და მუშა-გლეხ-ქალთა შ. მ. განყოფილებათა წარმომადგენლები.

იმავე დღესვე დილის 10 საათზე ამხ. მამულიას კაბინეტში შესდგება თათბირი მუშფაკების საკითხების შესახებ. თათბირზე უნდა გამოცხადდენ შემდეგი ამხანაგები: ყურულაშვილი; დ. კანდელაკი; ასრიბეკოვი; ცხაკაია, მორჩილაძე; ციბელაშვილი; ან. ფანცულაია (რაიკომის სორგ განყ გამგე), ჟორჟოლაძე; პოლოსოვი (განათლების მუშ. კავშირი) და ბარნაბიშვილი (საქართველოს ლ. კ. კ. ცკა).

—:—

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ. საარიცხვო-განმანაწილებელი განყოფილება სთხოვს ამხ. შალვა ურუშაძეს და მელიტონ ფილიას გამოცხადდენ აღნიშნულ განყოფილებაში ამხ. კვირკველიასთან.

შვილები: ნინა კახაბერისა, ქეთო ნაცვლიშვილი, ნიკოლოზი, ალექსანდრე ჯიქიები რძლები: ნიურა, თამარა, სიძე შალვა კახაბერი, შვილისშვილი მიშიკო აუწყებენ ნათესავთ და მეგობრებს, რომ გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი

მარიამ პავლეს ასული თოფურია-ჯიქიასი

დაკრძალვა 26 ივლისს 4. საათზე. 3118

სახკინმრეწვის კინოები

განთიადი	„სამი მუშკეტერი“ დუგლას ფერბენქსის მონაწილეობით.
საზაფხულო ეთერი	ხატვრული სურათი „გარდატეხილი ზამბახი“ დ. გრიფიტის დადგმა
საზაფხულო დარბაზი	ოსი ოსვალდ სურათში „ნინიშ“
საზაფხულო პალასი	კინო-რომანი „რობინზონ კრუზო“ 1 და 2 სერია ერთად
პროლეტარი ავლაბარი	ყაჩაღი არსენა

ანონსი ჩქარა „საყვარელი მა ან ალა“ და „ქირვეული დედაკაცი“ 0-47

ორჯონიკიძის სახელობის კლუბი
დღეს, 26 ივლისს,
სიმფონიური კონცერტი
დირიჟორ ნ. ზ. ხეიფეცის ხელმძღვანელობით
პროგრამაში: ი, სკრიაბინი და ვაგნერი. დასაწყისი საღამოს 9 საათ. ბაღში კინო.
ცუდი ამინდი კონცერტს ხელს არ შეუშლის.
შემოღებულია მოწაფეთა ბილეთები.
სიმფონიურ კონცერტზე აღებული ბილეთები გამოდგება კინოშიაც.
ხვალ 27 ივლისს, კონცერტი მედსანშრომის მუშაკთა კლუბში. ნ. 1415

თბილისის ქალაქის ლომბარდი
(კეცხოველის ქ. № 8) ამით აცხადებს, რომ კვირას, 29 ივლისს, დილის 10 საათზე
დანიშნულია
საჯარო ვაჭრობა
ვადაგასულ გირაოებისა, გასაყიდი გირაოების ნომრები გამოცხადებულია ლომბარდის დარბაზში. ნ. 1427

ქალ. ლომბარდის სააუქციონო კამერა
აცხადებს, რომ 27, 28 ივლისს, დილის 10 საათზე, სასახლის ქ. № 3, ფინსახკომისადმი დავალიანებათა ასანაზღაურებლათ დანიშნულია
საჯარო ვაჭრობა
გაიყიდება შიფონიერკები, ხალიჩები, ფარდაგები, ბუფეტები, ვენური სკამები და სხვა მრავალი საოჯახო ნივთები. ნ. 1427

მიხეილ ბედევანიშვილის
სახელობის
სამკურნალო
სწოლებით
ელექტრონით და სინათლით
სამკურნალო კაბინეტი
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 25—1

ექიმი
ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი, სასტუმრო „ევროპას“ (ყოფ. „ნოეს“) პირდაპირ ჩოდრიშვილის შესახვევი პლეხანოვის შესახვევი № 8. 25—1

ქალ. ქუთაისში
გაზ. „კომუნისტ“-ზე ხელისმოწერა
ბინაზე მიტანით მიიღება კონტრაგენტ
მინა ტყაბლაძესთან
როზა ლიუქსემბურგის ქ. № 64
3—1 „კომუნისტი“-ს მთავარი კანტორა.

ქ. ჭრებალოში და მის რაიონში
გაზეთ „კომუნისტ“-ზე
ხელისმოწერა და განცხადებები
მიიღება საკრედიტო ამხანაგობის ბუხჰალტერ
ამხ. კოტე ცხვედიანთან
3—1 „კომუნისტი“-ს მთავარი კანტორა.

ამა ივლისის 28-დან იხსნება
საავტომობილო მიმოსვლა
ქუთაისს აბასთუმან შორის,
ზეკარის უღელტეხილით.
„ზაკავტოპრომტორგი“-ს ქუთაისის განყოფილება, წერეთლის ქ. № 9 (სახელმწიფო ბანკის პირდაპირ). 3—1

ქ. თბილისის შრომის სასამართლოს აღმასრულებელი
გრ. ა. დანელია
ამით აცხადებს, რომ ის 1928 წ. 27 ივლისს დღის 2 საათზე სახლში № 5 კომინტერნის ქუჩაზე საჯარო ვაჭრობით გაყიდის ივანე ნაცვლიშვილის მოძრავ ქონებას: ერთი სალაროს ფორმა „ნაციონალი“-ს აწყობილი სახით შეფასებულს 300 მანეთად, სახ. კვების კავშირის და სურსათ-გემოვნების კავშირის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბ. შრომის სახალხო სასამართლოსაგან 13 მარტს 1928 წ. თარიღით, № 748 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. 3127

ქ. ონსა და მის რაიონში
გაზ. „კომუნისტ“-ზე
ხელისმოწერა და განცხადებები
მიიღება სახელგამის განყოფილებაში
ამხ. ს. ბერიშვილთან
5—1. მთავარი კანტორა

ყოფილ თბილისის საბაჟოს ეზოში
ოთხშაბათს, 1-ლ აგვისტოს დილით 9 საათზე დაიწყება
საჯარო ვაჭრობა
კონფისკაციაქმნილ კონტრაბანდულ საქონლის გასაყიდათ. საჯარო ვაჭრობაში შეუძლიათ მიიღონ მონაწილეობა მხოლოდ კოოპერატიულ და სახელმწიფო ორგანოებს, იმ სააქციო საზოგადოებებს, რომლებშიაც მოთავსებულია უმეტესად სახელმწიფო კაპიტალი და პროლეტარულ საზოგადოებრიობის ორგანიზაციებს, რომელთა წარმომადგენლები აღჭურვილ უნდა იყვნენ სათანადო რწმუნებით, უკე თუ პირველ საჯარო ვაჭრობაზე ვერ გაიყიდა ზემოხსენებული საქონლები, ასეთების გასაყიდათ მოხდება
თავისუფალი საჯარო ვაჭრობა
ა. წ. 3 აგვისტოს დილით 9 საათზე სადაც შეუძლია მონაწილეობა მიიღოს ყველამ.
გასაყიდია სანდალოზის ტყავი (лак), მატყლის ქსოვილი: ინდიგო, კოვერკოტი, შევიოტი № 3001 და 3003, წინდები ქალისა „ვიქტორია“, ჩაი შავი, კოსმეტიკური და საგალანტერიო საქონელი შეკერილი ტანისამოსები და პალტოები და სხვა საქონელი, საბაჟოს შეფასებით 20000 მანეთზე მეტი.
მთ. საბაჟო სამმ. ა.-კ. განყოფილებასთან არსებულ ბათომის საბაჟოს საკონფ. ნაწილის გამგე:
ნ. 1426. ხომერიკი.

გორის უბნის სახალხო სასამართლ. აღმასრულებელი
გ. ი. ტლაშაძე
ამით აცხადებს, რომ ის 28 ივლისს დილის 11 საათზე ადგილობრივ—ქ. გორში, შოთა რუსთაველის ქუჩაზე საჯარო ვაჭრობით გაყიდის მოქ. ხაიმ მენახიშვილის ძე ატენელიშვილის მოძრავ ქონებას: ერთ ბუფეტის შკაფს, ერთ გრამოფონისათვის მოწყობილებით, ერთ ტანისამოსის შკაფს, ერთ თეთრ სამოვარს სინით, ერთ საწერ და ერთ გასაშლელ მაგიდას, ერთ ინგლისურ საწოლს, ერთ წყვილ ხავერდის ხალიჩას, ერთ ტუალეტის მაგიდას ხავერდის სუფრას სულ შეფასებულ 342 მ. გორის საკონსერვო ქარხნის ვალის დასაკმაყოფილებლად. 3125

ქ. თბილისის შრომის სასამართლოს აღმასრულებელი
გრ. ა. დანელია
ამით აცხადებს, რომ 1928 წ. 28 ივლისს დღის 2 ს. სახლში № 19 კომუნალურ ქ. საჯარო ვაჭრობით გაყიდის მოქ. იბადულა ნასიბოღლის მოძრავ ქონებას: მაგიდებს, სკამებს, სპილენძის ქვაბებს და სხ. სასადილოს მოწყობილებას შეფასებულს 530 მანეთად სახ. კვების კავშირის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბ. შრომის სახალხო სასამართლოსაგან 21 ივლისს 1928 წ. თარიღით, № 3013 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. 3126

მათემატიკის
მასწავლებელი
ი. მაჩაიძე
ამზადებს
ქართულ და რუსულ ენაზე
უმაღლეს სასწავლებ., მუშფაკ., სპეც. ტეხნიკ., სამხედრ. აკად., 9 წლ. ყველა ჯგუფ. (რუსულსა და მათემატიკაში) საშემოდგომო მისაღებ და განმეორებითი გამოცდებისათვის, აგრეთვე 7 წლედისათვის ყველა საგნებში. პლეხანოვის ქ. 25 (შესავალი ჩერნიშევის ქ. № 5) 8—1 ს., 2—6 ს. ორ მოწაფეს ვღებულობთ სრულ კმაყოფაზე და ბინით. 6—1 2974

ექიმი
გ. მ. ფხალაძე
გადავიდა მარტის ქუჩაზე № 6 (ყოფ. ბოგოსლოვის) ჩასახვევი ოლღის ქუჩიდან. სპეციალ. სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი.
იღებს: დილის 7—8 საათამდე
საღამოს 7—9 კაცებს
6—7 ქალებს.

ლოგოპედი
ტ. კაიშაური
ყოფილი გამგე მოსკოვის მეორე უნივერსიტეტთან არსებულ ლოგოპედიის კაბინეტისა
ასწორებს
ლოგოპათებს: ენაბლუებს, ენაჩლუნგებს, აფატიკებს და მეტყველების ყოველგვარ დეფექტებს
იღებს: საღამოს, 5—7 საათ.
მისამართი: ცეტკინის ქუჩა № 132

ექიმი
კ. ს. ფონ-ირტელი
სპეციალურად მკურნალობს საშარდე, სქესობრივ (სქესობრივი უძლურება, ვენერიულ(ტრიპერი) ავადმყოფობას, სიფილის და მის შედეგებს, კანისა და ქირურგიულ ავადმყოფობას (სიმსივნე, ბუასილი) ელექტრო-მკურნალობა და ოპერაციები. ავადმყოფების მიღება დილ. 8 ს. დღის 12 საათამდე და საღ. 4 ნახ. საათ.—7 საათამდე. ქალების მიღება დღის 10—12 საათამდე.
პლეხანოვის პროსპ. № 10

თმის მკურნალობა
საექიმო-კოსმეტიკა, ელექტრო-სინათლით სამკურნალო კაბინეთი
ნ. გ. კანტოროვიჩისა
მიღებულია საზღვარგარეთიდან ახალი საშუალებები თმების სამკურნალოთ და ფერის მჭამელას, მუწუკების, ჭორფლის, ტალის, მეჭეჭის და სხვ. გასაქრობათ. ვაძლევ საექიმო რჩევა-დარიგებას პირის კანის მოვლისა და თვითმასაჟის შესახებ საზღვარ-გარეთის მეთოდების მიხედვით. ფრეილინის ქ. № 1. პაციენტების მიღება 11-დან 3-მდე და საღამოს 6-დან 8 საათამდე. 25—1

ექიმი
გ. ო. ზანდუკელი
შინაგანი და ნერვიული ავადმყოფობანი. ელექტრო-სინათლით სამკურნალო კაბინეტი.
ავადმყოფების მიღება გარდა შაბათისა და კვირა უქმე დღეებისა საღამოს 7-დან 8 საათამდე. ლენინის ქ. (ყოფილი ოლღას ქ.) № 11.
ტელ. 4—82. 25—1

კბილის ექიმი
დ. ს. რიჟინაშვილი
კბილების და პირის სნეულებათა მკურნალობა. პლომბები, კბილების უტკივნეულოდ ამოღება, ყოველგვარი ხელოვნური კბილების ჩასმა. ავადმყოფთა მიღება: 10—3 საათ. და 5—7 საათ. საღ.—მისამართი: გრიბოედოვის ქუჩა № 34 რუსთაველის გამზირის კუთხე

ექიმი
ს. ა. გალუსტიანი
შინაგანი, კანის და ვენერიული სნეულებანი (მწვავე და ქრონიკული ტრიპერი) სიფილისის მუწუკები. ავადმყოფების მიღება დილის 9-დან ნაშუადღევის 1 საათამდე, ქალების დღის 11-დან 1 საათამდე და საღამოს 5—7-მდე. კლარა ცეტკინას ქ № 77 (ყოფ. ელისაბედის ქ.) ფოსტის გვერდით. 25—1

ექიმი ჯალალოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, შეშხაპუნება „914“. ტრიპერისა და მისი შედეგების წამლობა
ავადმყოფ. მიღება: მამაკაცების დილით—7—8. საღამოთი—5—8
ქალების: დილით—8—9 საღ.—4—5
მისამართი კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ყოფ. ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. ტელეფ. № 1—90 25—2

დავკარგე: სამხედრო აღრიცხვის ბარათი გაცემული სენაკის მაზრის მიერ გრიგოლ ანტონის-ძე გეგემიძეს სახელზე, ჩ. გ. 3124

დავკარგე: სამხედრო სააღრიცხვო წიგნაკი, საბჭოთა-სავაჭრო მოსამსახურეების კავშირის წიგნაკი პარმენ ლავრენტის-ძე ბოკერიას სახელზე, ჩ. გ. 3121

დავკარგე: ლომბარდის ქვითარი № 040160, ჩ. გ. 3123

დავკარგე: სამხედრო სააღრიცხ ბარათი ფ. № 4 გიორგი გრიგორისძე ბახსოლიანის სახელზე, ჩ. გ. 3122

დავკარგე: მეტრიკული ამონაწერი ლიდია გიორგის ასული ავაკოვის სახელზე, ჩ. გ. 3125

მთავლიტი № 904.

პოლიგრაფტრესტის მე-6-ე სტამბა, კამოს ქ. № 68.